ერიხ კესტნერი

ცუდთა ოინები

გამომცემლობა „დედაენა“
თბილისი
2008

ერიჰ კესტნერის „ტყუპთა ოინები“ ქართულად 1972 წელს გამოიცა. წიგნის ღრმა ფსოქოლოგიზმმა, გულწრფელობამ, არაჩვეულებრივმა სიუჟეტურმა ქარგამ, შესანიშნავმა იუმორმა გადაგვაწყვეტინა ხელახლა გამოცემა ამ მივიწყებული თხზულებისა. იგი ყმაწვილთათვის სახალისოა და სამაგალითო, ხოლო მშობელთათვის – დამაფიქრებელი.

წიგნი იბეჭდება უცვლელად, მთარგმნელის სტილის დაცვით, მცირეოდენი რედაქციით.

გერმანულიდან თარგმნა **დავით ჩაკვეტაძემ**

მხატვარი **ვალტერ ტრიერი**

გარეკანის მხატვარი **მალხაზ კუხაშვილი**

წინამდებარე გამოცემის დამფინანსებელი

გოგონა ნეფარიძე

ISBN 978-9941-0-0697-5

უაკ (UDK) 82-93:8211122-32

კ-423

მცირე რამ წიგნის ავტორზე

იქნებ, ბევრ თქვენგანს უნახავს კიდეც ავსტრიული კინოფილმი „ტყუპთა ოინები“. ეს საინტერესო ფილმი გადაღებული იყო გამოჩენილი გერმანელი მწერლის ერიჰ კესტნერის საბავშვო რომანის მიხედვით.

ერიჰ კესტნერის ამ წიგნში ძალიან მიმზიდველადაა მოთხრობილი ორი გარეგნულად განურჩეველი გოგონას ფათერაკებით აღსავსე თავგადასავალი, ლოტხენისა და ლუიზას „გაორების“ ამბავი!

კაცმა რომ თქვას, ასეთი რამ სულაც არ უნდა იყოს უცხო – საკმარისია, დიდი ამერიკელი მწერლის მარკ ტვენის სახელგანთქმული ნაწარმოები „უფლისწული და მათხოვარი“ დავასახელოთ (სხვათა შორის, მასაც მოეპოვება თავისი კინემატოგრაფიული „ორეული“), მაგრამ გერმანელი მწერლის ამ ნაწარმოებს განუმეორებელი მომხიბვლელობა აქვს და მისი იდეაც სულ სხვაა.

თუ რა გადახდათ თავს ნაწარმოების ამ გმირებს, ამაზე განზრახ არაფერს ვამბობთ; ანოტაციაც კი იმ საიდუმლოს ნაადრევი გამჟღავნება იქნებოდა, ავტორის პირით რომ უნდა შეიტყოს მკითხველმა. სჯობს, თვითონ წაიკითხოთ ეს უცნაური თავგადასავალი. ოღონდ წინასწარ უნდა გითხრათ, ჰუმანისტი მწერლის ყოველი სტრიქონი ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარულით არის გამთბარი. მასში გულწრფელად, მხატვრული დამაჯერებლობითაა გადმოცემული, თუ რა სავალალოა ბავშთათვის მშობლების გაყრა, რაც ხშირად წამიერ გულისთქმას აყოლილი ადამიანების დაუფიქრებელ ნაბიჯს და გაუგებრობას მოჰყვება ხოლმე.

რამდენიმე სიტყვა თვით მწერლის ცხოვრებაზე.

ერიჰ კესტნერი დაიბადა 1899 წელს ქალაქ დრეზდენში, წვრილი მესაკუთრის ოჯახში, სწავლობდა სამასწავლებლო სემინარიაში, მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. შინ დაბრუნებულმა ბევრი-თად განაგრძო ლიტერატურის, ისტორიისა და ფილოსოფიის შესწავ-ლა გერმანიის სხვადასხვა ქალაქში (ლაიფციგი, როსტოკი, ბერლინი). სწავლის წლებშივე რედაქტორობდა ლაიფციგის ერთ-ერთ მემარცხენე დემოკრატიული მიმართულების გაზეთს, ხოლო მოგვიანებით ნაყოფიერ-ად თანამშრომლობდა მრავალ გერმანულ პერიოდულ გამოცემაში.

ჰიტლერული დიქტატურის დასაბამიდანვე მწერალსა და მის წიგ-ნებსაც პოლიტიკური უნდობლობა გამოეცხადა.

კიდევ უფრო მრავალხრივი და ნაყოფიერი გახდა მისი შემოქმედ-ება ომის შემდგომ წლებში. 1945 წლიდან ერიჰ კესტნერი დასავლეთ გერმანიის ქალაქ მიუნხენში ცხოვრობს. იგი ითვლება მწერალთა ერთ-ერთი პროგრესული ორგანიზაციის, ეგრეთ წოდებული „პ ე ნ ი ს“ და-სავლეთგერმანული ცენტრის პრეზიდენტად. ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავდა ხალხთა შორის მშვიდობისათვის და რასობრივი დისკრიმინა-ციის წინააღმდეგ ბრძოლას. 1957 წელს მწერალს მიენიჭა გეორგ ბი-უხნერის სახელობის ლიტერატურული პრემია.

ავტორის მეორე მნიშვნელოვანი საბავშვო ნაწარმოებია „ემილი და დეტექტივი“.

„ტყუპთა ოინები“ თარგმნილია 1966 წლის გერმანული გამოცემი-დან.

დავით ჩაკვეტაძე

თავი პირველი

ზეებიული ბიულზეეზე. ბავშვთა პანსიონატები თით-ქოს ფუტკრის სკებია. ავტობუსს ოცი ახალბედა ჩა-მოჰყავს. კულულები და ნაწნავები. შეიძლება ბავშვმა ბავშვს ცხვირზე უკბინოს? ინგლისის მეფე და მისი ას-ტროლოგიური ტყუპის ცალი. ვაი, თუ სიცილმა ნაოჭები დააძჩნიოს.



ზეებიული თუ გაგიგონიათ, მთის სოფელი ზეებიული? ზეებიული ბიულზეეზე? არა? ნუთუ მართლა? საკვირვე-ლია! ვისაც უნდა ჰკითხო, გეტყვით — ზეებიული არ გაგ-ვიგონიაო. იქნებ, ზეებიული სულაც უცნობი ადგილია

და სწორედ მას გაეგონება, ვისაც ეს შეკითხვა არასდროს სმენია?! აღარც ეს გამიკვირდება, ასედაც ხდება ხოლმე.

ჰოდა, რაკი არ გაგიგონიათ ზეებიული ბიულზეეზე, რა-საკვირველია, არც ის გეცოდინებათ, იქ რომ განთქმუ-ლი პანსიონატია პატარა გოგონებისათვის. საწყენი კია, მაგრამ რას იზამ?! ბავშვთა პანსიონატები გაჭრილი ვაშ-ლივით ჰგვანან ერთმანეთს. ერთი თუ იცი, ყველა გცნო-ბია და ისაა. ჩამვლელმა შეიძლება იფიქროს კიდეც, ეს რა უშველებელი სკებიაო: ბავშვთა სიცილ-კისკისი, ყი-ყინა და ჩურჩულ-კუჭკუჭი სულ ერთიანად აზუზუნებს იქაურობას. მართლაც რომ ბალღური ბედნიერებისა და სიხარულის საფუტკრეთია ასეთი პანსიონატები და ათი ამდენი რომ იყოს, მაინც არ იქნებოდა საკმარისი.

მართალია, მწუხრის ყამს საძინებელი დარბაზის სა-წოლებზე დროდადრო სამშობლოს სევდისამშლელი ჭა-ღარა ქონდრისკაცი წამოსკუპდება, ჯიბიდან საანგარიშო რვეულსა და რუხ ფანქარს ამოაძვრენს და დინჯად და-ითვლის ირგვლივ მყოფი ბავშვების შეგუებებულ თუ ჩა-მოღვარულ ცრემლებს, მაგრამ დილით, აკი შენც ხედავ, დარდის ჭინკა სადღაც გამქრალა. მერე აწკრიალდება რძის ფინჯნები და ენადგაკრეფილი პატარა გოგონები ისე

ტიტინებენ, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო. შემდეგ კი საბანაოდ მოირთვებიან და ჰერიი! — ლურჯკამკამა გრილ ტბაში გადაეშვებიან. ჭყუმპალაობენ, ზოგი მართლაც ცურავს, ზოგიც თავს ისე აჩვენებს, ვითომ ვცურავო.

ასეთია ზეებიული ბიულზეეზე და იქ იწყება ამბავი, თქვენთვის რომ მსურდა, მომეთხრო. ცოტა არ იყოს, დახლართული ამბავი კი არის. ამიტომ ზოგჯერ სმენად უნდა გადაიქცეთ, რომ ყველაფერი დაწვრილებით და საფუძვლიანად შეიტყოთ, რაღა თქმა უნდა, დასაწყისი კეთილია, ოღონდ მომდევნო თავებში კაი გვარიანად რთულდება და იხლართება ამბავი.

ჯერჯერობით კი ყველანი ტბაზე ბანაობენ. როგორც ყოველთვის, ახლაც ყველაზე მეტად ეს ახტაჯანა, ცხრა წლის გოგონა ცელქობს, კულულები რომ ჩამოშლია და თავშიც ათასგვარი ოინბაზობა უტრიალებს. ეს ლუიზა პალფი გახლავთ. იგი ვენიდანაა.

აგერ, სახლიდან გონგის ხმა მოისმის, ჩამოჰკრეს მეორედ და მესამედაც, ბავშვები და მათთან ერთად მობანავე აღმზრდელებიც ნაპირისკენ მოდგაფუნებენ.

— გონგი ყველას ეხება, მათ შორის ლუიზასაც! — გასძახის ფროილაინ ულრიკე.

— მოვდივარ! — ყვირის ლუიზაც, — მე ხომ ბერიკაცი

ვარ, ჩქარი მატარებელი ნუ გგონივართ! — და ბოლოს მა-
საც ელიზსა ნაპირზე ამოსვლა.

ფროილაინ ულრიკე ამ აყაყანებულ ბატებს უკლებ-
ლივ მიერეკება ფარდულში, ოჰ, ეს რა წამოგვცდა, — შინ!
თორმეტი საათი რომ გაიჭიმება, სადილობენ. მერე კი
მოუთმენლად ელიან მზის გადახრას. რა მოხდა?

ნაშუადღევს ოცი ახალბედა უნდა ჩამოვიდეს. ოცი
პატარა გოგონა სამხრეთ გერმანიიდან. როგორ იქნება,
მათ შორის ერთი-ორი პრანჭია და ენაჭიკჭიკა გოგო-
ნაც არ გამოერიოს ან თუნდაც ცამეტ-თოთხმეტი წლის
ქალბატონი „ბებიები". ნეტა საინტერესო სათამაშოებს
თუ ჩამოიტანენ! ეგება, რეზინის ბურთიც ჰქონდეს ვინ-
მეს, თორემ ტრუდას ბურთს სული მიეპარება, ბრიგიტამ
კი თავისი ბურთი კარადაში გამოკეტა და ხელს არავის
აკარებინებს, არაფერი დაუშავდესო. ასეთი რამეებიც
ხდება აქ!

* * *

მაშ ასე, ნაშუადღევს ლუიზა, ტრუდა, ბრიგიტა და სხვა
ბავშვები ფართოდ გამოღებულ რკინის ვეება ჭიშკართან
იდგნენ და მოუთმენლად ელოდნენ ავტობუსს, რომელ-

საც უახლოესი სადგურიდან უნდა მოეყვანა ბავშვები. თუ ძაცარებელი დროზე ჩამოდგება, უკვე უნდა...

აგერ, პიპინი მოისმის, მოდიან!

ავტობუსი ქუჩაში მოსრიალებს, ფრთხილად შემოუხვია და გაჩერდა, გადმოვიდა შოფერი და დაფაცურდა, რიგრიგობით გადმოიყვანა მანქანიდან პატარა გოგონები. ჯერ პატარა მგზავრები გადმოსხა, მერე ბეჯითად გადმოალაგა მათი ჩემოდნები და ბოხჩები, დედოფლები და კალათები, ხელპარკები და თოჯინა-ცუგრიები, სასრიალო გორგოლაჭები და საწვიმრები, ქოლგები და თერმოსები, ზურგჩანთები და ნახატებიანი წიგნები, ბოტანიკოსთა საყვირები, პეპელსაჭერი ბადეები და ათასი სხვა რამ.

სულ ბოლოს ავტობუსის კარის ჩარჩოში მეოცე გოგონაც გამოჩნდა თავისი ბარგი-ბარხანიანად. დინჯად იცქირებოდა აქეთ-იქით. შოფერმა ხელი გაუწოდა შესაშველებლად, მაგრამ გოგონამ უარის ნიშნად თავი გაიქნია, ტყუპი ნაწნავი უკან გადაიგდო და შოფერს ზრდილობიანად და დაჯერებულად მიუგო: „გმადლობთ, არ მჭირდებაო“; დარბაისლურად, მტკიცედ ჩამოადგა ფეხი, მორცხვი ღიმილით ირგვლივ მიიხედ-მოიხედა და გაოცებისაგან უცებ თვალები გაუფართოვდა — იგი ლუიზას

მიშტერებოდა. ლუიზამაც თავი მაღლა ასწია და დაფეთებული მიაცქერდა.

დანარჩენი ბავშვები და თვით ფროილაინ ულრიკეც მოჯადოებული შესცქეროდნენ ხან ერთს, ხან მეორეს, შოფერმა თავი უხერხულად გადასწია, კეფა მოიქექა და პირი დააღო, რა ამბავიაო.

ლუიზა და ახლად ჩამოსული გოგონა ნამდვილი ალიკვალი იყვნენ ერთმანეთისა! თუმცა ერთს კულულები ეყარა, მეორეს კი საგულდაგულოდ დაწნული ნაწნავები მოუჩანდა, ეს იყო და ეს მათი განმსახვავებელი ნიშანი.

გაოგნებული ლუიზა მკვირცხლად შემოტრიალდა და ბაღისაკენ ისე მოკურცხლა, თითქოს მხეცები გამოეკიდნენო.

— ლუიზა! ლუიზაა! — დაადევნა ძახილი ფროილაინ ულრიკემ, მაგრამ გაგიგონიათ?!

ქალიშვილმა უხერხულად შეიშმუშნა მხრები და ოცი პაწიას შინისაკენ წაუძღვა. სულ ბოლოში უსაზღვრო გაოცებისაგან დაბნეული გოგონა მიკუნკულებდა.

* * *

ბავშვთა პანსიონატის უფროსი, ფრაუ მუთეზიუსი ბიუროში იჯდა და ხანშიშესულ, ჯერაც ჯანღონიან მზარეულ ქალს სახვალიო მენიუზე ეთათბირებოდა.

კარებზე დააკაკუნეს. შემოვიდა ფროილაინ ულრიკე და უფროსს მოახსენა: პაწიები უკლებლივ გამოცხადდნენ და თავს კარგად გრძნობენო.

— მოხარული ვარ, დიდად გმადლობთ!

— კიდევ რაღაც უნდა მეთქვა...

— ბრძანეთ! — საქმეში ჩაფლულმა ქალბატონმა გამგეემ წამით აიღო თავი.

— ლუიზა პალფიზე უნდა მეთქვა... — ცოტა არ იყოს ყოყმანით დაიწყო ფროილაინ ულრიკემ, — აგერ კარებთან იცდის...

— შემოიყვანეთ ეგ ეშმაკის ფეხი, — ფრაუ მუთეზიუსმა ღიმილი ვერ დამალა, — კიდევ რაიმე ოინი ჩაიდინა?

— ამჯერად არა, უბრალოდ... — აღმზრდელმა კარი გამოაღო და გასძახა:

— ორივენი შემოდით, ნუ გეშინიათ!

ოთახში ორი პატარა გოგონა შემოვიდა, ერთმანეთისაგან შორიშორს დადგნენ..

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! — ჩაიბუტბუტა მზარეულმა ქალმა.

სანამ ფრაუ მუთეზიუსი განცვიფრებით შესცქეროდა გოგონებს, ფროილაინ ულრიკემ მოახსენა:

— ახალჩამოსული ლოტა კერნერია, იგი მიუნხენიდანაა.

— ნათესავები ხართ?

გოგონებმა უარის ნიშნად თავი გააქნიეს.

— დღემდე თვალითაც არ დაულანდავთ ერთმანეთი, უცნაურია, არა? — გაუკვირდა ფროილაინ ულრიკეს.

— ვითომ რატომაა უცნაური, ერთი მიუნხენიდან ყოფილა, მეორე კი — ვენიდან!

ფრაუ მუთეზიუსი ალერსიანად მიუბრუნდა გოგონებს:

— რაკი ერთმანეთის ალი-კვალი გაჩენილხართ, იმედია, კარგადაც დამეგობრდებით, რა უცხოებივით დგახართ, ხელი გაუწოდეთ ერთმანეთს!

— არა! — წამოიძახა ლუიზამ და ხელები ზურგს უკან დამალა.

ფრაუ მუთეზიუსმა მხრები აიჩეჩა, ერთხანს ჩაფიქრდა და მერე თქვა:

— შეგიძლიათ წახვიდეთ!

ლუიზა კართან მიიჭრა, უმალ გამოაღო და გამოვარდა. ლოტა კი რევერანსით აპირებდა ოთახიდან წყნარად გამოსვლას.

— ერთი წუთით, ლოტხენ! — შეაჩერა ქალბატონმა გამგემ და დიდი ყურნალი გადაშალა, — ბარემ ახლავე შეგიტან სიაში. მაშ ასე, სად დაიბადე და როდის, მშობლების სახელი და გვარი?

— მხოლოდ დედა მყავს, — ჩურჩულით თქვა ლოტამ.

ფრაუ მუთეზიუისმა მელანში კალამი ჩააწო:

— ჯერ დაბადების წელი მითხარი, გენაცვალე!

* * *

ლოტამ დერეფანი გაიარა, კიბეებს აუყვა, კარი შეაღო და გასახდელში შევიდა. ჩემოდანი გახსნა, კაბები, წინსაფრები, პერანგები, წინდები ამოალაგა და კარადაში შეაწყო. ღია ფანჯრიდან მოისმის ბავშვების სიცილ-კისკისი. ლოტას ხელში უჭირავს ახალგაზრდა ქალის სურათი. ერთხანს ალერსიანად დაჰყურებდა. მერე წინსაფრის ქვეშ დამალა სათუთად. სწორედ ის იყო, კარის მიხურვას აპირებდა, რომ შიდა კედელში ჩასმულ სარკეში თავისი ორეული დალანდა. დინჯად დააკვირდა, თითქოს პირველად ხედავსო, მერე ერთბაშად ნაწნავები უკან გადაიყარა, კულულებად დაიშალა და სწორედ ლუიზასავით დაიყენა.

სადღაც კარმა გაიჯახუნა, თითქოს თავზე წამოადგნენო, ლოტამ ფიცხლავ ჩამოუშვა ხელები.

* * *

ლუიზა მეგობარ გოგონებთან ერთად ბაღის ყორეზე წამოსკუპულა და კუშტად შეუკრავს კოპები.

— ამას კი ვერ მოვითმენდი, ვიღაც თავხედი ჩემივე სა-

ხით გამომეცხადოს! – უთხრა ტრუდამ, ვენელმა თანაკ-ლასელმა.

– მერე, რა უნდა ვქნა? – ჰკითხა ლუიზამ.

– დაკაწრე ერთი გემოზე! – ახლა მონიკამ შეაქეზა.

– ის არა სჯობს, ცხვირი მოაკვნიტო? მთელ ჯავრს ერ-თბაშად ამოიყრი! – ურჩია ქრისტინამ, თან ასკინკილას უვლიდა.

– მე კი ჩამამწარა ეს არდადეგები და! – ნაღვლიანად თქვა ლუიზამ.

– რა მისი ბრალია, რომ ასე გგავს! – აუხსნა ლოყებ-ფუნთუშა შტეფიმ. ტრუდამ გაიცინა.

— შენ ხომ არ გგონია, ისე ჩერჩეტი ვინმე გამოჩნდება ქვეყნად, შენნაირი გოგრა გამოიბას და ისე დაკუნტრუ-შებდეს?!

შტეფი გაიბუტა. ბავშვებმა სიცილი ვეღარ შეიკავეს.

ამ დროს გონგის ხმაც გაისმა.

— ნადირები უნდა დააპურონ! — წამოიძახა ქრისტინამ და გოგონებიც ყორიდან ჩამოხტდნენ.

* * *

ფრაუ მუთეზიუსს ფროილაინ ულრიკე სასადილო დარ-ბაზში მიუხმია:

— ჩვენი პატარა ორეულები გვერდიგვერდ დავსხათ, იქნებ, რადიკალურმა მკურნალობამ უშველოთ.

ამ დროს დარბაზში აურზაურით შემოცვივდნენ ბავშვე-ბი და ხრიგინ-ხრიგინით მისწი-მოსწიეს ტაბურეტები. მოსამსახურე გოგონებს შორის ზოგმა ოხშივარადენილი კერძები ჩამოარიგა, სხვები კი გამოწვდილ მათლაფებში ასხამდნენ კერძს.

ლუიზასა და ტრუდას თავს წამოადგათ ფროილაინ ულ-რიკე, ტრუდას მხარზე ხელი დაადო და ეუბნება:

— ჰილდა შტურმის გვერდით გადაჯდები!

ტრუდა შემობრუნდა და შეპასუხება დააპირა.

— კი, მაგრამ...

— ხმა, კრინტი!

გოგონამ მხრები აიჩეჩა და ბუზღუნით გადაჯდა.

წკრიალებს კოვზები. ლუიზას გვერდით ადგილი ცარიელია. სწორედ საკვირველია, როგორ მიშტერებია ამდენი თვალი ამ კინკილა ტაბურეტს.

უცებ, თითქოს სამხედრო ბრძანება გაიცაო, ყველამ ერთბაშად მიიხედა კარისაკენ. ლოტა შემოვიდა.

— როგორც იქნა, მოხვედი, — შეეგება ფროილაინ ულრიკე, — წამოდი, ადგილს მიგიჩენ!

და ეს უწყინარი, დინჯი, ნაწნავებიანი გოგონა მაგიდასთან მიიყვანა. ლუიზას თავიც არ აუწევია, გაგულისებული ხვრეპდა წვენს. ლოტა თვინიერად მიუჯდა გვერდით. კოვზი აიღო, მაგრამ ლუკმა ყელში არ გადასდიოდა.

გოგონები ქურდულად უმზერდნენ საოცარ წყვილს. ამაზე მეტად ალბათ ორთავიანი და სამთავიანი ხბოს დანახვაც არ გაუკვირდებოდათ. ბუთხუზა შტეფი ხომ მეტისმეტი გაოცებისაგან პირდაღებული დარჩა!

ლუიზას მოთმინების ფიალა აევსო. მაგიდის ქვეშ ფეხი გააპარა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წაჰკრა ლოტას, ლამის წვივი მოამტვრია. საწყალი ბავშვი ტკივილისაგან დაიმანჭა და ტუჩი ჩაიკვნიტა, ხმა კი არ ამოუღია.

უფროსებს ცალკე გაუშლიათ სუფრა.

— ჩემს დღეში არ მინახავს და არც გამიგონია, ორი სავსებით უცხო გოგონა ასე ჰგავდეს ერთმანეთს! — თქვა აღმზრდელმა ქალმა გერდამ და თავი გადააქნია.

— ნეტა, ასტროლოგიური ტყუპები ხომ არ არიან?! — დაეჭვდა ჩაფიქრებული ფროილაინ ულრიკე.

— „ასტროლოგიური ტყუპები“ რაღა უბედურებაა? — ჰკითხა ფროილაინ გერდამ.

— თურმე, არსებობენ ადამიანები, შორეული სისხლით ნათესაობაც არ აკავშირებთ და ერთმანეთს კი გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან. წამის უმცირესი წილით თანხვდება ხოლმე ამ ორი ადამიანის ქვეყნად მოვლინება.

— ოჰ! — გაუკვირდა ფროილაინ გერდას.

ფრაუ მუთეზიუსმა კი თავის ქნევით დაუდასტურა:



— მე ოდესღაც წამიკითხავს ერთი ლონდონელი თერ-ძის ამბავი; თურმე, ინგლისის მეფე ედუარდ მეშვიდესა-გან[1] ვერ გაარჩევდით, მეფის ალი-კვალი ყოფილა, თა-ნაც სოლისებურად შეკრეჭილ წვერს ატარებდაო. მეფეს ეს კაცი ბუკინგემის სასახლეში[2] მიუწვევია და დიდხანს უსაუბრია მასთან.

— მერე, მართლა ერთსა და იმავე წამს დაბადებულან ორივენი?

— დიახ, შემთხვევით დადგინდა, თანაც უზუსტესად.

— მერე, მერე? — გაფაციცებით ჩაეკითხა გერდა.

— თერძი იძულებული გამხდარა, თავის წვერს დამშვი-დობებოდა. ასეთი იყო მეფის სურვილი.

ყველას გაეცინა, ჩაფიქრებულმა ფრაუ მუთეზიუსმა კი იმ მაგიდას გადახედა, ორი პატარა გოგონა რომ უჯდა, და მერე თქვა:

— ლოტა კერნერს ლუიზა პალფის საწოლის გვერდზე დაუდგით საწოლი — ერთმანეთს უნდა შეეჩვიონ!

---

[1] ედუარდ VII ცხოვრობდა 1840-1910 წლებში. ინგლისის სამეფო ტახტზე იგი 1901 წლიდან იჯდა.

[2] ბუკინგემის სასახლე აშენდა XVIII საუკუნის დასაწყისში. შემდგომში იგი რამ-დენჯერმე გააფართოეს და განაახლეს. 1837 წლიდან ბრიტანეთის მეფეთა მთა-ვარი რეზიდენციაა. სასახლეში ხელოვნების ძვირფასი ნიმუშები — ნახატების კოლექციები ინახება.

* * *

ღამეა. ყველა ბავშვს სძინავს, გარდა ორისა.

ამათ ერთმანეთისათვის ზურგი შეუქცევიათ და გატ-რუნულან, თითქოს სძინავთო, თვალები კი გაუხელიათ და სიბნელეს ჩაშტერებიან.

ლუიზამ ბრაზიანად გახედა ვერცხლისფერ ბლითს, მთვარე მის საწოლს რომ ახატავდა, და უცებ ყურები ცქვიტა: ვიღაც ჩუმი, მოგუდული ხმით სლუკუნებს.

ლოტას ხელები ტუჩებზე მიუჭერია. აგონდება, დედამ რომ უთხრა გამომშვიდობებისას: „ო, როგორ მიხარია, ერთ-ორ კვირას მაინც მხიარულ ბავშვებთან გაატარებ! ნაადრევად დამიდინჯდი, ლოტხენ, ძალზე ნაადრევად! ვიცი, ეს ჩემი ბრალია, სახლის მისახედავად ვერ ვიცლი, სამსახური მაქვს ისეთი. შინ დაქანცული ვბრუნდები. ამასობაში შენ უნდა რეცხო, კერძი ამზადო, სუფრა გა-შალო... სხვა ბავშვებივით ნავარდს ვინ გაღირსებს! სი-ცილ-კისკისისაგან სახეგაბრწყინებული დამბრუნებოდე, ჩემო პატარა დიასახლისო!“ ჰოდა, ახლა კი წევს ამ ავ-გულა გოგონას გვერდით, რომელსაც მხოლოდ იმისთვის შეზიზღებია, ჩემნაირი რატომ გაჩნდიო. ლოტა ხვნეშის და ისევ სლუკუნებს... ეს რაღა ამბავია — ვიღაცას პაწია,

მოუხეშავი ხელი თმაზე უალერსებს წყნარად. ლოტხენი შიშისაგან გახევდა, ვითომ ეს შიშია? ლუიზას ხელი ისევ და ისევ უალერსებს მორცხვად მის თმას.

ვრცელი საძინებელი დარბაზის ფანჯრებში სავსე მთვარე იჭყიტება. გვერდიგვერდ წევს ორი პატარა გოგონა, ერთმანეთისათვის თვალებში შეხედვა რომ ვერ გაუბედავთ და აი, ერთი მათგანი, ახლახან რომ სლუკუნებდა, ხელის ცეცებით დაეძებდა მეორის მოალერსე ხელს.

— კარგია, ახლა კი შემიძლია, დამშვიდებით ჩავესვენო! — თითქოს ფიქრობს შევერცხლილი ძველი მთვარე და ჩადის კიდეც.

თავი მეორე

რით განსხვავდება დაზავება მშვიდობისაგან? სადალაქო სალონი სააბაზანოში. გაორებული ლოტხენი. ტრუდას სილა გააწნეს. ფოტოგრაფი აიპელდაუერი და სასტუმროს დიასახლისი. ჩემი დედიკო! – ჩვენი დედიკო! – თვით ფროილაინ ულრიკეც შეეჭვებულია.

ნეტავ, ფასი თუ ექნება ორთა დაზავებას, ან ხანგრძლივ თუ გასტანს? თუმცა მოლაპარაკება არ გამართულა, სიტყვაც არ დაძრულა, ისე დაიდო ზავი. მაგრამ დაზავებიდან მშვიდობამდე რომ დიდი გზაა! ჩემდათავად კიდეც ვირწმუნებდი კეთილ დაბოლოებას, მაგრამ... იქნებ, არა?

მეორე დილით გამოღვიძებულებმა ვერ იქნა და თვალი ვერ გაუსწორეს ერთმანეთს. ვერც მაშინ, ღამისპერანგებიანები პირსაბან ოთახში რომ შეტანტალდნენ; ვერც მაშინ, ერთმანეთის მხარდამხარ კარადის წინ ტანთ რომ იცვამდნენ, ანდა ერთად რომ უსხდნენ მაგიდას და დილის საუზმეზე რძეს შეექცეოდნენ; ვერც მაშინ, წყვილად რომ გარბოდნენ ტბის ნაპირას და გზადაფზა მიიმღეროდნენ; ვერც მაშინ, აღმზრდელთა თანდასწრებით ფერხული რომ ჩააბეს და თან ყვავილთა გვირგვინებს წნავდნენ. ვერა

და ვერ გაუსწორეს ერთმანეთს თვალი! არა, ერთხელ კი სტყორცნეს ელვის უმალ მზერა, მაგრამ მაშინაც რაღაცნაირი შიშით დაიზაფრნენ ორივენი და დასხლტნენ.

* * *

აგერ, მდელოზე ფროილაინ ულრიკე წამომჯდარა და გატაცებით კითხულობს საუცხოო რომანს. ყოველ გვერდზე სიყვარულის ამბავია მოთხრობილი. დროდადრო იგი თავს აიღებს და დიპლომიან ინჟინერზე, ბატონ რედემახერზე, დეიდამისის მდგმურზე ოცნებობს. ინჟინერს რუდოლფი ჰქვია. ჰოი, ეს რუდოლფი!

ლუიზა კი ამ დროს თავის მეგობარ გოგონებთან ერთად ბურთს თამაშობს. დაბნეული კია — თიღქოს ვიღაცას ან რაღაცას დაეძებს დ ავერ უპოვიაო.

— აღარ უნდა უკბინო ცხვირზე იმ ახლად ჩამოთრეულს? — ჰკითხა ტრუდამ.

— ნუ სულელობ, ერთი! — მიუგო ლუიზამ.

ქრისტინა გაოცებული შესცქერის გოგონას.

— ამას უყურე! შენ ხომ მისი ჯავრი გჭირს!

— ვინც თვალში არ მომივა, ყველას ხომ ვერ მოვაკვნეტ ცხვირს! — გულგრილად უთხრა ლუიზამ და დასძინა: — კაცმა რომ თქვას, მე სულაც არ ვბრაზობ მასზე.

— აკი გუშინ დასახავად ვერ იტანდი! — გაახსენა შტეფიმ.

— ბრაზობს და მერე როგორ! — გამომწვევად ჩაერია მონიკა, — გუშინ ხომ კარგად წაჰკარი წვიზზე ფეხი, ლამის იყო ღრიალი მორთო!

— ესეც მე ვარ?! — ნიშნის მოგებით დაუკრა კვერი ტრუდამ.

ლუიზა გაიფხორა.

— თუ არ გაჩუმდებით, თქვენც კარგად გითაქებთ მაგ წვივებში! — დაემუქრა ამხანაგებს და იქაურობას გაშორდა.

— თვითონაც ვერ გაუგია, რა აწუხებს! — წამოიძახა ქრისტინამ და მხრები აიჩეჩა.

* * *

ლოტა ამ დროს მდელოზე განმარტოებულიყო და თავზე ყვავილების გვირგვინი დაედგა. ახლა კი მეორე გვირგვინს წნავდა. უცებ მის წინსაფარს ვიღაცის ჩრდილი დაეცა. გოგონამ აიხედა.

მის წინ ლუიზა დამდგარა და უხერხულობისაგან ფეხს ინაცვლებს.

ლოტას სახეს ისეთმა მკრთალმა ღიმილმა გადაურბინა, ოდნავ თუ შეამჩნევდით.

ლუიზას გულზე მოეფონა და ფართო ღიმილით გაეპასუხა.

ლოტამ ახლა კი ასწია გამზადებული გვირგვინი და კრძალვით მიმართა ორეულს:

— აჰა, აიღე, არ გინდა?

ლუიზამ იქვე ჩაიმუხლა და ნაღვლიანად მიუგო:

— კი მინდა, შენ თუ დამადგამ!

ლოტამ გვირგვინი კულულებზე მიუმაგრა, თავი ჩაღუნა და დაუმატა.

— ჩინებულია!

ორეულები მდელოზე ერთმანეთის გვერდით ჩამოსხდნენ და გაყუჩებულნი მორცხვად შეჰღიმოდნენ ერთიმეორეს.

მერე ლუიზამ ღრმად ჩაისუნთქა და დუმილი დაარღვია:

— გაბრაზებული ხარ ჩემზე?

ლოტამ უარის ნიშნად თავი გააქნია. ლუიზამ თვალები დახარა და განაგრძო:

— ყველაფერი რაღაც მოულოდნელად მოხდა. ავტობუსი! მერე შენ! — საშინელებაა!

ლოტამ თავი დაუქნია, „საშინელებაა!“ — ისიც ლუიზის ნათქვამს იმეორებს. ლუიზა მისკენ დაიხარა და ეუბნება:

— ისე, საშინლად სასაცილო ამბავი კია, არა?

ლოტა ჯერ გაოცებული მისჩერებია ლუიზას აყუყუნებულ თვალებში. „სასაცილოა!“ და მერე წყნარად ჰკითხა:

— და-ძმა გყავს?

— არა.

— არც მე.

* * *

ორივენი ჩუმად შევიდნენ პირსაბან ოთახში და დიდი სარკის წინ დადგნენ. ლოტას ერთი სული აქვს, სავარცხლითა და ჯაგრულათი გაუშალოს ლუიზას კულულები.

— აუუუ, ოოო! — ყვირის ლუიზა.

— აღარ გაჩუმდები?- ჰკითხა ლოტამ და განზრახ მოიღუშა, — დედა რომ გიწნავდეს, მაშინაც ასე იჭერვიულებდი?

— სადა მყავს დედა! — წაიბუზღუნა ლუიზამ, — ეს „ვაი — ვუიც“ ამის ბრალია. ამიტომაა ასეთი ალქაჯი რომ ხარო! — მეუბნება მამაჩემი.

— მამა გცემს? — ჩაეკითხა ლოტა, თან თმას უწნავს.

— აჰ, სულაც არა, პირიქით. საცემრად როგორ გამიმეტებს, ისე ვუყვარვარ!

— სიყვარული არაფერ შუაშია! — მეტისმეტად ბრძნულად დაასკვნა ლოტამ.

— თანაც ჩემს საცემრად სად სცალია, ათასი საფიქრალი აქვს.

— სამაგიეროდ, ხელები ხომ თავისუფალი აქვს. ესეც კმარა.

ორივეს გაეცინა. ამასობაში ლუიზას თმა დაუწნეს. გოგონები ანთებული თვალებით მიაშტერდნენ სარკეს, საშობაო ნაძვის ხესავით სახეგაბრწყინებულნი: ორი გაჭრილი ვაშლივით მსგავსი გოგონა იყურება სარკეში, სარკიდანაც გაჭრილი ვაშლივით მსგავსი გოგონები შემოსცქერიან.

— თითქოს დები ვიყოთ! — ამოიჩურჩულა გახარებულმა ლოტამ.

გონგის ხმა ბავშვებს სადილად იწვევდა.

— ოინი ახლა ნახე! — წამოიძახა ლუიზამ. — წამოდი!

ხელიხელჩაკიდებული გოგონები პირსაბანი ოთახიდან გამოცვივდნენ.

* * *

კარგა ხანია, ყველანი თავ-თავიანთ ადგილებზე სხედან. მხოლოდ ლუიზასა და ლოტას ტაბურეტებია თავისუფალი.

გაიღო კარი, ლოტა შემოვიდა და უბოდიშოდ მოკალათდა ლუიზას ადგილზე.

— შენ, ეი, ეს ლუიზას ადგილია, გირჩევნია, კანჭებს გაუფრთხილდე! — მიაძახა მონიკამ.

გოგონამ მხრები აიჩეჩა და საჭმელს წაეტანა. ისევ გაიღო კარი და, დალახვროს ეშმაკმა, ეს რა ამბავია?! ისევ ლოტა არ შემოვიდა?! წარბშეუხრელად გაემართა ტაბურეტისაკენ და ზედ წამოსკუპდა.

მათ მაგიდასთან მსხდომ დანარჩენ გოგონებს გაოცებისაგან პირი დაუღიათ. მეზობელ მაგიდებთან მიმსხდარმა გოგონებმაც აქეთკენ იბრუნეს პირი. მერე წამოიშალნენ და ორივეს შემოეხვივნენ.

და მხოლოდ მაშინ, როცა ამ ორს სიცილი წასკდა, ყველას გულზე მოეშვა. დარბაზში ბავშვების სიცილ-კისკისი გაისმა.

ფრაუ მუთეზიუსმა შუბლი შეიჭმუხნა — „ეს რა უბედურებაა!“ — ზეზე წამოდგა და წარბებმოღუშული გაემართა. მაგრამ ერთმანეთის ალი-კვალი ნაწნავებიანი გოგონების დანახვისთანავე მზის გულზე გალღობილი თოვლივით გაუქრა ბრაზი.

— რომელი თქვენგანია ლუიზა პალფი და რომელი ლოტა კერნერი? — იკითხა გუნებაგახსნილმა.

— არ გაგიმხელთ! — ეშმაკურად წამოიძახა ერთ-ერთმა ლოტამ. კვლავ ზარივით წკრიალებს მოკისკისე ბავშვების ხმები.

— ღმერთო დიდებულო! რა უნდა ვქნათ? — სასაცილო ყოყმანით თქვა ფრაუ მუთეზიუსმა.

— აბა, ვინ გამოიცნობს? — იკითხა გახარებულმა მეორე ლოტამ.

— იცით, რას გეტყვით? — იყვირა შტეფიმ და თან ხელებს ისე აქნევდა, თითქოს ლექსი უნდა წარმოთქვასო, — ტრუდა ხომ ლუიზას თანაკლასელია, მოდი, მან გამოიცნოს!

ტრუდა გაუბედავად გაემართა წინ, ყურადღებით დააკვირდა ხან ერთს, ხან მეორეს და უმწეოდ გააქნია თავი, მერე სახეზე ანცმა ღიმილმა გადაურბინა, უფრო ახლო მდგომს ნაწნავებზე წასწვდა, მოქაჩა და წამსვე მის ლოყაზე სილის ლაწანი გაისმა. ტრუდამ ლოყაზე ხელი მიიდო და აღტაცებულმა წამოიძახა:

— ესაა ლუიზა! — ბავშვების ყრიამული ჭერს სწვდება.



* * *

ლუიზამ და ლოტამ სოფელში გასეირნების ნებარ-თვა აიღეს. გოგონებმა გადაწყვიტეს, უსათუოდ სურათზე აღებეჭდათ გაორებული ლოტა და შემდეგ ფოტოსურა-თები შინ გაეგზავნათ, რომ თავისიანები გაეოცებინათ.

ფოტოგრაფი, ვინმე ბატონი აიპელდაუერი, ჯერ შეცბა, მაგრამ მერე თავი გამოიდო და ექვსი სხვადასხვანა-ირი სურათი გადაიღო, თანაც გოგონებს შეჰპირდა, ათ დღეში დაგიმზადებთო.

ბავშვები რომ გაისტუმრა, ბატონმა აიპელდაუერმა ცოლს გაანდო:

— იცი, რა? რამდენიმე კრიალა ასლს ილუსტრირებული ჟურნალის რედაქციას გავუგზავნი. ისინი ზოგჯერ ასეთი რამეებითაც ინტერესებიან ხოლმე.

აიპელდაუერის სახელოსნოს წინ ლუიზამ დაუყოვ-ნებლივ გაიშალა „სულელური ნაწნავები“, რადგან ეს

ვარცხნილობა სწორედ რომ გუნებას უფუჭებდა. მარტო ის რად ღირდა, ჩამოშლილ კულულებს რომ შეარხევდა, წამსვე ჩვეული სიმკვირცხლე უბრუნდებოდა და ისევ იმ ახტაჯანა გოგონად იქცეოდა. აგერ ლოტა ლიმონათზე დაპატიჟა. ლოტა მოიბუზა, მაგრამ ლუიზამ შეუპოვრად შეუტია:



— იცოდე, უარი არ მითხრა, გუშინწინ მამაჩემის გამოგზავნილი სახარჯო ფული მივიღე, აბა, წავიდეთ.

გოგონები სატყეოსაკენ მისეირნობენ. ტყისპირა ბაღში ჩაამოსხდნენ, ლიმონათი დალიეს და ტიტინებენ.

იქვე, სასტუმროს მაგიდების ქვეშ, ქათმები იქექები-

ან, ბებერმა მეძებარმა ორივე სტუმარი დაყნოსა და ნება დართო, დარჩითო.

— დიდი ხანია, რაც მამა მოგიკვდა? — ჰკითხა ლუიზამ ლოტას.

— არც კი ვიცი, დედა არაფერს მეუბნება და არც მე ვაწუხებ შეკითხვებით.

ლუიზამ თავი დახარა.

— მე კი დედა სულ არ მახსოვს. ადრე მამას როიალზე დედაჩემის დიდი სურათი ედგა. ერთხელ, ამ სურათს რომ ვათვალიერებდი, მამამ შემომისწრო. მეორე დღეს სურათი სადღაც გაქრა, ეტყობა, მამამ საწერი მაგიდის უჯრაში შეინახა და ჩაკეტა.

ქათმები კრიახებენ. მეძებარი ძაღლი თვლემს. ორი პატარა გოგონა, ერთი მამით ობოლი, მეორე კი — დედით, ლიმონათს მიირთმევს.

— შენც ცხრა წლისა ხარ, არა? — ჰკითხა ლუიზამ.

— ჰო! — თავი დაუქნია ლოტამ, — თოთხმეტ ოქტომბერს ათისა გავხდები.

ლუიზა წამოიწია: „თოთხმეტ ოქტომბერსო?!“.

— ჰო, თოთხმეტ ოქტომბერს.

ლუიზა ლოტასაკენ გადაიხარა და წასჩურჩულა:

– მეც!

ლოტა გაშეშდა.

სახლის უკან ქათმები კრიახებენ. მეძებარი ძაღლი ცხვირწინ მოზუზუნე ფუტკარს უტევს. საშზარეულოს ღია ფანჯრიდან მეტყევის ცოლის სიმღერა მოისმის.

ორი ბავშვი მონუსხულივით ჩასცქერის ერთმანეთს თვალებში.

ლოტამ ნერწყვი ძლივსღა გადაყლაპა და აღელვებული მიუბრუნდა ლუიზას.

— სად ხარ დაბადებული?

— ლინცში, დუნაიზე.

ლოტამ გაფიცხებული ტუჩები ენით გაისველა და თქვა:

— მეც!

დადუმებულა ბაღი. ხის კენწეროები ირხევა მხოლოდ. იქნება ცაში მქროლავი ბედისწერა ფრთით მიეალერსა მათ და აათრთოლა?!

— დედა... დედაჩემის სურათი კარადაში მაქვს შენახული, — ძლივს ამოღერღა ლოტამ.

— მაჩვენე, რა! — ლუიზა წამოხტა, სკამებს შუა გაძვრა და ლოტაც თან გაიყოლა.

— ჰაიტ! — მიაძახა ვიღაცამ გაჯავრებით უკან, — რა, ახალი მოდაა, ლიმონათი მიირთვათ, ფული კი არ გადაიხადოთ?! — ეს მეტყევის ცოლი გახლდათ.

ლუიზა შეკრთა, აცახცახებული თითები პატარა საფულეში მოაფათურა, ქალს დანახარჯი ხელში შეაჩეჩა და წამსვე ლოტას დაეწია.

— ხურდა გერგებათ! — მიაძახა ქალმა, მაგრამ ვის ესმოდა. გოგონები თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ, თითქოს მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი ახლა უნდა გადაწყვეტილიყო.

— ნეტავ, რას დაუფეთებია ეს ბატის ჭუჭულები? — ჩაიბუტბუტა ქალმა და შინ შებრუნდა. ბებერი მეძებარი ძაღლიც ძუნძულით აედევნა.

* * *

ბავშვთა პანსიონატში მისვლისთანავე ლოტა კარადას მივარდა. შეფუთული თეთრეულის ქვემოდან სურათი გამოაძრო და ათასთახებულ ლუიზას გაუწოდა. შიშისაგან ელდანაცემმა ლუიზამ სურათს დახედა, მერე მზერა ერთბაშად გაუნათდა, ლამისაა თვალებით შეჭამოს ქალის სახება. ლოტა მოუთმენლად შეჰყურებს. მოძალებული ბედნიერებისაგან გათანგულმა ლუიზამ სურათი დაუშვა და ბედნიერმა თავი დაუქნია. მერე გახელებულმა მკერდზე მიიკრა სურათი, ბაგეები შეატოკა და ამოიჩურჩულა:

— ჩემი დედიკო!

— ჩვენი დედიკო!

პატარა გოგონები ერთმანეთს ჩაეკონნენ.

ამ ახლად გამყღავნებულ საიდუმლოს იქით კიდევ ბევრი გამოცანა თუ იდუმალება მოელით...

გონგის გუგუნმა სახლს გადაურბინა. ბავშვებმა ყივილ-ხივილით აირბინეს კიბის საფეხურები. ლუიზა

კვლავ აპირებდა სურათის კარადაში დამალვას, მაგრამ ლოტამ შეაჩერა:

— მიჩუქნია შენთვის!

* * *

ფროილაინ ულრიკე ბიუროში მასწავლებელთა საწერი მაგიდის წინ იდგა, აღელვებისაგან ლოყები აფორეჯებია.

— არა და არა! აღარ შეიძლება დაგიმალოთ ეს ამბავი!

— როგორც იქნა, ამოთქვა მან, — მინდა ვიცოდე, რა უნდა ვიღონოთ!

— რა დარდი შემოგწოლიათ გულზე, ჩემო კეთილო? — მიმართა მას ფრაუ მუთეზიუსმა.

— ისინი სულაც არ არიან ასტროლოგიური ტყუპები!

— ვინ ისინი, — სიცილით ეკითხება ფრაუ მუთეზიუსი, — ინგლისის მეფე და თერმი?

— არა, ლუიზა პალფი და ლოტა კერნერი. მიღების დავთარი გადავათვალიერე და ამოვიკითხე, რომ ისინი ერთსა და იმავე დღეს დაბადებულან ლინცში. რომელ დამთხვევაზე შეიძლება ლაპარაკი!

— შესაძლოა, ეს ასეც იყოს, ჩემო ძვირფასო, ამაზე მეც მიფიქრია.

— მაშ, თქვენ იცოდით ეს ამბავი? — ჰკითხა გამგეს ფროილაინ ულრიკემ და ღრმად ამოისუნთქა.

— რასაკვირველია! ლოტას ჩამოსვლისთანავე გამოვკითხე დაბადების თარიღი, სიაში ხომ უნდა შემეტანა. მონაცემები ლუიზას დაბადების დღესა და ადგილს შევუდარე. მაშინვე მენიშნა.

— დიახ! დიახ! კიდევ რაღაც უნდა მოხდეს?

— არაფერიც არ მოხდება!

— არაფერი?

— დიახ! თუ ამაზე კრინტი დაგიძრავთ, ორთავ ყურს დაგაჭრით, ჩემო კარგო!

— მაგრამ . . .

— არავითარი „მაგრამ", ბავშვები ბაიბურშიც არ არიან. აგერ, ერთად გადაიღეს სურათები და ალბათ შინაც გაგზავნიან. კვანძი თუ გაიხსნა, ხომ კარგი, თუ არადა, ბედთან თამაშს უნდა ვერიდოთ! მადლობას მოგახსენებთ, თქვენი ვარაუდი რომ გამანდეთ, ახლა მზარეულ ქალს უხმეთ, გეთაყვა!

ბიუროდან გამოსულ ფროილაინ ულრიკეს არცთუ დიდად ბრძნული სახე აქვს, თუმცა ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

თავი მესამე

ახალი კონტინენტების აღმოჩენა. გამოცანას გამოცანა მოსდევს. ორად გაყოფილი სახელი. კუშტი ფოტოსურათი და მხიარული ბარათი. შტეფის მშობლები გაყრას აპირებენ. შეიძლება კი ბავშვების გაჩენა?

ამასობაში დრო გადის. დროს უკან ვერ მოაბრუნებ.

როგორ გგონიათ, დაიხსნეს პატარა გოგონებმა ბატონ აიპელდაუერისაგან ფოტოსურათები? რა ხანია! კი მაგრამ, არ ჩაეკითხათ ცნობისმოყვარე ფროილაინ ულრიკე, სურათები შინ გაგზავნეთ თუ არაო? ასეც მოხდა! მერედა, გოგონებმა თანხმობის ნიშნად თავი არ დაუქნიეს? ესეც, რა ხანია, მოხდა!

სინამდვილეში კი კარგა ხანია, ნაკუწ-ნაკუწად ქცეული ფოტოსურათები ზეებიულის მომიჯნავე ლაყვარდოვანი ტბის ფსკერზე განისვენებს. ბავშვებმა ფროილაინ ულრიკე მოატყუეს, რომ საიდუმლო მაგრად შეენახათ. დიახ, საიდუმლო მათ შორის დარჩა და მისი გამყღავნებაც მათზე ჰკიდია. ვინც მათ შინაურ საქმეებში არამკითხე მოამბესავით ჩაყოფს ცხვირს, ყველას უბოდიშოდ

ყინულზე გააცურებენ. სხვანაირად არ იქნება. ლოტასაც სინდისი სუფთა აქვს, ეს კი ბევრს ნიშნავს.

გოგონები თითქოს ერთმანეთს მისწებებიან და არ შორდებიან. ტრუდა,შტეფი, ქრისტინა და სხვა ბავშვები ბრაზობენ ლუიზაზე, ეჭვიანობენ ლოტაზე, ხელი ჩაქნეული აქვთ, აღარაფერი ეშველებათ, ახლაც სადღაც გადაკარგულანო.

გოგონებს კი ამჯერად გარდერობში შეურგავთ თავი. ლოტამ კარადიდან ორი ერთნაირი წინსაფარი გადმოიღო, ერთი თავად მოირგო, მეორე დაიკოს გაუწოდა და უთხრა:

— ეს წინსაფრები დედამ ობერპოლინგერთან იყიდა.

— ჰო, ნოიჰოიზენშთრასეზე რომ მაღაზიაა, არა? რა ჰქვია იმ კარიბჭეს?

— სწორია, კარკსტორთან...

ისინი უკვე გაეცნენ ერთიმეორის ახლობელთა ზნეჩვეულებებს, თანაკლასელებს, მასწავლებლებს, მეზობლებს და ოჯახსაც, ლუიზას უსაზღვროდ აინტერესებს ყოველი წვრილმანი, რაც დედას შეეხება, ლოტა კი გაფაციცებულია, ჩამოაკაკლინოს დაიკოს, თუ კი რამ უწყის მამამისზე. მთელი დღეები ამ საუბარში არიან. ღამღა-

მობითაც ლოგინში საათობით ჩურჩულებენ. თითოეული მაოგანი მეორის არსებას ეზიარება, თითქოს ახალი კონ-ტინენტი აღმოუჩენიაო, რაც აქამდე მათი ბალღური გუ-ლუბრყვილო ცით იყო შემოზღუდული, ერთბაშად გაც-ხადდა, როგორც მათივე სამყაროს ნაკლული ნახევარი. და აღენთნენ ამ ნახევართა გასამთელებლად, რომ ერთი-ანად ეხილათ იგი. არანაკლებ აღელვებდათ ახალი თე-მა, ახალი საიდუმლო — რამ დააშორა ერთმანეთს მათი მშობლები?

— ჯერ დაქორწინდნენ, რაღა თქმა უნდა, მერე ორი პა-ტარა გოგონა შეეძინათ და, ვინაიდან დედას ლუიზელო-ტე ერქვა, აიღეს და ერთს ლუიზა დაანათლეს, მეორეს კი — ლოტა. ეს ძალიან კარგია! მაშინ ჯერ კიდევ უნდა ჰყვარებოდათ ერთმანეთი. ასე არ არის? — აგერ მეასეჯერ კითხულობს ლუიზა.

— რა თქმა უნდა, — მიუგო ლოტამ და დასძინა: — მერე წაიჩხუბნენ, გაშორდნენ და ჩვენც ისევე გაგვიყვეს, რო-გორც დედის სახელი ჩვენი დანათვლისას.

— კი მაგრამ, ჩვენც ხომ უნდა დაგვკითხებოდნენ, ასე შუაზე გაყოფას თუ გვიპირებდნენ.

— ჩვენ ხომ მაშინ ლაპარაკიც არ ვიცოდით.

დებმა უმწეოდ გაიღიმეს, მერე ხელიხელჩაკიდებულები ბაღისაკენ გაემართნენ.

* * *

ფოსტა მოსულა. ბალახში, ბაღის კიდეზე თუ ჩარიგებულ მერხებზე გოგონები მოკალათებულან და თავ-თავიანთ ბარათებში ჩაურგავთ თავი.

ლოტას ოცდათხუმეტიოდე წლის მამაკაცის სურათი უჭირავს ხელში და ალერსიანად ათვალიერებს.

აი, თურმე, როგორ გამოიყურება?! აი, ასე გაიხარებს ნორჩი გული, თავის ღვიძლ მამას რომ იპოვის!

ლუიზაც იქვე უზის და მამის წერილს კითხულობს:

„ჩემო საყვარელო ერთადერთო გოგონი!“

— ეჩთი ამ მატყუარას დამიხედეთ! — წამით ახედავს დაიკოს ლუიზა, — მას ხომ კარგად მოეხსენება, ტყუპები რომ ჰყავს! — მერე კითხვას განაგრძობს:

„ნუთუ დაგავიწყდა შენი სახლ-კარი და მამაშენი, რომ დაყინებით ფოტოსურათის გამოგზავნას მთხოვ, ისიც ამ არდადეგების მიწურულს? ჯერ დავაპირე ბავშობისდრო-ინდელ სურათს გავუგზავნი-მეთქი. აი, სულ პაწია, დედი-შობილად რომ ვარ გაგორებული დათვის ტყავზე, მაგრამ შენ მწერდი, უსათუოდ ახლანდელი სურათი გამომიგზავ-ნეო. თუმცა ამისათვის სულ არ მეცალა, მაინც გავვარდი ფოტოგრაფთან და ავუხსენი, რისთვის მჭირდებოდა ასე სახელდახელოდ სურათის გადაღება; უამისოდ ჩემი ლუ-იზა ვეღარ მიცნობს, სადგურზე რომ დავხვდები-მეთქი. საბედნიეროდ, იგიც მიმიხვდა და, აჰა, სურათს დროზე მიიღებ, იმედია, მანდაურ აღმზრდელებს ისე არ აწამებ, როგორც მამაშენს, ათასგზის მოკითხვას რომ გითვლის შენი მონატრული!“

— საუცხოოა, თან კი მხიარული, — თქვა ლოტამ, — მაგრამ სურათში რომ მოღუშულა?!

— ალბათ, ფოტოგრაფის წინაშე გაღიმება ითაკილა, —

თქვა ლუიზამ, — სხვებთან მუდამ კოპებს იკრავს; როცა შინა ვართ მარტონი, გიყვარდეს, ხუმრობს!

ლოტამ სურათი ჩაბღუჯა და ლუიზას უთხრა:

— მართლა მაჩუქებ?

— რასაკვირველია, ეგ ხომ შენთვის გამოვაგზავნინე!

იქვე ბაღის მერხზე ფუნთუშალოყება შტეფი ჩამომ-ჯდარა, ხელში ბარათი უჭირავს და ქვითინებს. ჩაპუტკუ-ნებულ ბავშვურ პირისახეზე ღაპაღუპით მოთქრიალებს ცრემლები. ტრუდამ გვერდით ჩაუარა და ცნობისმოყ-ვარედ დააცქერდა, მერე გვერდით დაუჯდა, იქნებ, რა-იმე მითხრასო. მეორე მხრიდან შტეფის ქრისტინა მიუჯ-და. ახლა ლუიზა და ლოტაც მოვიდნენ და წინ დაუდგნენ ატირებულ გოგონას.

— რა დაგემართა? — ჰკითხა ლუიზამ.

შტეფი ისევ მოგუდულად ქვითინებს, მერე უეცრად თვალები დახარა და წაიდუდუნა:

— ჩემი მშობლებო ერთმანეთს ეყრებიან.

— რა საძაგლობაა! — წამოიძახა ტრუდამ, — გამოგიტ-ყუებენ ვითომ დასასვენებლად და შორს რომ დაგიგულე-ბენ, ასეთ საზიზღრობას სჩადიან!

— მჯერა, რომ მამას ვიღაც სხვა ქალი უყვარს! — სლუ-კუნით ღქვა შტეფიმ.

ლუიზა და ლოტა უმალვე გაეცალნენ იქაურობას — ეს ამბავი ყველაზე მეტად მათ მოხვდათ გულზე.

— მამაჩვენსაც ხომ არ ჰყავს ვინმე სხვა ქალი შეგულ-ვებული? — იკითხა ლოტამ.

— არა, ასე რომ იყოს, არ გამომეპარებოდა!

— იქნება ჰყავს, მაგრამ ჯერ არ უქორწინია?!

ლუიზამ კულულებიანი თავი გააქნია.

— რასაკვირველია, ნაცნობები ბევრი ჰყავს, ქალებიც, მაგრამ არც ერთთან ისე დაახლოებული არ არის, თუნ-დაც შენობითაც რომ მიმართოს. იქნებ დედასაც ჰყავს ვინმე მეგობარი ამორჩეული?

— არა! — დარწმუნებით მიუგო ლოტამ. — დედას ჩემზე

ზრუნვისა და სამსახურის გარდა ქვეყანაზე არაფრის გაგონება არ უნდა. თვითონაც ამბობს ხოლმე.

ლუიზა ცოტა არ იყოს, დაბნეული შესცქეროდა დაიკოს.

ლოტა ჩაფიქრდა.

— იქნებ სასამართლოში სულაც არ ჰქონიათ საქმე, აი თუნდაც შტეფის მშობლებივით?!

— მაშინ რად განმარტოებულა მამა ვენაში და დედა — მიუნხენში? — არ ცხრება ლუიზა, — ან ჩვენ რისთვისღა გაგვყვეს?!

— ანდა, — გააწყვეტინა ჩაფიქრებულმა ლოტამ, — რატომ არ გაგვიმხილეს, რომ ტყუპისცალები ვყოფილვართ?! რატომ დაგიმალა მამამ, რომ დედა ცოცხალია?!

— ან შენ რატომ დაგიმალა დედამ, რომ მამა ცოცხალი გვყავს?! — თქვა დოინჯშემოყრილმა ლუიზამ, — მშობლები ამისთანა უნდა! ნახე, როგორ გაოცდებიან, ერთ დღეს ჩვენს ამბავს რომ მივახლით.

— ეგ როგორ იქნება, ჩვენ ხომ ბავშვები ვართ! — გაუბედავად წარმოთქვა ლოტამ.

— მხოლოდ ბავშვები! — თქვა ლუიზამ და კულულებიანი თავი გააქნია.

თავი მეოთხე

ყელში ამოვიდა ერბოკვერცხი. საიდუმლო რვეულები. სკოლის გზა და ძილისპირული ამბორი. შეთქმულება იკვანძება. ბაღში გამართული ზეიმი გენერალურ რეპეტიციად გამოიყენეს. გამომშვიდობება ზეებიულ-ბიულ-ზეესთან.

იწურება არდადეგები. კარადებში შეწყობილი თეთრეულის ფუთები დღითი დღე ილევა. ზეებიულთან განშორების ბალღური სევდა და შინ დაბრუნების სიხარული ერთად ჩაბუდებულა ნორჩთა გულებში.

ფრაუ მუთეზიუსმა გამოსამშვიდობებელი საღამოს თადარიგი დაიჭირა. ერთი გოგონას მამამ, მაღაზიის მესაკუთრემ, მთელი ყუთი ნათურები, გირლანდები და სხვა მრავალი ნივთი გამოგზავნა. ბავშვებმა და მათმა აღმზრდელებმაც არ დააყოვნეს, ვერანდა და ბაღი სულ ერთიანად დააწკრიალეს. ისინი სამზარეულოს მისადგმელ კიბეს დაატარებდნენ და ხის ფოთლებში ფერად-ფერად ნათურებს კიდებდნენ, ტოტიდან ტოტზე გირლანდების ხვეულებს ამაგრებდნენ, გრძელ მაგიდაზე ლატარია მო-

ეწყოთ, რისთვისაც რამდენიმე გოგონას ნომრებიც ჩამოეწერა. ყველაზე დიდ მოგებად წყვილი სასრიალო გორგოლაჭები იყო დაწესებული.

— კაცმა რომ თქვას, სად არიან ახლა „კულული“ და „ნაწნავი“ (ასე შეარქვეს ამ ბოლო დროს ლუიზასა და ლოტას)? — იკითხა ფროილაინ ულრიკემ.

— აჰ, ეს ქალბატონები! — გაჰკიცხა ისინი მონიკამ, — სადმე მოლზე იქნებიან მოკალათებული, თანაც ხელი-ხელჩაკიდებულნი — ქარმა არ წამოუბეროს და ერთმანეთს არ მოგვწყვიტოსო.

ნამდვილად კი ტყუპებს სულაც არ ეცალათ მოლზე სანებივრად. სატყეოს პარკში განმარტოებულიყვნენ, რის ხელიხელჩაკიდებულნი — წინ პაწია რვეულები დაედოთ და ფანქრები მოემარჯვებინათ. ლოტა სხაპასხუპით კარნახობდა და ლუიზაც ბეჯითად ჯღაბნიდა: დედას საქონლის ხორცისაგან გაკეთებული ატრიის წვნიანი ყველა კერძს ურჩევნია. საქონლის ხორცს ყასაბ ჰუბერთან იყიდი. თანაც ნახევარი გირვანქა ნეკნისა შეარჩიე ხოლმე.

ლუიზამ თავი ასწია და წარმოთქვა:

— ყასაბი ჰუბერი, მაქს-ემანუელ- შტრასეზე, პრინცოიგენ-შტრასეს კუთხეში.

ლოტამ მოწონების ნიშნად თავი დაუქნია და განაგრძო:

— საოჯახო წიგნი სამზარეულოს კარადაში ინახება, სულ ქვედა თაროზე, მარცხენა კუთხეში. შიგ ყველა იმ კერძის რეცეპტია, დამზადება რომ არ მიჭირს.

ლუიზამ ჩაინიშნა:

— საოჯახო წიგნი... სამზარეულოს კარადა... ქვედა თარო, სულ მარცხნივ. — მერე იდაყვებს დაეყრდნო და ლოტას მიმართა: — კერძის მომზადება ღვთის რისხვასავით მაშინებს. თუ პირველ დღეებში ცუდად წამივიდა საქმე, ვიტყვი, არდადეგებზე გადამვიწყნია-მეთქი, შენ რას იტყვი?

ლოტა ცოტა ხანს შეყოყმანდა, მერე თავი დაუქნია:

— ესეც რომ არა, შეგიძლია მაშინვე მომწერო შენი გასაჭირი, ყოველდღე შევივლი ფოსტაში და შენს ბარათს მოვიკითხავ.

— მეც, — მიუგო ლუიზამ, — ოღონდ ხშირად მომწერე!.. მოითხოვე, რაც კი მოგესურვოს, რესტორან „იმპერიალში"; მამას ძალიან უხარია, როცა მადიანად ვჭამ.

— ჰო, მაგრამ რა მეშველება, რომ ასე ძალიან გყვარებია სწორედ ეგ საძაგელი ერბოკვერცხი. რაც არის, არის! მე კი ხბოს ხორცის შნიცელი და გულიაში მირჩევნია!

— პირველ დღეს როგორმე გაუძელი სამი, თუნდაც ოთხი-ხუთი ულუფა ერბოკვერცხის ჭამას, მერე მამას ეტყვი, კვერცხი დასანახავად მეზარება-თქო.

— ამას კი მოვახერხებ! — მიუგო დაიკომ, თან ხუთი ულუფა ერბოკვერცხის ხსენებაზეც კი ლამისაა, კუჭი

ამოუბრუნდეს, თორემ შეჭმას ვინღა ამბობს? მაგრამ ვი-თომც არაფერიაო.

გოგონებმა კვლავ რვეულებში ჩარგეს თავი და მო-რიგეობით ეკითხებიან ერთმანეთს თანაკლასელთა სახე-ლებს, რომელ მასწავლებელს რა თვისება-ხასიათი აქვს, ვინ რომელ მერხზე ზის; ნაბიჯ-ნაბიჯ სწავლობენ სკო-ლისაკენ მიმავალ გზას.

— შენ უფრო გაგიადვილდება სკოლის მიგნება, — ეუბ-ნება ლუიზა, — პირველ დღეს ტრუდას უთხარი, სკოლაში წამყევი-თქო, ასეთ რამეებს იგი დაჩვეულია. შენც კუდში აედევნე და გზადაგზა დაიხსომე ყოველი კუთხე-კუნჭუ-ლი.

ლოტა ჯერ თავს უქნევდა, მერე ერთბაშად შეკრთა და წამოიძახა:

— კინაღამ დამავიწყდა, მეთქვა: ღამით, დედა ლოგინში რომ ჩაგაწვენს, ძილი ნებისა-უნდა უსურვო და უსათუოდ აკოცო.

ლუიზა წინ იყურება

— ამის ჩაწერა რა საჭიროა, მაგას რა დამავიწყებს!

ხედავთ, რა ქსელი იბმება? ტყუპებს უნებებიათ, ჯერ-ჯერობით მშობლებსაც არ გაუმხილონ თავიანთი მიხ-

ვედრილობა. სურთ, მშობლები რაიმე ახალი გადაწყვეტილების წინაშე დააყენონ. ალდოთი გრძნობენ, რომ ამის უფლება არა აქვთ და ეშინიათ, უფროსებს რაიმე ისეთი არ ჩაადენინონ, რაც ერთბაშად და საბოლოოდ გააქარწყლებდა ტყუპი დების ბედნიერებას. ამასთან, ერთმა ამბავმა ჩააფიქრათ: იქნებ, სჯობდა, თავ-თავიანთ სახლებში დაბრუნებულიყვნენ, ვითომც აქ არაფერი მომხდარიყოს, და მშობლების მიერ მათთვის დაუკითხავად მიჩენილ სანახევროში განეგრძოთ წინანდებურად ცხოვრება?! არა და არა! მორჩა და გათავდა! შეთქმულება იკვანძება! სევდამ და ფათერაკების ყინმა შემდეგნაირი ფანტასტიკური გეგმა წარმოშვა: ერთმანეთს უნდა შეუცვალონ ტანისამოსი, თმის ვარცხნილობა, ყოფა! კოხტანაწნავიანი ლუიზა დედიკოს „დაუბრუნდება“, ჯერ მარტო სურათით რომ ცნობს (თვითონაც სიკოხტავე და სიცქრიალე მართებს), ხოლო კულულებიანი ლოტა მკვირცხლი და ხალისიანი იერით უნდა გამოეცხადოს მამას.

მომავალი ფათერაკებისათვის საფუძვლიანად მოემზადნენ, რვეულები სულ ერთიანად ააჭრელეს შენიშვნებით — არეებიც არ დაუტოვებიათ. თუ საქმე გაჭირდა,

ანდა მოულოდნელი თავსატეხი გამოუჩნდათ, ფოსტით მოსაკითხ ბარათებს მიაწვდიან ერთმანეთს.

ეგების, მათმა ერთიანმა ზრუნვამ ბოლოს და ბოლოს ნათელი მოჰფინოს გამოცანას — რატომაა, მათი მშობლები ცალ-ცალკე რომ ცხოვრობენ. მერე კი, ვინ იცის, ერთ მშვენიერ, სასწაულებრივ დღეს ერთად შეიყარონ დედ-მამა და ორივე დაც საბაასოდ, მაგრამ ამაზე ჯერ ფიქრიც ვერ გაუბედავთ.

* * *

გამგზავრების წინა საღამოს ბაღში გამართული ზეიმი ტყუპებმა გენერალურ რეპეტიციად გამოიყენეს. ლოტა ლუიზასავით კულულებიან ახტაჯანად იქცა, ლუიზა კი — ნაწნავებიან ცქრიალა ლოტად. არც არავის შეუმჩნევია რაიმე, თვით ლუიზას ვენელ თანაკლასელ ტრუდასაც კი. გოგონები სიცილს ვერ იკავებდნენ, შეცვლილი სახელებით რომ მიმართავდნენ ერთმანეთს.ლოტა ნამდვილი ალქაჯივით ხტოდა და ყირაზე გადადიოდა, ხოლო ლუიზა ისე ინაბებოდა, გეგონებოდათ, ბუზს ვერ ააფრენს და ჭიანჭველას ფეხს ვერ დაადგამსო, ხის ვარჯებში ნათურები კიაფობდა. საღამოს სიო არხევდა გირლანდებს. იწურე-

ბოდა ზეიმიც და არდადეგებიც. ლატარიის მოგებები გაანაწილეს. პირველი ჯილდო – წყვილი სასრიალო გორგოლაჭი საცოდავ გოგონას, შტეფის ერგო (ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც კარგიაო!).

თავიანთი როლების ერთგულმა გოგონებმა ლოგინებიც გაცვალეს და ბოლოს ჩაეძინათ. მბორგავ სიზმრებშია მათი აწრიალებული სული. ლოტას, მაგალითად, ასეთი რამ ეზმანა: ვითომ, ვენის ვაგზალში დაახვედრეს ბუნებრივზე მეტად გადიდებული მამის სურათი. სურათის გვერდით სასტუმროს თეთრჩაჩიანი მზარეული დგას, იქვე მოუგორებია ურიკა,ურიკაზე ერბოკვერცხით მოპირთავებულ თეფშს ოხშივარი ასდიოდა.

მეორე დილით, გარიჟრაჟისას, ზეებიულ-ბიულზეეში ბაქან ეგერნს ორი სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი მატარებელი მოადგა. გუნდ-გუნდად, ჟრიამულით მიძვრებიან კუპეებში პატარა გოგონები.

ლოტა სარკმელს გადმოჰყუდებია. მეორე მატარებლის სარკმლიდან ლუიზას უქნევს ხელს, ღიმილით ამხნევებენ ერთმანეთს. ორივეს სულ უფრო და უფრო უფანტქალებს გული, როგორც მსახიობს სცენაზე პირველად გასვლის წინ. ორთქლმავლის ქშენა და კვამლის ბოლქვები რომ

არა, ვინ იცის, უკანასკნელ წუთს გოგონებს იქნებ კი-
დეც...

მაგრამ არა, გამგზავრების გეგმა გაჩარხულია! სად-
გურის მორიგემ თავისი კვერთხი ასწია. მატარებლებიც
მაშინვე დაიძრნენ. ხელს უქნევენ ერთმანეთს გოგონები.

ლოტა, ლუიზად ქცეული, ვენაში მიემგზავრება, ლო-
ტად ქცეული ლუიზა კი — მიუნხენს.



თავი მეხუთე

*ჩემოდანზე წამოსკუპული ბავშვი. „იმპერიალის“ მარ-
ტოხელა ძიები. პეპერლისა და, საერთოდ, ცხოველთა უტ-
ყუარი ინსტინქტი. „ლუიზა“ მამას ეკითხება, შეიძლება
ოპერაში ხელი დაგიქნიოო? შეცდომები საოჯახო წიგნში.
შირლეი ტემპლეს მისივე მონაწილეობით გადაღებული
ფილმების ნახვას უკრძალავენ. ბატონი კაპელმაისტერის
რთული შინაგანი ცხოვრება.*

მიუნხენი, მთავარი ვაგზალი. მეთექვსმეტე ბაქანი. ორთქლმავალი გაჩერდა და ქაქანით მოითქვა სული. მგზავრთა ნაკადებში დამხვდურთა კუნძულები გამოირ-ჩა. სახეგაბრწყინებულ მშობლებს ყელზე ეკონწიალები-ან პატარა გოგონები. დიდიან-პატარიანად გულაჩვილე-ბულნი ისე ქაქანებენ, გეგონებათ, ვაგზალში კი არა, შინ არიანო.

თანდათანობით დაცარიელდა ბაქანი.

ბაქანზე მხოლოდ ერთი ნაწნავებიანი გოგონა დარჩა. გუშინდლამდე ამ გოგონას კულულები ეყარა თავზე და ლუიზა პალფი ერქვა.

ჩემოდანზე წამოსკუპულა და ტუჩები მოუკუმავს. ხუმრობა ბაქმე როდია, უცხო ქალაქის ვაგზალზე ელოდო დედას, მხოლოდ ფოტოსურათით რომ გაგიცვნია, ის კი იგვიანებდეს.

* * *

ფრაუ ლუიზელოტე პალფი, აგერ ექვსნახევარი წელიწადია (განქორწინების შემდეგ), ქალიშვილობის გვარი კერნერი რომ დაუბრუნებია, „მიუნხენის ილუსტრირებული მოამბის" გამომცემლობის მხატვრულ რედაქტორად მუშაობს. მაიცდამაინც დღეს შეყოვნდა რედაქციაში — საგანგებო გვერდზე გასაშვებ ახალშემოსულ მასალებს ჩაჰკირკიტებდა.

როგორც იქნა, ტაქსი დაიჭირა, ბაქანზე გასასვლელი ბილეთი აიღო, შორი მანძილი გაირბინა და მეთექვსმეტე ბაქანს მიაღწია.

ბაქანი დაცარიელებული იყო.

თუმცა არა — სულ ბოლოში პატარა გოგონა წამოსკუპულიყო ჩემოდანზე. ქალიც ელვისებურად გაიქცა მისკენ.

ჩემოდანზე დასკუპულ პატარა გოგონას მუხლები

უკანკალებდა. რაღაც იდუმალ გრძნობას მოეცვა მისი ბავშვური გული.

ნეტავ, ეს ახალგაზრდა, მკვირცხლთვალება, ცოცხალი ქალი ხომ არ არის დედამისი!

— დედა! — ლუიზა ყელზე ჩამოეკიდა დედას.

— ჩემო პატარა დიასახლისო! — ცრემლმორეული ჩურჩულებს ახალგაზრდა ქალი, — როგორც იქნა, დამიბრუნდი, მეღირსა შენი ნახვა!

და დედის ლბილ სახეს, მის ლამაზ თვალებს, ტუჩებს, თმასა და შნოიან კუნკულა ქუდს, დიახაც ქუდს, ამოდ ეკონება ბავშვის ციცქნა ბაგეები.

* * *

ვეცნ-ს სასტუმრო „იმპერიალის“ რესტორანიცა და სამზარეულოც მხიარულ ფაციფუცშია. მუდმივი სტუმრებისა და თანამშრომლების სათაყვანო გოგონა, ოპერის დირიჟორის პალფის ქალიშვილი დაბრუნებულაო.

ლოტა, მოგვიტევეთ, ლუიზა ჩვეულებისამებრ გამოჭიმულა ფაფუკი ბალიშებით შემოწყობილ სკამზე და ჭირივით საძულველ ერბოკვერცხს შეექცევა. მუდმივი სტუმრები რიგრიგობით ეახლებიან, კულულებზე ეფერებიან, მხრებზე ხელს უთათუნებენ და ეკითხებიან, პანსიონატი როგორ მოგეწონაო. რაც უნდა იყოს, მაინც ვენაში, მამიკოსთან გირჩევნიაო. თანაც ნაირ-ნაირ საჩუქრებს უწყო-

ბენ მაგიდაზე – ეს შაქარყინულიო, შოკოლადიო, გულიანი კანფეტებიო, ფერადი ფანქრებიო; ის კი არა, ერთმა სტუმარმა ჯიბიდან რაღაც ძველმოდური, პაწია ნაქარგი ამოიღო, თან დარცხვენილად თქვა, ცხონებული ბებიაჩემის ნაქონიაო, მერე ყველამ სათითაოდ დაუკრა თავი კაპელმაისტერს და თავ-თავის მაგიდას დაუბრუნდნენ. დღეს მაინც ჩაატანენ გემოს საჭმელს მარტოხელა ძიები!

მაგრამ ყველაზე უფრო, რასაკვირველია, თვითონ ბატონ კაპელმაისტერს გაეხსნა მადა. და ამ კაცს, ვისაც „ჭეშმარიტი ხელოვანის" მარტოსულობის აუცილებლობა აგრე ესალბუნებოდა გულს და ჩავლილი ქორწინება მოქალაქეობრივ შეცოდებად მიაჩნდა, დღეს „ხელოვანისათვის უცხო" სითბო და ინტიმურობა ჩაღვროდა გულში. როცა ქალიშვილი მოკრძალებული ღიმილით წაეტანა მის ხელს, თითქოს ეშინია, მამა არსად გამექცესო, მაშინ კი მოიღვენთა კაცი, გეგონებოდათ, ცომის გუნდა ებჯინებოდა ყელში და ბარკლის ჩამონათალს კი არა, ატრიას შეექცეოდა.

ჰოი, კვლავ აქეთ მოემართება კელნერი[1] ფრანცი და ისევ ერბოკვერცხი მოაქვს, რწევა-რწევით მოდის.

– მეტი აღარ შემიძლია, ბატონო ფრანც!

---

[1] კელნერი – მიმტანი, ოფიციანტი.

— კი, მაგრამ, ლუიზერლ, ეს ხომ მხოლოდ მეხუთე ულუფაა! — უსაყვედურა კელნერმა.

როცა ოდნავ განაწყენებულმა ბატონმა ფრანცმა ერ-ბოკვერციოურთ სამზარეულოსაკენ შეაბრუნა იალქანი, ლოტამ გაბედა და მამას უთხრა:

— იცი რა, მამა, ხვალ დილიდან მეც იმასვე გეახლები, რასაც შენ დაუკვეთავ.

— ასეა საქმე? შაშხი რომ დავუკვეთო, მაშინ რაღას იზამ, ხომ ცუდი დღე დაგადგება! — უთხრა ბატონმა კა-პელმაისტერმა.

— შაშხიო? არა ! — მიუგო იხტიბარგატეხილმა გოგო-ნამ, — მაშინ ისევ ერბოკვერცხი მირჩევნია (არც ისე ად-ვილი გამოდგა ღვიძლი დის როლის თამაში!)

ამ დროს კარის მრჩეველი შტრობლი გამოჩნდა, პეპერლიც თან ახლავს. პეპერლი — ძაღლია.

— შეხე ერთი, პეპერლ, ვინ ჩამოსულა! — სიცილით უთხრა ბატონმა ძაღლს, — მიდი ერთი, შენებურად, ღვთის წყალობა უსურვე ლუიზას!

პეპერლი კუდის ქიცინით მიეჭრა პალფის მაგიდას, რომ ძველ მეგობარს, ლუიზერლს ღვთის წყალობა შეაგებოს. მაგრამ ეს რაა: პეპერლი მაგიდასთან მისუნსულდა, გოგონა ერთი დაყნოსა, ღვთის წყალობა უსურვა კი არა, აინუნშიაც არ ჩაუგდია, ისე იბრუნა პირი ბატონი მრჩეველისაკენ.

— ჰოი, შე სულელო პირუტყვო, — დაუცაცხანა ძაღლს პატრონმა, — რჩეული მეგობარი ვეღარ გიცვნია! რა ვუყოთ, რომ ორი კვირით სოფელში იყო წასული, მოდი ახლა და თქვი, ცხოველებს უტყუარი ინსტინქტი აქვთო!

ლოტა კი გულში ფიქრობს:

— კიდევ იღბალი, რომ ბატონი მრჩევლები ისე ალღოიანი ვერ არიან, როგორც მათი ძაღლები!

* * *

სასტუმროს მუდმივი სტუმრების ძღვნით, ჩემოდნით, დედოფალათი და სააბანოვე ჩანთით დატვირთული ბატონი კაპელმაისტერი და მისი ქალიშვილი შინ, როტენტურმშტრასეზე დაბრუნდნენ.

ოჯახის მნე ქალი, რეზი, სიხარულით ცას ეწია გოგონას დანახვაზე. მაგრამ ლუიზამ ხომ წინასწარ გაანდო ლოტას: რეზი გვარიანი მატყუარაა და თვალის მოსაჩვენებლად კიდეც მსახიობობსო. მამა, ცხადია, ვერაფერს ამჩნევდა — მამაკაცები ხომ ასეთ რამეებზე თითქოს თვალებს ხუჭავენ.

აი, ახლა მამამ საფულიდან თეატრის ბილეთი ამოაძვრინა, თავის ქალიშვილს გაუწოდა და ეუბნება:

— დღეს მე ვდირიჟორობ ჰუმპერდინკის[1] ოპერას — „ჰენზელს და გრეტელს". რეზი წამოგიყვანს და შინაც იგი დაგაბრუნებს.

— რა კარგია! — გაიბადრა ლოტა, — მერედა, დაგინახავ ჩემი სკამიდან?

— რასაკვირველია!

---

[1] ენგელბერტ ჰუმპერდინკი (1854–1921) ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი, ავტორი ოპერისა „ჰენზელი და გრეტელი". ეს ოპერა ძმები გრიმების იმავე სახელწოდების ზღაპრის მიხედვით არის შექმნილი.



— შენც გამომხედავ?

— რაღა თქმა უნდა!

— შეიძლება ხელი დაგიქნიო, ჩემკენ რომ გამოიხედავ?

— მეც ხელს დაგიქნევ, ჩემო ლუიზერლ!

ამ დროს ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ყურმილში ქალის ხმა გაისმა. მამა, ცოტა არ იყოს სიტყვაძუნწად პასუხობდა. მაგრამ ყურმილი დადო თუ არა, დაფაცურდა, იგი რამდენიმე საათით ცალკე ვილაში უნდა განარტოვდეს მუსიკის შესათხზავად. ბოლოს და ბოლოს, მარტო დირიჟორი ხომ არაა, კომპოზიტორიცაა, ხოლო მუსიკის წერა შინ არ უხერხდება. ამისთვის გაიჩინა ატელიე რინგშტრასეზე, მაშ!

— ხვალ სადილად კვლავ „იმპერიალში“ შევხვდებით ერთმანეთს.

— შემიძლია ოპერაში თავი დაგიკრა, მამი?

— რასაკვირველია, ჩემო გოგონი, ვითომ რატომ არა?! — ჭკვიანურ ბავშვურ შუბლზე ეამბორა, ხელოვანისათვის

ნიშნეულ წოპე თავზე ქუდი დაიმხო და კარი გაიხურა.

ცხოვრების ავბედითობაზე ჩაფიქრებული პატარა გოგონა დინჯად მიუახლოვდა ფანჯარას. დედას არ შეეძლო შინ ემუშავა, არც მამას ნებავს, მძიმე დღეში არიან მშობლები.

მაგრამ ლოტა ხომ დედის ხელში გაიზარდა და მანვე მიაჩვია გოგონა გაბედულებას და პრაქტიკულობას. ამიტომ იყო, რომ უცბადვე მოთოკა მომაბეზრებელი ფიქრი, თავისი რვეული მოიმარჯვა და ლუიზას კვალდაკვალ ძველვენურ ყაიდაზე მოწყობილი სახლის საგულდაგულო თვალიერებას მოსდგა, ისე რომ ოთახი არ დაუტოვებია უნახავი. შემოვლას მორჩა თუ არა, ჩვეულებისამებრ მიუჯდა სასადილო მაგიდას, გვერდზე მიგდებული საოჯახო დავთარი გადაშალა და სვეტებად ჩამოწერილი ხარჯების გაანგარიშებას შეუდგა. ორი რამ უმალვე თვალში მოხვდა გოგონას. ჯერ ერთი, რეზი ყოველ გვერდზე ანგარიშში სცოდავდა, მეორე ის, რომ მუდამ სარგებელში გამოდიოდა.

— რას ნიშნავს ეს? — სამზარეულოს კარს რეზი მოსდგომია.

— შენს დავთარში ყველაფერი ხელახლა დავიანგარიშე.

— ესეც ახალი მოდაა?! სჯობს, სკოლაში იანგარიშო, აქ კი არა! — პირში მიახალა რეზიმ.

— დღეიდან ერთად ვიანგარიშოთ, სკოლაში იმისთვის გვასწავლიან ანგარიშს, რომ ცხოვრებაში გამოგვადგეს. მასწავლებელიც ამას გვეუბნება! — წყნარად მიუგო ბავშვმა, სამზარეულოს სკამიდან ჩამოხტა და კარისაკენ გაეშურა.

გაოცებულმა რეზიმ თვალი გააყოლა.

* * *

ახლა კი, ჩემო პატარა თუ მოზრდილო მკითხველო, დადგა დრო, მოგითხროთ ლუიზასა და ლოტას მშობლებზე, ანუ უპირველეს ყოვლისა იმაზე, თუ როგორ დაცილდნენ ისინი თავის დროზე ერთმანეთს. ამას რომ ვაპირებ, ცოტა არ იყოს, ვშიშობ კიდეც: იქნებ, ვინმე ასაკოვანმა მკითხველმა ამ ამბავთან დაკავშირებით ცხვირი აიბზუოს და მედიდურად წამოიძახოს კიდეც — ეს ვინ ყოფილა, როგორ შეიძლება ასეთი ამბები საქვეყნოდ გამოაჭენო, ბავშვებსაც კი მოუყვეო. ამიტომ გთხოვთ, ხმამაღლა წაუკითხოთ მედიდურთ ასეთი რამ.

შვიდი-რვა წლის შირლეი ტემპლე უკვე საქვეყნოდ

განთქმული კინოვარსკვლავი გახლდათ და მისი წყალობით ამერიკის კინოფირმები მილიონობით დოლარს იხვეჭდნენ. მაგრამ როცა კი პაწია გოგონა, დედასთან ერთად, კინოში შესვლას მოისურვებდა შირლეი ტემპლეს მონაწილეობით შექმნილი ფილმის საყურებლად, ნებას არ რთავდნენ, პატარა ხარო – პატარებს კი კინოში შესვლა ეკრძალებოდათ. მას შეეძლო მხოლოდ ეთამაშა, ეს ნებადართული იყო, საამისოდ არავინ მოჰკითხავდა ასაკს.

და თუ ეს ცხვირაბზუებული კაცი მაინც დაიჩემებს, შირლეი ტემპლეს მაგალითი ლუიზას და ლოტას მშობლების გაყრასთან რა მოსატანიაო, მაშინ ჩემი გულწრფელი სალამი გადაეცით მას და შეახსენეთ ჩემ მაგიერ: ამ ქვეყნად, ალბათ, ბევრი გაყრილი ცოლ-ქმარი მოიძებნება და მათ გამო ბევრი ბავშვი იტანჯება. ბევრი ცოლ-ქმარი კი შვილებს იმითაც ტანჯავს, რომ ერთმანეთს ჯერაც არ გაშორებიან. და თუ ვინმე ფიქრობს, ბავშვები ამგვარ უბედურებას აიტანენო, უწინარეს ყოვლისა, მათთან გვმართებს ამის თაობაზე გონივრული, შემაგონებელი საუბარი. ჩვენი მხრივ, ზედმეტი თავაზიანობა და სწორედ უკუღმართობა იქნებოდა სხვაფრივ მოქცევა.

მაშ ასე, ბატონი კაპელმაისტერი ხელოვანი კაცია და ხელოვანი კი, მოგეხსენებათ, უცნაური არსებაა. თუმცაღა პალფის არც ფართოფარფლიანი შლაპა ახურავს და არც ფარფაშა ჰალსტუხი უკეთია, იცვამს ისე, როგორც კეთილშობილს შეჰფერის, მუდამ სუფთად და თითქმის ელეგანტურად. მაგრამ შინაგანი ცხოვრება! აქ კი რთულადაა საქმე: ჰოი, ეს შინაგანი ცხოვრება! როდესაც მუსიკალური ზეშთაგონება დაეუფლება, მაშინვე უნდა განმარტოვდეს, რათა ჩაინიშნოს და ჰანგად გარდასახოს. ხოლო ეს მუსიკალური შთაგონება სადღა არ მონახავს, თავშეყრილობაშიც კი... სად დაიკარგა პალფი? — კითხულობს ოჯახის თავი და საიდანღაც ისმის პასუხი: — „უთუოდ მუზა ეწვია!“ სახლის პატრონიც ნაძალადევად უმარილოდ გაიღიმებს, გულში კი ამბობს: „ეს რა გაუთლელი ვინმეა, სულ გაქცევაზე როგორ უნდა გეჭიროს თვალი?“ კაპელმაისტერ პალფის სწორედ რომ შეეძლო ამგვარი გაძურწვა!

ის კი არა და, საკუთარი ბინიდან გარბოდა ახლად დაქორწინებული, ჯერ კიდევ ჭაბუკი, სისხლი რომ უდუღ-

და, შეყვარებულიცა და პატივმოყვარეც, მუსიკალური შთაგონებით გადარეული და ნეტარი ერთდროულად!

ის იყო, ტყუპები შეეძინათ. ყურთასმენა მიჰქონდა დღედაღამ ბავშვების ჭყავილს, მაშინ, როდესაც ვენის ფილარმონისტები მისი პირველი საფორტეპიანო კონცერტის პრემიერას აწყობდნენ. მანაც აიღო და შემოქმედებითი სასოწარკვეთის ყამს რინგშტრასეზე დაიქირავა ატელიე და როიალიც იქ გადაატანინა.

რაკი იმხანად შთაგონება მისი ხშირი სტუმარი გახდა, ახალ მთვარესავით თუ დაენახვებოდა ხოლმე თავის ყმაწვილ ცოლსა და ღრიალა ტყუპებს.

ლუიზელოტე პალფის, ქალიშვილობაში კერნერად წოდებულს, ოციოდე წლის ქალს, არ მოსწონდა ეს ამბავი. ამასობაში ყმაწვილ ქალს ყურში ჩაეწვეთა: ბატონი მეუღლე ატელიეში მხოლოდ ნოტებს როდი თხზავდა, ოპერის მომღერალ ქალებთან ერთად, კომპოზიტორი თვალში რომ მოსდიოდათ, სასიმღერო პარტიებს სწავლობდა. ეს უკვე მეტისმეტი იყო და აღშფოთებულმა ქალმა განქორწინება მოითხოვა.

ახლა კი სულ გაეხსნა ხელ-ფეხი შთამაგონებელ მარტოობას დანატრებულ ბატონ კაპელმაისტერს; შეეძლო

განმარტოებულიყო, რამდენ ხანსაც სურდა. სამართლის წესით მისთვის მიკუთვნებულ ტყუპის ცალზე როტენ-ტურმშტრასეზე დაქირავებული გამრჯე გოგო ზრუნავდა. თვითონ კი რინგშტრასეზე ცხოვრობდა. წადილი აისრულა, კაციშვილი არ იწუხებდა მისთვის თავს. ჰოი, ეს ხელოვანნი! თვითონაც არ იციან, რა სურთ! ის მაინც თავგამოდებული თხზავდა მუსიკას, დირიჟორობდა და წლითი წლობით სულ უფრო და უფრო იხვეჭდა სახელს. ესეც არ იყოს, ნაბახუსევზე ხომ შეეძლო, მეორე სახლში დაბრუნებულიყო და თავის ქალიშვილთან — ლუიზასთან თამაშით გული მოეოხებინა.

როცა კი მიუნხენში პალფის ახალი ნაწარმოები სრულდებოდა, ლუიზელოტე კერნერი უეჭველად ბილეთს ყიდულობდა, თავჩაქინდრული იჯდა იაფფასიან უკანასკნელ რიგში, ისმენდა ყოფილი ქმრის მუსიკას და ჰანგზე ატყობდა, რომ მისი ავტორი მთლად ბედნიერი კაცი ვერ უნდა ყოფილიყო, თუმცა არც წარმატება აკლდა და არც ესოდენ ნალოლიავები მარტოობა.

თავი მეექვსე

ნეტავ, საითაა ფრაუ ვაგენთჰალერის დუქანი? კი მაგრამ, სად გაგონილა, ბავშვს კერძის გაკეთება გადავიწყებოდეს? ლოტამ მამას ხელი დაუქნია ოპერაში. გულიანი შოკოლადების წვიმა. როგორ ჩაიარა პირველმა დამემ მიუნხენსა და ვენაში. უცნაური სიზმარი, ფროილაინ გერლახს კუდიანად რომ წარმოგვიდგენს, მშობლებს ყველაფრის ნება აქვთ! „კესანე, – მიუნხენი – 18!“.

ფრაუ კერნერმა თავისი გოგონა მაქს-ემანუელ-შტრასეზე პაწაწინა ბინაში მიიყვანა, თავად კი უხალისოდ გასწია რედაქციისაკენ: საქმე ელის, სამსახური საქმის გაჭიანურებას ვერ ითმენს!

ლუიზამ, ოჰ მაპატიეთ, ლოტამ ჯერ ბინაში მიიხედ-მოიხედა, მერმე გასაღები, საფულე, ბადურა წამოკრიფა და სანოვაგის საყიდლად გაემართა. პრინც-ოიგენ-შტრასეს კუთხეში ნახევარი გირვანქა საქონლის ხორცი იყიდა, ნეკნის კარგა მსუქანი ნაჭერი შეარჩია, ზედ თირკმლის ნაწილი და ცოტაოდენი ძვალი დააწონა ლოტას დარიგებისამებრ. ახლა კი გაფაციცებით დაეძებს ბოსტნეულს,

Tmer

ვერმიშელსა და მარილს. ანი ფებერზეცერი გაკვირვებული ბეცქერის თანაკლასელ ლოტა კერნერს, ქუჩაში რომ ატუზულა და რაღაც რვეულს ჩაჰკირკიტებს.

— შენ რა, ქუჩაში ამზადებ საშინაო დავალებას? — ცნობისმოყვარეობით ჰკითხა ამხანაგს, — ჯერ ხომ სწავლა არ დაგვიწყია?

ლუიზა შეშინებული უყურებს გოგონას. აბა, რა სისულელეა, კარგი ნაცნობივით გელაპარაკებოდეს ადამიანი, თავის დღეში თვალითაც რომ არ უნახავხარ! ბოლოს ლუიზამ ძალა მოიკრიბა და კმაყოფილებით მიუგო უცნობს:

— გამარჯობა შენი! ფრაუ ვაგენთჰალერთან მივდივარ, წვნიანისათვის ბოსტნეული მინდა ვიყიდო, გამომყევი რა! — ბოლოს ხელიც მოსდო გოგონას, რომლის სახელიც არ სმენია, და ვითომც არაფერიაო, ფრაუ ვაგენთჰალერის საბაყლოსაკენ გაიყოლია ისე, რომ ჭორფლიანს აინუნში არაფერი მოსვლია.

ფრაუ ვაგენთჰალერი, რასაკვირველია, ძალიან გახარებულია, ლოტხენი რომ ასე ლოყებდაბრაწული დაბრუნებულა აგარაკიდან. საყიდლებს რომ მორჩნენ, ქალი გოგონებს კანფეტებით გაუმასპინძლდა, თანაც ფრაუ კერნერთან და ფრაუ ჰაბერზეცერთან დიდი მოკითხვა და-

ებარა. ამ გვარის გაგონებამ ლუიზას თითქოს გულიდან ლოდი ჩამოხსნა — ეს გოგონა ნამდვილად ანი ჰაბერზეცერი ყოფილა (რვეულში ეწერა: „ანი ჰაბერზეცერი, სამჯერ გამაბრაზა, ერთთავად პატარა გოგონებს უტყაპუნებს, განსაკუთრებით კი ყველაზე პაწია ილზა მერკს"). ოჰო, დასაწყისი გვარიანი გამოდგა!

გამომშვიდობებისას სახლის კართან შედგა.

— შენ ხომ ბარე სამჯერ გამაბრაზე, ილზა მერკს რომ ვქომაგობდი, ეგ ჯერაც არ დამვიწყებია, შენც კარგად მოგეხსენება ეს ამბავი. აწი გაბრაზებას არ გაკმარებ, ერთი კარგად!.. — მერე თითით დაემუქრა და საზეგაბრწყინებული თვალს მიეფარა.

— ამასაც ვნახავთ! — გაიფიქრა გაბრაზებულმა ანიმ, — ეტყობა, სულ გასვლია თავს, ჭკუა დაბნევია ამ არდადეგებზე!

* * *

ლუბა კერძს ამზადებს. დედის წინსაფარი აუფარებია და ციბრუტივით ტრიალებს გაზქურასა და სამზრეულო წიგნს შორის. ქურაზე ქვაბი დგას, სამზარეულოს მაგიდაზე წიგნი გადაუშლია; წარამარა ქვაბს ხდის. ქვაბიდან მდუღარე წყლის გადმოღვრაზეც კი ფეთდება და ელეთ-მელეთი მოსდის. რამდენი მარილი უნდა დააყაროს ვერმიშელს? ნახევარი სუფრის კოვზი სდომებია, ქაშაყს რამდენიდა? ერთი მწიკვი.

მერე ნიგოზი უნდა დანაყოს, ნიგოზი სადაა? ქვასანაყი სადღაა? პატარა გოგონა უჯრებში იქექება, სკამზე შედგა, ყველა სათავსო მოათვალიერა, მერე კედლის საათს მიაცქერდა, სკამიდან ძირს ჩამოხტა, ჩანგალი აიღო, ქვაბს ხუფი ახადა, თითები დაეთუთქა, საქონლის ხორცი ჩანგლით მოსინჯა — არა, ჯერ არ მოხარშულა...

ერთხანს ასე იდგა გახევებული. ჰო, რას ეძებდა? მოაგონდა — ნიგოზსა და როდინ-სანაყს. ეს რაღაა, საოჯახო წიგნის გვერდზე რომ ჩამოუდვია? ბოსტნეული! ამ საკმაზის შემდეგ რა უნდა ჩაყაროს, რა წერია სამზარეულოს წიგნში? მწვანილი ჩააჭრას! მწვანილი უნდა გავრეცხო და ბულიონს ჩავაჭრა, მაშ ჩანგალს ხელი უნდა უშვას, დანა

აიღოს! იქნებ უკვე მოიხარშა ხორცი? ჯავზი ხომ უნდა გახეხოს, მაგრამ სად არის სახეხი ან ჯავზი? ბოსტნეული ონკანქვეშ უნდა გარეცხოს, მერე სტაფილო გაფხიკოს. ეს რა ხათაბალაში გაება — თითი გაიჭრა! ხორცი მოიხარშება თუ არა, ქვაბიდან უნდა ამოიღოს, ძვლები გააცალოს. მერე კიდევ თუშფალანგი რომ სჭირდება! ნახევარ საათში დედაც მოვა, ოცი წუთით ადრე კი მდუღარე წყალში

ვერმიშელი უნდა ჩაყაროს. ერთი ალიაქოთია სამზარეულოში, ეს ჯავზიო, ეს თუშფალანგიო, ეს სახეხიო და ათასი რამ! ქანცგამწყდარი ლუიზა მოწყვეტით დაეშვა სკამზე. ოჰ, ლოტხენ, რა ძნელი ყოფილა შენი მაგივრობის გაწევა!.. ახ, სასტუმრო „იმპერიალი“, კარის მრჩეველი შტრობლი... პეპერლ, ... ბატონი ფრანცი და მამა ... მამა.. .მამიკო!..

საათი ულმობლად ტიკტიკებს.

დედის დაბრუნებამდე ოცდაცხრა წუთიღა დარჩენილა, არც კი — ოცდარვა-ნახევარი. ლუიზამ გაბედულად მომუშტა ხელები და საქმეზე თავდადებულმა ერთი კი ჩაიბურტყუნა: „ხომ მომეჭრა თავი!“ მაგრამ კერძის მომზადება რომ არც ისე იოლი საქმეა?! ლუიზა კოშკიდან გადახტომაზეც არ დაიხევდა უკან, მაგრამ ვერმიშელისა და საქონლის ხორცისაგან წვნიანის მოსამზადებლად მარტო ნებისყოფა ხომ არ კმარა!

და მთელი დღის გაწამაწიით მოქანცულ დედას სახემომღიმარი დიასახლისი კი არ დაუხვდა, არაქათგამოცლილი, უმწეო, თითქოს ბედისაგან გასრესილი არსება, რომლის სატირლად დაღმეჭილმა ბაგეებმა დედას მიაგება:

— ნუ გამიწყრები, დედა, მგონი გადამვიწყებია კერძის კეთება!

— კი მაგრამ, ლოტხენ, სად გაგონილა, ბავშვს კერ-ძის კეთება გადავიწყებოდეს! — წამოიძახა გაოცებულ-მა დედამ. მაგრამ გაოცებისათვის ვისღა სცალია: ბავშვს ცრემლები უნდა ამოუშრეს, ბულიონი გასინჯოს, შიგ მოხრშული ხორცი ჩაყაროს, კარადიდან ჯამ-ჭურჭელი გამოალაგოს და ასე და ამრიგად...

და როდესაც ბოლოს დედა-შვილი განათებულ ოთახ-ში მაგიდას მიუსხდნენ და კოვზით ვერმიშელის წვნიანის ხვრეპას შეუდგნენ, დედამ პატარა გოგონა დაამშვიდა:

— მაინც გემრიელი კერძი გამოვიდა, არა?

— მართლა? — გოგონას პირისახეზე ღიმილი მოეფინა.

დედამ თავი დაუქნია და ღიმილითვე უპასუხა:

ლუიზამ შვებით ამოისუნთქა, ერთბაშად ისე ეგემრიე-ლა საჭმელი, როგორც არასდროს, რისი „იმპერიალი“ ან რისი საყვარელი ერბოკვერცხი, თუნდაც ეგზომ სანუკ-ვარი!

— ხვალ მე გავაკეთებ საჭმელს, შენ კი მიყურე და ნახე, თუ ისეთივე მზარეული არ დადგე, არდადეგებამდე რომ იყავი.

ლუიზამ ბეჯითად დაუქნია თავი და წამოსცდა კიდეც:

— ეგება უკეთესიც!

ჭამას რომ მორჩნენ, ერთად დარეცხეს ჯამ-ჭურჭელი და ლუიზამ უამბო დედას საბავშვო სახლში გატარებულ დღეებზე (ოღონდ თავის ორეულზე კრინტიც არ დასცდენია).

* * *

ლოტა კი ამ დროს, ლუიზას საუკეთესო კაბაში გამოწყობილი, ვენის სახელმწიფო ოპერის იარუსის ლოჟაში წამოჭიმულა, მკერდით ძგიდეს მიყრდნობია და თვალებანთებული შესცქერის ორკესტრს, კაპელმაისტერი პალფი „ჰენზელისა და გრეტელის“ უვერტიურას დირიჟორობს.

„როგორ უხდება მამიკოს ფრაკი! ეს მუსიკოსებიც როგორ უჯერებენ, მათ შორის მოხუცებიც ხომ არიან! ჯოხით დაემუქრება თუ არა, ისინიც, როგორც შეუძლიათ, დასცხებენ, და როცა ხმის დადაბლებას უბრძანებს, მუსიკოსებიც საღამოს ნიავივით შეანელებენ. ალბათ ეშინიათ მამისა! განა ხუთ წუთის წინ არ იყო, ხელი რომ დამიქნია ალერსიანად?!“

ამ დროს ლოჟის კარი გაიღო და კაბის შრიალით შემოვიდა კოხტად გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი, ლოჟის ძგიდესთან მიჯდა და მიჩერებულ ბავშვს გაუღიმა. ლოტამ მორცხვად პირი იბრუნა და კვლავ მუსიკოსებსა და მათ მომთვინიერებელზე გადაიტანა მზერა.

ახალგაზრდა ქალმა ჯერ სათეატრო ჭოგრიტი მოიმარჯვა, მერე კანფეტების ყუთი, პროგრამა, საპუდრე ამოალაგა, ხავერდგადაკრული მოაჯირი მაღაზიის ვიტრინას დაემსგავსა. უვერტიურის დამთავრებისათანავე დარბაზში მქუხარე ტაშის გრიალი გაისმა, დირიჟორი შემობრუნდა და რამდენჯერმე თავი დაუხარა მაყურებლებს, მერე, სანამ ჯოხს ისევ ასწევდა, ლოჟას ახედა. ლოტამ მორცხვად დაუქნია ხელი, მამამაც ალერსიანად გაუღიმა.

ლოტა უცებ მიხვდა, რომ ეს მისალმება, მის გარდა, გვერდით მჯდომ ქალსაც ეკუთვნოდა.

„რაო, ქალიც მიესალმა? იქნებ ლოტას კი არა, სწორედ ამ ქალს გაუღიმა მამამ ასე სათუთად! მერედა, რატომ არაფერი უთქვამს ლუიზას ამ უცხო ქალზე?! იქნებ, ახლა გაიცნო მამამისმა? აგრე რომ იყოს, ასე შინაუარულად როდი მოექცეოდა! — ბავშვმა გონებაში ჩაიბეჭდა: დღესვე უნდა მივწერო ლუიზას ეს ამბავი! ვკითხავ — იცის თუ

არა რაიმე, ხვალ სკოლაში მისვლამდე ფოსტაში შევივ-ლი და წერილს გავუგზავნი მოკითხვამდე: „კესანე, მიუნ-ხენი — 18!“

ამასობაში ფარდაც აიწია, დაბლა, სცენაზე, მშობლებ-მა ორი შვილი თავიდან მოსაცილებლად ტყეში გაგზავ-ნეს. განა არ უყვართ, მაგრამ მეტი გზა არ აქვთ. „ნუთუ შეუძლიათ, ასეთი ბოროტება ჩაიდინონ? ან ეგებ სულაც არ არიან ბოროტები, ანდა, იქნებ, ეს არც იყოს ბოროტე-ბა — ალბათ რამდენს ინანებდნენ! მაშ, რატომ იქცევი-ან ასე?!“ ლოტხენიც, ეს ორად გაყოფილი და მერე თავის ორეულს შენაცვლებული ტყუპის ცალი, უფრო და უფრო აიტანა ძრწოლამ. მისი გრძნობათა ჭიდილი უკვე დაბლა,

სცენაზე გამოსულ მშობლებსა და მათ ბავშვებს კი აღარ უტრიალებდა, თანდათანობით მიიწევდა თავისი მშობ-ლებისა და ტყუპის ცალისაკენ.

„მართლა ასე უნდა მოქცეულიყვნენ თუ არა ჩვენი მშობლები? დედა ხომ კეთილი ქალია, მამაც ასეთივეა, მაგრამ რაც მათ ჩაიდინეს, აშკარა ბოროტებაა. შეშის მჭრელი და მისი ცოლი ღარიბ-ღატაკები იყვნენ, შვი-ლებისათვის ლუკმაპურსაც ვერ შოულობდნენ. მამაჩემი კი განა ღარიბი იყო?“.

როცა სცენაზე ჰენზელი და გრეტელი ხრაშუნა თაფ-ლისკვერების სახლს მოადგნენ, კარგა ხანს იმტვრიეს თავი, კარი ვერ უპოვეს, კუდიანის ხმამ კი ისე შეაში-ნა ბალღები, ფროილაინ ირენა გერლახი — ასე ერქვა ამ კოხტა ქალს — გოგონასკენ გადმოიხარა, კანფეტების ყუთი მიუჩოჩა და წასჩურჩულა:

— იქნებ, შენც ჩაიკოკლოზინო ყელი?

გოგონა ათრთოლდა, ქვემოდან ახედა ქალს, უმწეოდ აიქნია ხელი, თითქოს თავს იცავსო. მაგრამ უნებლიეთ კანფეტების ყუთს ხელი გაჰკრა, გეგონებოდათ, ნიშა-ნი მისცესო, ისე წამოვიდა პარტერისაკენ შოკოლადების წვიმა. ყველამ თავი ასწია და მუსიკის ხმას შეკავებუ-

ლი სიცილი შეერია. დარცხვენილი და თან გულმოსული ფროილაინ გერლახი იღიმებოდა.

გოგონა შიშისაგან გახევდა. იგი ერთბაშად მოსწყვიტეს ხელოვნების საშიშარ მომხიბლაობას და მწარე სინამდვილეს დაუბრუნეს.

— ძალიან გთხოვთ, მომიტევოთ! — ამოიჩურჩულა ლოტამ.

ქალმა მოწყალედ გაუღიმა:

— არა უშავს, ლუიზერლ!

„ეგებ ეს ქალიც კუდიანია, ოღონდ უფრო ლამაზი, ვიდრე ის, სცენაზე გამოსული ბებრუხუნა!“

* * *

ლუიზასათვის ეს პირველი ღამეა მიუნხენში. საწოლის კიდეზე ჩამომჯარი დედა ძილის წინ ეუნება:

— ჰოდა, ასე, ჩემო ლოტხენ, ტკბილ ძილსა და საამო სიზმრებს გისურვებ!

— ჯერ ხომ დაღლილი არა ვარ, — ჩურჩულით უთხრა ბავშვმა, — შენც მალე დაწვები, დედი?

მოპირდაპირე კედელთან დიდი საწოლი იდგა, გადაწეულ გადასაფარებელზე დედის საღამური პერანგი იყო გადაფენილი.

— როგორც კი დაგეძინება, მეც გავიხდი და ჩავწვები.

გოგონამ დედას კისერზე ხელები შემოაჭდო და ზედიზედ სამჯერ აკოცა — „ღამე მშვიდობისა!“.

ახალგაზრდა ქალმა გულში მაგრად ჩაიკრა პატარა არსება და წასჩურჩულა:

— ნეტავ, იცოდე, როგორ გამახარე შენი დაბრუნებით,

მე ხომ შენს მეტი არავინ გამაჩნია!..

თვლემამორეული ბავშვის თავი სასთუმალზე დაეშვა. ლუიზელოტე პალფიმ, ქალიშვილობის გვარი კერნერი რომ დაუბრუნებია, საბანი გაუსწორა თავის გოგონას და ერთხანს ყურს უგდებდა მის მშვიდ სუნთქვას, მერე წამოდგა და ფეხაკრეფით გავიდა დიდ ოთახში.

იქ, მაგიდაზე, ლამის ნათურის ქვეშ, საქაღალდე იდო. იწყებოდა საქმე.

* * *

დღეს პირველადაა, რომ ბუზღუნა რეზიმ ლოგინში ჩააწვინა ლოტა. თუმცა ცოტა ხნის შემდეგ გოგონა ზეზე წამოხტა, ბარათი დაწერა, ხვალ დილით ფოსტაში რომ უნდა გაარბენინოს. მერე ფეხაკრეფით მიიპარა ისევ ლუიზას საწოლთან და სანამ შუქს გამორთავდა, ერთხელ კიდევ მდუმარედ შეათვალიერა საბავშვო ოთახი. კოხტად მორთული ბინაა. ზღაპრების მიხედვით დასურათხატებული ფრიზები. აქვეა სათამაშოების კარადა, წიგნის თარო, საწერი მაგიდა, რომელზეც საშინაო დავალებებს შეასრულებს, ვეება საკარცხული, ძველმოდური, ლაზათიანი ტრელაჟი, დედოფალას საწოლი, მისივე ეტლი, მთავარი ხომ არის და არის,

მაგრამ უბრალო წვრილმანიც არ აკლია.

მერედა, რამდენჯერ უნატრია ლოტას თავის გულში ასეთი კოხტა ოთახი. სურვილი კი აუხდა, სამაგიეროდ, გულს უბურღავს რაღაცნაირი სევდისა თუ შურის სალესზე მოპირული ტკივილი. ახლა თავისი პატარა, ღარიბული ოთახი მონატრებია, ლუიზა რომ წევს, დედა დაძინების წინ კოცნის, დიდი ოთახიდან შუქი გამოკრთის — დედა ღამღამობით მუშაობს ხოლმე, საცაა კარი გაიღება, დედა მიუახლოვდება მის საწოლს და მძინარე ბავშვს დახედავს, მერე კი ფეხაკრეფით მიაშურებს თავის საწოლს, საღამურ პერანგს გადაიცვამს და საბანში ნებიერად გაეხვევა.

ნეტავი, მეზობელ ოთახში მაინც იდგეს მამის საწოლი. ალბათ მამა ხმამაღლა ხვრინავს კიდეც. ეს საუცხოოა — გეცოდინება მაინც, რომ იგი ახლოსაა! მაგრამ მამას აქ კი არა, სულ სხვა სახლში სძინავს, კერტნერ-რინგზე ან, ეგება, სულაც არ სძინავს: ზის ვრცელ, გაჩახჩახებულ დარბაზში იმ კოხტა, გულიანი შოკოლადების მფლობელ დედოფალთან, შეექცევა ღვინოს, იცინის, ცეკვავს და ქალს სათუთად უკრავს თავს, ისევე როგორც დღეს; ოპერაში სწორედ იმ ქალს დაუკრა თავი და არა საკუთარ ქალიშვილს, მოკრძალებით რომ უქნევდა ხელს ლოჟიდან

და სახე გაბადროდა!

ლოტას ჩაეძინა და სიზმრები ნახა. ღარიბი მშობლების ზღაპარმა, თავიანთი შვილები — ჰენზელი და გრეტელი ტყეში რომ გაგზავნეს, ისევ შეაძრწუნა ლოტა. ეზმანა, ვითომ ლოტა და ლუიზა ერთ საწოლში იწვნენ, ორივენი იდაყვებზე წამოწეულიყვნენ, შეშინებული თვალებით კარს მიშტერებოდნენ. კარებში თეთრქუდიანი ხაბაზები გადი-გამოდიოდნენ და პურებს დაატარებდნენ. ოთახი ისე გაიჭედა პურებით, ნემსის ჩასავარდნი ადგილი აღარ დარჩა.

საიდანღაც ფრაკში გამოწყობილი მამა წამოადგა თავს და ხალისიანი, ვაჟკაცური ყესტით მეპურეთა აღლუმს დირიჟორობს. ამ დროს დედაც შემოვარდა და შეწუხებულმა იკითხა:

— კი მაგრამ, რას აპირებ, შე კაი კაცო?

— ბავშვები აქაურობას უნდა გაეცალონ! — ყვირის გაბრაზებული მამა, — ხომ ხედავ, რამდენი პურია აქ!

დედა თითებს იმტვრევს, გოგონები საცოდავად ოხრავენ.

— გაეთრიეთ! — იყვირა მამამ და მუქარით ასწია დირიჟორის ჯოხი. საწოლი მორჩილად მისრიალებს ფანჯრისაკენ. ფანჯარაც უმალ გაიღო და საწოლი ლივლივით

მიცურავს გარეთ.

საწოლმა გადაუფრინა უზარმაზარ ქალაქს, გადაუქროლა მდინარეებსა და ბორცვებს, მინდვრებსა და მდელოებს, მთებსა და ტყეებს. ბოლოს, სადღაც, უცხო მიწაზე, ფესვმაგარ, გაუვალ და უღრან ტყეში დაეშვა. ყურთასმენა მიაქვს საზარელ ფრინველთა გამყივან ძახილსა და ნადირთა შემზარავ ღრიალს. შიშისაგან დაზაფრული ორივე გოგონა საწოლზე წამომჯდარა.

ტკაცანებს და ზრიალებს ტყე.

ბავშვები ისევ ლოგინში შეძვრნენ და საბანი თავზე გადაიხურეს. ხშირი ბუჩქნარიდან ახლა კუდიანი გამოიძურწა. მაგრამ სცენაზე მოთამაშეს კი არა, იმ გულიანი შოკოლადების დედოფალს მიაგავს, ლოყაში რომ იჯდა. ქალმა სათეატრო ჭოგრიტით ლოგინი შეათვალიერა, თავი დააკანტურა, მედიდურად გაიღიმა და სამჯერ ზედიზედ ხელი ხელს შემოჰკრა.

ჩაბნელებული ტყე, თითქოს მის ბრძანებას დემორჩილაო, ერთბაშად გაბრწყინებულ მდელოდ იქცა. მდელოზე შოკოლადების ფილებით შემოღობილი კანფეტების სახლი დგას, მხიარულად ყივყივებენ ჩიტუნები. ბალახში ნუშის ნამცხვრიდან გამოძერწილი ყურცქვიტებია. ყოველ

მხრივ ოქროს ბუდეები მოჩანს, შიგ სააღდგომო კვერ-ცხები -წყვია. საწოლის თავზე პაწია ჩიტუნა წამოსკუპდა და ისე ჩაიჭიკჭიკა, ლოტამ და ლუიზამ ჯერ ცხვირები გა-მოყვეს საბნიდან, მერე კი თავებიც წამოსწიეს. პატარებ-მა მდელოზე აღგომის მახარობელი ყურცქვიტები, შოკო-ლადის კვერცხები და გულიანი შოკოლადებით მორთული სახლი რომ დაინახეს, მარდად გადმოცოცდნენ ლოგინი-დან და ღობისაკენ გაიქცნენ. საღამური პერანგების ამა-რა ბავშვები გაოცებულები შედგნენ ღობესთან. ლუიზამ წარწერების კითხვა დაიწყო: „საგანგებო ნარევი!" „და-შაქრული ნუში !" „გულამოჩუქურთმებული ნუგა!„.

— ოჰო, აქ ცხარე კერძებიც ყოფილა! — წამოიძახა გა-ხარებულმა ლოტამ (ტკბილეული მას სიზმარშიაც ეზა-რებოდა).

ლუიზამ მესერს შოკოლადი ჩამოატეხა, „ნუგვზიანი ყიფილაო!" — თქვა და ჩაკბეჩა დაუპირა.

ამ დროს სახლიდან კუდიანის ქირქილი შემოესმათ. ბავშვები შიშს აუტანია. ლიუზამ შოკოლადი შორს გა-დატყორცნა.

სად იყო და სად არა, დედა გამოჩნდა. პურით სავსე ურიკა მოაგორა.

— შესდექით, ბავშვებო! — დაუძახა შეშინებულმა დე-

დამ, – ყველაფერი მოწამლულია!

– გვშია, დედი!

– აგერ, პური მაქვს თქვენთვის! რედაქციიდან უფრო ადრე წამოსვლა ვერ მოვახერხე.

ქალი ბავშვებს მოეხვია და, ის-ის იყო აპირებდა, იქაურობისათვის მოეშორებინა პატარები, რომ გულიანი შოკოლადების ფილებით შეკრული კარი გაიღო და მამა შემოვიდა. ხელში ვეება ბირდაბირი ეჭირა, აი ისეთი, შეშისმჭრელებს რომ დააქვთ.

– თავი გაანებე მაგ ბავშვებს, ფრაუ კერნერ! – დაუყვირა მან.

— ესენი ჩემი შვილები არიან, ბატონო პალფი!

— ჩუ!ეიც! — დაუღრიალა მან და, სანამ მიუახლოვდებოდა, მკაცრად მოუჭრა: — აგერ, ხერხიც თანა მაქვს და მაგ ბავშვებს შუა გავყოფ, ლუიზასა და ლოტას ნახევარ-ნახევარი წილი შეგხვდებათ, ფრაუ კერნერ!

შიშისაგან აცახცახებულო ტყუპები ისევ საწოლზე შეხტდნენ. ხელებგაშლილი დედა ისევ პატარებს გადაეფარა.

— ვერ ეღირსებით, ბატონო პალფი, ვერა!

მაგრამ ბავშვების მამამ ცოლი გვერდზე გასწია და საწოლის თავიდან მოჰყვა ხერხვას. ხერხი შემზარავად ხრიალებდა, საწოლი სიგრძივ იყოფოდა.

— ხელები შეუშვით ერთმანეთს! — უბრძანა მამამ.

ხერხი ნელ-ნელა, უფრო და უფრო მიიწევს ბავშვთა ურთიერთგადაჭდობილი ხელებისაკენ. აი, კიდევ აუტკრიცა ორივეს კანი. დედა გულის მომწყვლელად ქვითინებს. იქვე სადღაც კუდიანი ხითხითებს.

ბოლოს ორივე ბავშვის ხელები უმწეოდ ჩამოეშვა. ხერხმა ხელებს შორის ჩაიხრიალა და ბოლომდე თანატოლად ჩაჭრა საწოლი ისე, რომ ოთხფეხიანი ორი საწოლი გამოვიდოდა.

— რომელი ტყუპი გსურთ, ფრაუ კერნერ?

— ორივე, ორივე!

— სამწუხაროა! — მიუგო კაცმა, — სამართლიანობა უნდა დამყარდეს, რაკი თქვენ ვერ გადაგიჭრიათ, მე წავიყვან ერთ მათგანს, ჩემთვის სულ ერთია, რომელიც იქნება! — თქვა მან და საწოლს მისწვდა.

— რომელი ხარ შენ? — ეკითხება მამა.

— ლუიზა ვარ, მაგრამ ამის ნება არა გაქვს! — წამოიძახა პატარამ.

— არა, ჩვენი შუაზე გაყოფის ნებას არ მოგცემთ! — წამოეშველა დაიკოს ლოტა.

— ენას კბილი დააჭირეთ, მშობლებს ყველაფრის ნება აქვთ! — მკაცრად თქვა მამამ, საწოლი თოკით დაითრია და გულიანი შოკოლადებით მორთული სახლისაკენ წაათრია. შოკოლადების ღობე თავისით აცურდა მაღლა. ლუიზა და ლოტა ნაღვლიანად უქნევენ ხელებს ერთმანეთს.

— ბარათები მაინც მივწეროთ ერთმანეთს! — დაუძახა ლუიზამ.

— „მოკითხვამდე, კესანე, მიუნხენი — 18“ — მიაძახა ლოტამ.

მამა და ლუიზა სახლში შევიდნენ. უმალვე სახლიც

უკვალოდ გაქრა, თითქოს მიწამ შთანთქაო. დედა ლოტას გულში ჩაეკრა და მწარედ აქვითინდა.

— ახლა მამითაც ობლები ვართ!

უცებ დედა იჭვნეულად მიაჩერდა ბავშვს:

— რომელი ხარ, შვილო, მგონი, ლოტა უნდა იყო, არა?

— ჰო, ლოტა ვარ!

— არა, მგონი, ლუიზას უფრო უნდა ჰგავდე!

— მართლაც, ლუიზა ვარ!

დედამ შიშით შეხედა ბავშვს სახეში და რაღაც უცნაური, მამისნაირი ხმით წარმოთქვა:

— ეს კულულები! ესეც ნაწნავი! იგივე ცხვირი! იგივე თავი!

ახლა ლოტას თმა მარცხნივ დაუწნია, მარჯვნივ კი ლუიზასავით კულულებად დაუყრია, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის ღაწვებზე და უმწეოდ ჩურჩულებს:

— რადა მეშველება, მე თვითონ რომ არ ვიცი, ვინა ვარ?!

თავი მეშვიდე

კვირას კვირა მოსდევს. პეპერლი კმაყოფილია. ერბოკვერცხს ძვლები არა აქვს. ყველაფერი შეიცვალა — რეზის ხომ ვეღარ იცნობთ. კაპელმაისტერი პალფი მუსიკის გაკვეთილებს ატარებს. ფრაუ კერნერის საყვედურები. ანი ჰაბერზეცერი გაასილაქეს. ასეთი სანატრელი კვირადღე ქვეყნად ჯერ არ ყოფილა.

იმ დღიდან და იმ ღამიდან მოკიდებული, მერამდენე კვირა გავიდა. უცხო სამყარო და, ისევ და ისევ, უცხო ხალხში ტრიალი. იმ კვირებში ყოველ წუთსა და ყოველ შემთხვევას, ყოველ ნაბიჯსა და ყოველ შეხვედრას თან სდევდა ახალ-ახალი საფრთხე თუ აღმოჩენა. ეს იყო მეტად მშფოთვარე კვირები, როცა წარამარა უნდა მოგეკითხა ფოსტაში ბარათები, ყოველ წვრილმანში რომ გაგარკვევდა.

მაინც კარგად ჩაიარა ყველაფერმა. ლუიზას ბედი ასე თუ ისე სწყალობდა, „ხელახლა“ ისწავლა მზრეულობა. მიუნხენელი მასწავლებლები ნება-უნებურად შეეგუენ იმას, რომ არდადეგებიდან დაბრუნებულმა პატარა კერნერმა სწავლას უკლო, ერთგვარი უყურადღებობა და

უწესობა დასჩემდა, სამაგიეროდ, ძალზე გამოცოცხლდა და ნამდვილი ჩხუბისთავი გახდა.

ვენელ მასწავლებლებს კი, აბა, რა ეთქმოდათ, თუ კაპელმაისტერის ქალიშვილმა სიბეჯითეს უმატა, გამრავლების ტაბულაშიც მარჯვედ გაწაფულიყო.

აი, სწორედ გუშინ ფროილაინ გსტეტნერმა, ცოტა არ იყოს, მაღალფარდოვნად განუცხადა სამასწავლებლოში ფროილაინ ბრუკბაუერს:

— ლუიზას განვითარება ყველა გამჭრიახი პედაგოგისათვის ჭკუის სასწავლი გაკვეთილია, ძვირფასო კოლეგავ. მისი მოზღვავებული ტემპერამენტი დინჯ, მოქმედ ძალად გარდაისახა; სიანცე და სიხალისე, დაუოკებელი ცნობისწადილი ცოდნის შეუპოვარ სურვილად გარდაიქმნა. დიახ, ეს ერთადერთი შემთხვევა გახლავთ, ძვირფასო კოლეგავ! ნუ დაგავიწყდებათ ისიც, რომ უმაღლესი ფორმით გამომჟღავნებული ეს მეტამორფოზა თავისთავად, ყოველგვარი აღმზრდელობითი ჩარევის გარეშე მოხდა.

ფროილაინ ბრუკბაუერმა ბეჯითად დაუქნია თავი და მუგო:

— ხასიათის ამგვარმა ცვლილებამ, ჩამოყალიბების ამ შეუპოვარმა წადილმა ლუიზას ხელწერასაც დაატყო კვალი! აკი მუდამ გავიძახოდი — ხელწერა და ხასიათი!..

მოდით, ყურადღებას ნუღარ მივაქცევთ ფროილაინ ბრუკბაუერის ამ ამოჩემებულ სიტყვებს და ახლა ბატონი შტრობლის გოშიას პეპერლის ამბავიც მოვიკითხოთ. გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ კარის მრჩევლის შტრობლის ძაღლმა ერთი ხანია, ძველი ჩვევა კვლავ გაიხსენა და წესისამებრ ღვთის წყალობას უსურვებს ხოლმე ბატონ კაპელმაისტერის მაგიდასთან მჯდომ პატარა გოგონას. პეპერლმა იმთავითვე გეშით იყნოსა, რომ ლუიზა ის ძველი ლუიზა აღარ იყო, თუმცა, ეს უკვე ძაღლურ განსჯას აღემატებოდა. რა მოხდა მერე, ხომ შეიძლება ადამიანი გამოიცვალოს, ვითომ რატომ არა?! თანაც ამ პატარა საყვარელმა გოგონამ ბოლო დროს ერბოკვერცხი აითვალწუნა, სამაგიეროდ, ხორციან კერძებს მიეძალა. ჰოდა, მოგეხსენებათ, ერბოკვერცხს, რომ მოინდომო, ძვლის ნატამალსაც ვერ უპოვი, ხოლო ხორცეულში – გაგიხარიათ! ძაღლსაც მეტი რა უნდოდა! ახლა ხომ ხვდებით, გოშია რატომ აღარ არის ისე ამრეზილი.

თუ მასწავლებელ ქალებს აგრერიგად ენიშნათ ლუიზას გადასხვაფერება, მაშ, რეზიზე რაღას იტყოდნენ, ოჯახის მნე ქალზე, ახლო რომ სცნობოდათ იგი. რეზი ნამდვილად ხელახლა დაიბადა. იქნებ, სულაც არ იყო ბუნებით



ბედოვლათი და მატყუარა ქალი; იქნებ, უბრალოდ სიფ-ხიზლე აკლდა, რომ ყოველი წვრილმანი გაეთვალისწი-ნებინა?!

აგერ, რა ხანია, ლოტა ოჯახში ტრიალებს, ზვერავს იქაურობას, დაწვრილებით ეცნობა სამზარეულოსა თუ სარდაფის ასავალ-დასავალს, სათუთი გოგონაა, მაგრამ თავისი მაინც გააქვს. რეზიც რომ აამოქმედა!

ლოტა მამას მოელაპარაკა, სახარჯო ფული დღეიდან რეზის მაგივრად მე ჩამაბარეო. სწორედ სასაცილო სა-ნახავი იქნება, რეზი საბავშვო ოთახის კარზე რომ მიაკა-კუნებს, შევა და ცხრა წლის გოგონას მორჩილად მოახ-სენებს: რა სანოვაგეა საყიდელი, ვახშმად რა ექნებათ და ოჯახს კიდევ რა სჭირდება. ლოტა წამსვე დაიანგარიშებს ღირებულებას, უჯრიდან ფულს ამოიღებს, მიუთვლის რეზის, თანხას რვეულში ჩაიწერს, საღამოს კი სამზარეუ-ლოში მაგიდას მიუჯდება და ერთიანად დაიანგარიშებს.

მამასაც კი მოხვდა თვალში, რომ ოჯახის შენახვა ახლა გაცილებით ნაკლები ჯდებოდა; თუმცა წინანდელთან შედარებით გაცილებით ნაკლებს ხარჯავდა. მის მაგიდას მუდამ ამშვენებდა ცოცხალი ყვავილები, მარტო შინ კი არა, იქ, ატელიეშიც. როტენტურმშტრასეზე ხომ საამო ოჯახური სიამტკბილობა სუფევდა (თუნდაც ქალი გყოლოდეს ოჯახში, – გაიფიქრებდა ხოლმე ბატონი კაპელმაისტერი და თითქოს კიდეც სიამოვნებდა ამის გაფიქრება).

ის ამბავი, რომ ბოლო დროს მას ძალიან გაუტკბა როტენტურმშტრასე და იქაური ოჯახი, „გულიანი შოკოლადის დედოფალს“, ფროილაინ ირენა გერლახის თვალს არ გამოჰპარვია. სიტყვაც კი ჩამოუგდო ამის თაობაზე ბატონ კაპელმაისტერს, რასაკვირველია ძალიან ფრთხილად, ხელოვანნი ძალიან მგრძნობიარენი არიან!

– იცი, რა, – მიუგო, – პალფიმ, – იმასაც მოვესწარი, ლუიზა ფორტეპიანოს მიუჯდა, ჩუმად ხარობს კიდეც, კლავიშებს რომ უბარტყუნებს, თან რაღაც პატარა სიმღერას დაჰღიღინებს წყნარად და სიყვარულით. წინათ, რომ გეცემა, პიანინოს სიახლოვეს ვერ გააკარებდი.

– მერე? – ჩააცივდა ფროილაინ გერლახი, თან წარბები აძგიბა.

— ფორტეპიანოს გაკვეთილებს ვუტარებ, — მორცხვად გაიღიმა ბატონმა პალფიმ, — ძალიან გახარებულია ამ ამბით; რაღა დაგიმალო და მეც მიხარია.

ფროილაინ გერლახმა ზიზღი ვეღარ დაფარა, — დიდი სულის ქალბატონი გახლავთ! — მერე ენამწარედ დაუმატა:

— მე კომპოზიტორი მეგონე და არა მასწავლებელი პატარა გოგონებისა, ფორტეპიანოზე რომ ჯახირობენ!

წინათ ალბათ ვერავინ გაბედავდა, ასეთი რამ მიეხალა პირში ბატონი პალფისათვის, მაგრამ ახლა მან მოწაფესავით გაიცინა და დაუმატა:

— არასდროს შემითხზავს ამდენი და თან ასეთი კარგი რამ!

— მერე, რა გამოვა?

— საბავშვო ოპერა! — მიუგო პალფიმ.

* * *

ჰოდა ასე, მასწავლებელთა თვალში ხომ ლუიზა საოცრად გამოიცვალა, ხოლო თვითონ ბავშვის თვალში — რეზი და პეპერლი, მამის თვალში კი — როტენტურმშტრასე; ცვლილებებს ვეღარ დაითვლიდით ვენაში.

რასაკვირველია, მიუნხენშიც შეიცვალა ყოველივე.

რაკი დედამ შეამჩნია, ლოტა დიასახლისობას გულს ვერ უდებს და სკოლაშიაც აღარ ბეჯითობს, სამაგიეროდ, გახალისდა და გამხიარულდაო, ისევ თავის თავს უსაყვედურა: „ლუიზალოტე, შენ არ იყავი, რომ ნორჩ არსებას ბავშვობა წაართვი და მეოჯახე ქალად გახადე! საკმარისი იყო, ბავშვს რამდენიმე კვირა თანატოლებთან ერთად, მთაში, ტბის ნაპირას გაეტარებინა, რომ მაშინვე დაბრუნებოდა მხიარული, უზრუნველი, ნანატრი ბავშვური იერი, შენი ჭაპანწყვეტისა რომ არა გაეგება რა. დიახ, შენ ერთი თავკერძა ვინმე გამოდექი, ფუი შენს ქალობას! ახლა მაინც გიხაროდეს, რომ ლოტხენი ასე მხიარული და ბედნიერია! ნუ ინაღვლებ, თუ ზოგჯერ თეფში გაუვარდეს და შემოატყდეს და ნურც იმას, თუ მასწავლებლის ბარათს დაგახვედრებს: „სამწუხაროა, რომ ამ ბოლო დროს ლოტა წინანდელივით აღარც ბეჯითობს, ყურადღება დაეფანტა, უწესოდაც იქცევა. აი, გუშინაც ბარე ოთხი ლაზათიანი სილა უთავაზა თანაკლასელ გოგონას ანი ჰაბერზეცერს!“ დედა, რაგინდ საზრუნავიც უნდა აწვეს, უპირველეს ყოვლისა, მოვალეა, ნაადრევად არ დაუკარგოს შვილს ბავშვობის ამქვეყნიური სამოთხე!“

ასე და ამგვარად ესაუბრებოდა თავს ფრაუ კერნერი და ერთ მშვენიერ დღეს ლოტას მასწავლებელს, ფროილაინ ლინეკოგელსაც თითქმის იგივე გაუმეორა:

— ჩემი გოგონა ნამდვილი ბავშვი მინდა იყოს და არა დედაბერი. მირჩევნია, ასევე ხალისიანი და გიყმაყი და-მირჩეს, ვიდრე თავგადადებული ფრიადოსანი.!

— კი მაგრამ, ლოტას ადრე ხომ ერთიც კარგად ეხერ-ხებოდა და მეორეც! — განუცხადა საკმაოდ განაწყენე-ბულმა ფროილაინ ლინეკოგელმა.

— ეს ამბავი ვერც მე ამიხსნია. ხომ მოგეხსენებათ, სამ-სახურში ჩემსავით ხელებშებორკილი ქალი ბავშვისათ-ვის მაინცდამაინც ვერ იცლის. იქნებ, ეს არდადეგების,

პანსიონატის ბრალიც იყოს. ერთს კი ვხედავ და ვიცი, ახლა სხვანაირად აღარ ხერხდება და ამ საქმეს ვეღარაფერი უშველის!

ფროილაინ ლინეკოგელმა გულმოდგინედ გაისწორა სათვალე და წარმოთქვა:

— მე, როგორც თქვენი ქალიშვილის მასწავლებელი და აღმზრდელი, სამწუხაროდ, სულ სხვა მიზანს ვისახავ; ვალდებული ვარ და ვეცდები კიდეც, აღვუდგინო ბავშვს შინაგანი ჰარმონია!

— იქნებ გგონიათ, რომ ოდნავი უყურადღებობა ანგარიშის გაკვეთილზე ან საწერ რვეულში დაჩნეული ერთიორი ლაქა...

— სწორედ რომ საუცხოო მაგალითია, ფრაუ კერნერ! სწორედ სუფთა წერის რვეული! დიახ, ლოტას ხელწერა გვიჩვენებს, თუ რაოდენ დაკარგა ბავშვმა, მე ვიტყოდი, სულიერი წონასწორობა!.. მაგრამ თავი დავანებოთ სუფთა წერას! წესიერ საქციელად მიგაჩნიათ თქვენ ის ამბავი, რომ ლოტა თანატოლებს უტყაპუნებს!

— თანაკლასელებსო?! — ფრაუ კერ-

ნერმა განზრახ მკვეთრად წარმოთქვა ბოლო მარცვლე-ბი, – რამდენადაც ვიცი, მან მხოლოდ ანი ჰაბერზეცერი გატყიპა.

– მხოლოდო?

– ანი ფაბერზეცერმა სწორედაც დაიმსახურა სილა და მიიღო კიდეც!

– რა ბრძანებაა, ფრაუ კერნერ!

– ეგ თქვენი აყლაყუდა და ღორმუცელა ანი ჰაბერზე-ცერი ბოღმას პატარების ცემით იკლავს ხოლმე და მას-წავლებელი კი არ უნდა ესარჩლებოდეს!

– როგორ, გეთაყვა, ნუთუ მართლა? რომ არაფერი მსმენია ამაზე?

– მაშინ იმ პაწია, საწყალ ილზა მერკს ჰკითხეთ, იქნებ მისგან შეიტყოთ რაღაც-რაღაცები!

– კი მაგრამ, ლოტამ ხმაც რომ არ ამოიღო, როდესაც დავსაჯე?!

ფრაუ კერნერმა მკერდი ოდნავ შეატოკა:

– ალბათ, საამისოდ „სულიერი წონასწორობა“ არ ეყო! – შეტრიალდა და გამომცემლობისაკენ გაეშურა. რომ არ დაგვიანებოდა, ტაქსი დაიქირავა. ეს სტუმრობა ორ-ნა-ხევარი მარკა დაუჯდა. აფსუს, ფულებო!

* * *

შაბათს, შუადღისას, დედამ ზურგჩანთა ჩაალაგა და თქვა:

— კარგად მოირგე ფეხსაცმელი, გარმიშს მივემგზავრებით, შინ ხვალ საღამოს დავბრუნდებით!

ლუიზამ, ცოტა არ იყოს, შიშნეულად იკითხა:

— მერე, ძვირი არ დაგვიჯდება, დედი?

ფრაუ კერნერს ბავშვის სიტყვებმა ოდნავ გაუკენწლა გული, მაინც გაიცინა და თქვა:

— თუ ფული არ გვეყო, გზაზე გაგყიდი.

ბავშვმა სიხარულით შეიკუნტრუშა:

— იფ, ჩინებულია! ფული როგორც კი გაგიჩნდება, მყიდველებს გამოვექცევი. თუ სამჯერ-ოთხჯერ გამყიდი, იმდენი ფული დაგვიგროვდება, მთელ თვეს მუშაობა აღარ დაგჭირდება.

— ასე ძვირად ფასობ?

— სამი ათასი ფრანკი და თერთმეტი პფენიგი... ჰარმონიკაც წამოვიღო?

მშვენიერი, თაფლივით გემრიელი კვირაძალი დაუდგათ. გარმიშიდან ბაადერზეეს გრაინაუსაკენ აიღეს გეზი. მერე აიბზეეს აუყვნენ. მიდიოდნენ ჰარმონიკის ყღერითა და მხიარული სიმღერებით. ტყით დაბურული ფერდობი

ჩაიარეს და კისრისტეხით დაეშვნენ დაღმა. გზად მარწყვი დაკრიბეს და ასევე იდუმალად ამოწვერილი ლამაზი ყვავილები, ჩალმისებრი შროშანები და იისფერი გვრიტა, ჩანტიანა, ციდა წვეტიანი მუზარადებით ამობურცული ხავსი, პაწაწკინტელა ყოჩივარდები, რაღაც ზღაპრულ სურნელებას რომ აფრქვევდნენ.

საღამოთი ერთ სოფელს მიადგნენ. ამ სოფელს გრისი ერქვა. იქ ერთსაწოლიანი ოთახი დაიქირავეს, ზურგჩანთიდან საგზალი ამოალაგეს, გემრიელად ივახშმეს და ერთად შეწვნენ ლოგინში. გარეთ კუტკალიებს, თითქოს ვიოლინოები მოუმართავთო, საღამოს კონცერტი გაემართათ.

კვირა დილით კვლავ გზას გაუდგნენ. გაიარეს ერვალდი და ლერმოსი. ვერცხლისფრად ელვარებდა ცუგშპიცე. სოფლის ეკლესიიდან ჭრელ-ჭრელ ტანისამოსში გამოწყობილი გლეხები გამოეფინნენ. შუკებში ჭორიკანებივით შეგროვილიყვნენ ძროხები.

მერე ის იყო, ტორლს რომ აუყვნენ, უნდა გენახათ ციცაბოზე ფორთხვა. ფუი ეშმაკს! იქვე ცხენები ბალახობდნენ, შუაგულში — უკიდეგანო ყვავილების მდელო იყო!.. კვერცხი, ყველი და პური შეჭამეს და ნასაუზმევს ბალახებზე ტკბილად წაიძინეს...

აიბზეესკენ დაღმართს დაუყვნენ. გზად ყოლოს ბუჩქები და ფრთაფარფატა პეპლები მოაცილებდნენ. სადღაც ძროხა ეყვანს აწკრიალებდა. უეცრად ცაში აცურებული ქათქათა მწვერვალი ცუგშპიცბანი დაინახეს. ტაფობში პატარა ტბა გაწოლილიყო.

— თითქოს, მაღალ ღმერთს ცრემლები ჩაუპკურებიაო! — წამოიძახა მოხიბლულმა ლუიზამ.

აიბზეეში, რასაკვირველია, იბანავეს. იქვე, სასტუმროს ტეოაა-ზე, დედა ყავითა და ნამცხვრით გაუმასპინძლდა ლუიზას.

ამასობაში შინ დაბრუნების დრომაც მოაწია.

ნასიამოვნები, მზეზე გარუჯული დედა-შვილი მატარებელში ჩასხდნენ. აბა, რას წარმოიდგენდა მოპირდაპირე სკამზე მჯდომი დარბაისელი კაცი, თუ ეს ახალგაზრდა ქალი, ლუიზას რომ ახლდა, დედა და თან პასუხისმგებელი მუშაკი იქნებოდა!

შინ დაბრუნებულები მოწყვეტით დაეშვნენ საწოლზე. ძილის წინ ბავშვმა ამის თქმაღა მოასწრო:

— ასეთ ნეტარ დღეს ჯერ არ მოვსწრებივარ, დედი!

დედა ერთხანს თვალგახელილი იწვა. „ჰოი, რამდენი სიამოვნება და სიკეთე მოვაკელი ჩემს პატარა გოგონას! მაგრამ ჯერაც არ არის გვიან, კიდევ შეიძლება დაკარგულის ანაზღაურება!“

ბოლოს ფრაუ კერნერსაც ჩაეძინა. ახალგაზრდა ქალს პირზე ღიმილი დასთამაშებდა, კამკამა აიბზეეზე მოფარფატე ნიავის დარი.

ბავშვი ხომ შეიცვალა. ახლა ახალგაზრდა ქალის არსებამაც წინასწარ იგრძნო ეს ცვლილება.

თავი მერვე

ბატონ გაბელეს სახელოსნოს ციცქნა ფანჯრები. ყავით გამასპინძლება კერტნერ-რინგზე. დიპლომატიური საუბარი. მამა ხომ მკაცრი უნდა იყოს! C-Moll ქორწინების გეგმა. კობენცლალეე – 43. ფროილაინ გერლახი გაოცებულია. კარის მრჩეველი შტრობლი ფრიად შეშფოთებულია. კაპელმაისტერი დედოფალას ეფერება.

ლოტას საფორტეპიანო გაკვეთილები შეწყდა, მაგრამ რა მისი ბრალი იყო. მამა ამ ბოლო დროს მეცადინეობისათვის რატომღაც ვეღარ იცლიდა. იქნებ, საბავშვო ოპერაზე მუშაობა უშლიდა ხელს? შესაძლებელია, ან იქნებ?.. პატარა გოგონები ალღოთი გრძნობენ ხოლმე საქმის გაუკუღმართებას. როდესაც მამა ასე არხეინად ლაპარაკობს საბავშვო ოპერაზე, ფროილაინ გერლახზე კი კრინტს არ ძრავს, აბა, ბავშვი რის ბავშვია, თუ პაწაწინა ნადირივით არ იყნოსა საფრთხის მოახლოება!

* * *

აი, პალფის ბინაც როტერტურმშტრასეზე. ოთახიდან ლოტა გამოვიდა და მათი ბინის მოპირდაპირე კარზე დააკაკუნა. იქ მხატვარი გაბელე ცხოვრობს, მეტად ტკბილი და საყვარელი ადამიანი. რამდენჯერ უთქვამს ლოტასთვის – დრო რომ გექნეს, შემომიარე და დაგხატავო.

ბატონმა გაბელემ კარი გაუღო.

– ლუიზა, შენა ხარ?

– დღეს მოვიცალე, – უთხრა გოგონამ.

– ამ წუთას! – წამოიძახა მხატვარმა და სამუშაო ოთახში გავარდა, დივანს საფარი გადააძრო, რომ მოლბერტზე დამაგრებული სურათი დაემალა. მხატვარი ანტიკურ სცენას ხატავდა და მასთან ბავშვებს არაფერი ესაქმებოდათ.

მერე გაბელე შინ შეუძღვა პატარას და სავარძელზე ჩამოსვა. სახატავი ბლოკნოტი მოიმარჯვა, სახელდახელოდ ხატავს გოგონას, თან ესაუბრება:

– შენ რაღაც პიანინოს შემოსწყერი.

– ძალიან გიშლიდით ხელს?

– სულაც არა, თითქოს გულს მაკლია, რომ აღარ უკრავ!



— მამას ჩემთვის აღარ სცალია, ოპერას წერს, — სერიოზულად წარმოთქვა ლოტამ, — საბავშვო ოპერა იქნებაო.

გაბელეს ესიამოვნა ამის გაგონება... მერე ერთბაშად მოიღუშა.

— ოჰ, ეს ფანჯრები, — ერთი შეუკურთხა მხტვარმა, — სინათლე სულ არ შემოდის, ატელიეს გარეშე მუშაობა არ იქნება!

— რატომ არ დაიქირავებთ ატელიეს, ბატონო გაბელე?

— სად არის, რომ დაიქირავო, სად იშოვი!

— მამას ფართოფანჯრებიანი ატელიე აქვს, ჭერიდანაც ჩამოდის სინათლე, — უთხრა წამიერი დუმილის შემდეგ გოგონამ.

ბატონმა გაბელემ რაღაცა წაიდუდუნა.

— კერტნერ-რინგზეა, — დაუმატა ლოტამ, — ერთხანს იყუჩა და მერე თქვა:

— მუსიკის შეთხზვას რად სჭირდება იმდენი სინათლე, რამდენიც ხატვას უნდა, ასე არ არის?

— ნამდვილად ასეა! — მიუგო გაბელემ.

ლოტამ ერთხელ კიდევ მოსინჯა და ჩაფიქრებულმა განაგრძო:

— ისე, მამას ხომ შეუძლია გაგიცვალოთ, მაშინ დიდი ფანჯრები და მეტი სინათლე გექნებოდათ, ხატეთ, რამდენიც გენებოთ! თვითონაც აქვე ყურისძირში იქნება და, როცა მოუნდება, დაწერს მუსიკას.

ამან გოგონაც გაამხიარულა, ეს რა მოვიგონეო!

რანაირად არ ეცადა ბატონი გაბელე, შეკამათებოდა ლოტას, მაგრამ, რაკი ვერაფერი გააწყო, ესღა მიუგო მოღიმარმა:

— მართლაც რომ ძალიან პრაქტიკულია, მაგრამ ერთი მამაშენსაც ჰკიდხე?!

ლოტამ თავი დაუქნია:

— დღესვე დავეკითხები.

* * *

ბატონი პალფი თავის ატელიეში ზის. სტუმარი ჰყავს. საყიდლებზე გამოსულ ფროილაინ გერლახს თურმე „შემთხვევით" ახლოს ჩაუვლია და უფიქრია, მოდი, ერთი წუთით ლუდვიგთან ავირბენო.

პალფი ჯერ რაღაცას ჩხაპნიდა პარტიტურის ფურცლებზე, მერე გვერდზე გადადო და ირენასთან მასლაათი გაბა. მასპინძელი თავდაპირველად გვარიანი გაბრაზებული ჩანდა — ჭირივით ეზარებოდა, როდესაც ვინმე დაუკითხავად ესტუმრებოდა ხოლმე და მუშაობაში ხელს უშლიდა. მაგრამ თანდათან გუნება გამოუკეთდა; აბა რა, ვის არ მოხიბლავს ასეთი ლამაზი ქალბატონის გვერდით ჯდომა და ხანდახან, ვითომდა უნებლიეთ, მისი მშვენიერი ხელის მოფერება!

ირენამ თავისი საქმე კარგად იცის — პალფის ცოლობა სურს. სახელგანთქმული კაცია, ერთმანეთიც მოსწონთ, მაშ რაღამ უნდა შეუშალოს ხელი! თუმცა პალფიმ ჯერ არაფერი იცის, რა ბედი ელის, მაგრამ ქალი უცბად კი არ

მიახლის, ლმობიერად შეაგონებს, ისე, რომ ბოლოს თვი-თონ მიხვდეს და თვითონვე შემოსთავაზოს ქორწინება.

ერთი დაბრკოლება კი ეღობებათ — აი, ეს გადარეული ბავშვი! მაგრამ საკმარისია, ირენამ ზედიზედ ორი ბავ-შვი გააჩინოს და ყველაფერი მოგვარდება! მაშინ ირენა ამ დინჯ და მიუკარებელ გომბიოსაც მოუვლის, როგორც საჭიროა!

გაისმა ზარის წკრიალი.

ლუდვიგმა გახედა.

ვინ დგას კარებთან? სწორედ ეს „დინჯი და მიუკარე-ბელი გომბიო". ხელში ყვავილების თაიგული უჭირავს. გოგონამ ოდნავ ჩაიმუხლა და რევერანსით მიესალმა მა-მას.

— ღმერთი გწყალობდეს, მამი! ცოცხალი ყვავილები მოგიტანე.

ბავშვმა ატელიეში გაიარ-გამოიარა, სტუმარსაც მდაბლად მიესალმა სულ ერთი წამით, მერე ვაზა აიღო და სამზარეულოში შევიდა. ირენა გერლახმა ეშმაკურად გაიღიმა.

— შენ და შენს ქალიშვილს რომ გიყურებთ, ასე მგონია, გოგონას კალთაზე ჰყავდე გამობმული!

ბატონმა კაპელმაისტერმა მორცხვად გაიღიმა :

— ამ ბოლო დროს მეტისმეტ სიმტკიცეს იჩენს და ალალ-მართალი გამიხდა!

ფროილაინ გერლახმა ლამაზი მხრები შეარხია. ამ დროს კვლავ გამოჩნდა ლოტა. ცოცხლაყვავილებიანი ლარნაკი მაგიდაზე დადგა, ჭურჭელი გამოალაგა და, სანამ ფინჯნებს ჩამოარიგებდა, მამას მიუბრუნდა:

— ამ წუთას ყავას მოვადუღებ, სტუმარს ხომ უნდა გავუმასპინძლდეთ!

მამა და მისი სტუმარი გაოგნებულები მისჩერებოდნენ გოგონას.

„მე კი ეს გოგონა უკარება მეგონა! — გაიფიქრა ფროილაინ გერლახმა, — რა სულელი ვყოფილვარ!".

ცოტა ხნის შემდეგ ლოტაც შემოცქრიალდა, ყავა, შაქარი და ნაღები შემოიტანა. კარგი მეოჯახე ქალივით დაასხა ყავა, თან იკითხა — ხომ არ დაშაქრავთო, და სტუმარს ნაღები მიუჩოჩა. მერე მამამისის გვერდით ჩამოჯდა და თავაზიანად განაცხადა:

— თქვენი ხათრით მეც გეახლებით ცოტაოდენს.

მამამ ლოტას ყავა დაუსხა და კავალერივით ჰკითხა:

— ნაღებს რამდენს ინებებთ, ჩემო ქალბატონო?

— ნახევარი ყავა იყოს და ნახევარი ნაღები, ჩემო ბატონო! — კისკისით მიუგო გოგონამ.

— უმორჩილესად გთხოვთ, ჩემო ქალბატონო!

— დიდად გმადლობთ, ჩემო ბატონო

ერთხანს ჩუმად ისხდნენ და ყავას მიირთმევდნენ, ბოლოს, ისევ ლოტამ გატეხა ნავსი:

— ეს-ესაა, ბატონ გაბელესთან ვიყავი.

— მერე, დაგხატა?

— არ დაუმთავრებია, სულ რამდენიმე ჩანახატი შეასრულა, — მიუგო ლოტამ, ყავა მოსვა და მერე უბოდიშოდ დაუმატა: — სახელოსნოში სინათლე არ შემოდის, ჭერს სარკმელი მაინც ჰქონდეს დატანებული, აი, როგორც აქ.

— დაიქირაოს ასეთივე ატელიე, — რიხიანად მიუგო ბატონმა კაპელმაისტერმა და აზრადაც არ მოსდიოდა, ლოტას საბელს რომ გამოჰბმოდა და მას მიჰყვებოდა კვალდაკვალ.

— მეც ეგ ვუთხარი, — მშვიდად მიუგო გოგონამ, — მაგრამ ყველა ატელიე გაქირავებულიაო.

„რა ეშმაკის ფეხია!“ — გაიფიქრა ფროილაინ გერლახმა. კარგად მიუხვდა ბავშვს განზრახვას. აბა, რას გამოაპარებდით, ისიც ხომ ევას მოდგმისა გახლდათ! სწორედაც რომ მიუხვდა!

— მუსიკის დასაწერად, კაცმა რომ თქვას, ზედმეტია შემინული ჭერი, არა, მამი?

— სწორი ბრძანებაა!

გოგონამ ღრმად ამოისუნთქა, წინსაფარზე დაიხედა და ისევ მამას მიუბრუნდა, თითქოს იმწამს თავში მოსულ აზრს უზიარებსო:

— ბატონ გაბელეს რომ გაუცვალო ატელიე, მამი? — მადლობა უფალს, როგორც იქნა, ამოღერღა ლოტამ სათქმელი და მამას გადახედა, გოგონა შემკრთალი თვალებით მას ემუდარებოდა.

მამა თითქოს ბრაზობდა და კიდეც უხაროდა. ჯერ თავის ქალიშვილს გადახედა, მერე კოხტა ქალბატონს, ერთ წამში მომხიბლავი ირონიული ღიმილი რომ მოეფინა სახეზე.

— მაშინ ბატონ გაბელეს კარგი ატელიე ექნებოდა, — განაგრძო გოგონამ, თან ხმაში თრთოლა შეეპარა, — სინათლე ულევი; შენ კი ჩვენ გვერდით, ჩემსა და რეზის სიახლოვეს იცხოვრებდი, — ლოტა მუდარით შესცქერის მამას თვალებში. — მუშაობისას ჩვეულებრივ განმარტოვდები. მოგწყინდება და იქვე, მდელოზე გახვალ, ქუდის დახურვაც კი არ დაგჭირდება. შუადღისას ერთად ვისადილებთ ხოლმე შინ — გავამზადებთ თუ არა სადილს, სამჯერ დაგირეკავთ ზარს; საყვარელ კერძებს არ მოგაკლებთ, გინდა შაშხსაც. პიანინოზე თუ დაუკრავ, კედლი-

დან მოგაყურადებთ! — ბავშვის ხმა თანდათან მინელდა, ბოლოს სულ მიყუჩდა.

ფროილაინ გერლახი უცებ ფეხზე წამოდგა, შინისაკენ მიიჩქარის. როგორ წასულა დრო, ისე, მეტად საინტერესოდ კი ვისაუბრეთო.

ბატონმა კაპელმაისტერმა სტუმარი გააცილა, სურნელოვან ხელზე ეამბორა და უთხრა:

— მაშ ასე, საღამომდე!

— იქნებ ვერ მოიცალო?!

— ვითომ რათა, ჩემო კარგო?!

— რა ვიცი, არ გადაბარგდები? — ღიმილით მიუგო ქალმა.

კაცმაც გაიღიმა.

— რა გაცინებს, შენი ქალიშვილის ამბავი რომ ვიცი, ავეჯის გადატანა უკვე დაკვეთილი ექნება! — წარმოთქვა ქალმა და გაბრაზებულმა კიბე ჩაირბინა.

კაპელმაისტერი შინ რომ შემობრუნდა, ლოტა უკვე ჭურჭელს რეცხავდა სამზარეულოში.

მამამ რამდენიმე ტაქტი მოსინჯა როიალზე, მერე ოთახში გაიარ-გამოიარა, პარტიტურის დაჩხაპნილ გვერდებს დახედა.

ლოტა ძალიან ფრთხილად რეცხავდა ფინჯნებს, წკრიალი რომ არ გაეღო. ჭურჭელი დაამშრალა და კარადაში შეალაგა, ციცქნა ქუდი დაიხურა და წყნარად შევიდა ატელიეში.

— მშვიდობით, მამიკო!

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს!

— ვახშმად მოხვალ?

— დღეს ვერა.

გოგონამ ნელა დაუკრა თავი და მორცხვად გაუწოდა ხელი დასამშვიდობებლად.

— მომისმინე, ლუიზა, სულაც არ მსიამოვნებს, როცა ვინმე თავს მაბეზრებს, თუნდაც ჩემი ქალიშვილი იყოს! მე უფრო კარგად ვიცი, რა მჭირდება და რა არა!

— რასაკვირველია, მამი! — მშვიდად მიუგო გოგონამ, ხელი კი ისევ გაწვდილი დარჩა...

ბოლოს მამამაც ჩამოართვა ხელი და ბავშვის წამწამებზე აკიაფებული ცრემლი შეამჩნია. მაგრამ მამა ხომ მკაცრი უნდა იყოს! ისეთი სახე მიიღო, თითქოს არაფერი დაუნახავსო, ოდნავ დაუკრა თავი და როიალს მიუჯდა.

ლოტა კი სწრაფად მივიდა კართან, ფრთხილად გამოაღო და გაუჩინარდა.

ბატონმა კაპელმაისტერმა თმაზე ხელი გადაისვა. „ბავშვის ცრემლები, ესღა აკლდა! ისიც მაშინ, როცა საბავშვო ოპერის დაწერას აპირებს! დალახვროს ეშმაკმა! საშინელებაა, როდესაც ასეთი პატარა არსების თვალებში ცრემლები გუბდება და ამ ცრემლებს ისე დაუმძიმებია წამწამები, ვითარცა ცვარ-ნამს – ნორჩი ბალახი!"

თითები კლავიშებს შეეხო. რამდენიმე ტონი მოსინჯა, თავი დახარა და ჰანგს ყური მიუგდო. ერთხელაც აახმიანა ბგერათა წყება, მერე სეკვენციაში გაიმეორა. ერთხანს თავისი საბავშვო ოპერიდან უკრავდა რომელიღაც სიმღერის მინორულ ვარიაციას. მერე რიტმი შეცვალა. მუშაობდა კაცი.

რაოდენ კეთილია ბავშვის ცრემლები! დიახ, ისეთ ხელოვანს, როგორიც პალფი გახლავთ, ეს ძალზე აფაქიზებს. წამსვე ნოტების ფურცლებს წამოავლო ხელი და ზედ ნოტები გამოიყვანა. შემდეგ, ძალზე კმაყოფილი, სკამის საზურგეს გადაეყრდნო, ხელები მოიფშვნიტა. ეს საოცრად ნაღვლიანი ჰანგი C-Moll-ს სწორედ რომ მიესადაგა (ნუთუ ერთი დევკაცი ანდა მისთანა ვინმე აღარ დარჩა ამ ქვეყანაზე, რომ დროდადრო ერთი ლაზათიანად წამოუტიალოს ამ კაცს?!).

* * *

ისევ გაირბინა კვირებმა. ფროილაინ ირენა გერლახს ბავშვის საქციელი ჯერაც არ დავიწყებია. ლოტას წინადადება, მამამ მხატვარ გაბელეს ბინა გადაუცვალოსო, მან სწორად გაიგო – ეს საბრძოლო გამოწვევა გახლდათ!

ისეთი ქალი, როგორიც ირენა გერლახი ბრძანდება, ბევრს არ მოგიბოდიშებთ, ხელთ აქვს იარაღი და იცის, როგორ მოიხმაროს! მისგან გატყორცნილი ყველა ისარი აუცდენლად ესობა აფორიაქებულ სამიზნეს. დაკოდილია ხელოვანი კაცის გული. შავ სამიზნეებს გაეწონა ერთიანად ისრები. ნანატრი მტრის გულს მოხვედრია ისრის წვერები... უკან დასახევი გზა მოჭრილია!..

– გამომყევი ცოლად! – მიმართა მან ქალს. ბრძანებასავით ქუხს ეს სიტყვები.

ქალმა თმაზე ხელი გადაუსვა და დამცინავად მიუგო:

– მაშ, ხვალ საუკეთესო კაბას ჩავიცვამ და შენს ხელს ვთხოვ შენს ქალიშვილს, საყვარელო!

კიდევ ერთი ისარი დაესო მის გულს, ამჯერად – მოწამლული.

* * *

ბატონი გაბელე ლოტას ხატავს: ბლოკნოტი და ფანქარი მოუმარჯვებია. უცებ თავი აიღო და გოგონას ჰკითხა:

— ლუიზა, რა დაგემართა დღეს? რა მთელი კვირის ნაავდრალ ცასავით ჩამოგტირის ცხვირ-პირი?!

გოგონამ ისე ამოიხვნეშა, თითქოს გულზე მძიმე ლოდი აწევსო:

— ეჰ, არაფერია!

— სკოლაში ხომ არ გაწყენინეს?

გოგონამ თავი გააქნია:

— ასე რომ იყოს, რა მიჭირდა!

ბატონმა გაბელემ ბლოკნოტი განზე გადადო.

— იცი რა, შე პატარა მტირალავ? — იგი წამოდგა, — გაისეირნე, გულს გადააყოლებ!

— ან იქნებ პიანინოზე დავუკრა?

— მით უკეთესი, აქედან მეც მოგისმენ და მეამება!

გოგონამ ხელი გაუწოდა, მდაბლად დაუკრა თავი და კარისაკენ გაემართა. შეფიქრიანებულმა მხატვარმა თვალი გაადევნა — მან კარგად უწყის, რარიგად თანგავს დარდი ბავშვის გულს, თვითონაც ხომ ყოფილა ბავშვი და არაფერი დავიწყებია, როგორც ეს მოზრდილების უმეტე-

სობას ემართება ხოლმე.

როდესაც მეზობელი ოთახიდან ფორტეპიანოს ხმა შემოესმა, მხატვარმა მოწონების ნიშნად თავი დააქნია და სტვენით აჰყვა ჰანგს. მერე ხელის ერთი აქნევით მოლბერტს საბურველი გადახადა, პალიტრა აიღო, ფუნჯი მოიმარჯვა, თვალებმოჭუტულმა გახედა სურათს და მუშაობას შეუდგა.

* * *

ბატონი პალფი როტენტურმშტრასაზე მოვიდა. ისე ეძნელებოდა კიბის საფეხურების ავლა, თითქოს ორჯერ უფრო მაღალი იყო. პალტო და ქუდ კარადის კიდეზე ჩამოკიდა.

ეს ლუიზერლია, ფორტეპიანოს რომ უკრავს?! აი, შეწყვიტა დაკვრა, მამის ფეხის ხმას წამით რომ მიაყურადოს. ბატონი კაპელმაისტერი პიჯაკს ისე ისწორებს, გეგონებათ, ინტენდატს უნდა მიეახლოსო. მერე ოთახის კარი შეაღო.

გოგონამ კლავიშებს მზერა მოსწყვიტა, მამას ახედა და გაუღიმა.

— მამი, რა კარგია, რომ მოხვედი, ყავა მოგიდუღო? —

გოგონა მრგვალი სკამიდან ჩამოხტა, ფაციფუცით გაეშურა ჯამზრეულოსაკენ, მაგრამ მამამ შეაჩერა.

— მადლობელი ვარ, არ მინდა, დაჯექი, უნდა მოგელაპარაკო!

გოგონა უშველებელ სავარძელში ჩაეშვა, ერთი ციდა დედოფალასავით ჩაიხატა შიგ, კუბოკრული ქვედატანი გაისწორა და მამას შეაცქერდა.

მამამ ნერვიულად ჩაახველა, ბოლთის ცემას მოჰყვა. ბოლოს სავარძელთან შედგა და წამოიწყო:

— მაშ ასე, ლუიზერლ, საქმე მეტად მნიშვნელოვანი და სერიოზულია! მას აქეთ, რაც დედაშენი ჩვენთან აღარ არის, აგერ მეშვიდე წელიწადია, მარტოდმარტო დავრჩი. არა, მთლად ეულადაც არ ვყოფილვარ, აკი შენ მყავდი და ახლაც მყავხარ!

ბავშვი თვალებმოჭუტული შესცქეროდა მამას.

„რა სულელურად ვლაპარაკობ!“ — გაიფიქრა კაცმა და საკუთარ თავზე გაბრაზდა.

— მოკლედ რომ მოვჭრათ, აღარ შემიძლია მარტოხელობა, რაღაც ხომ უნდა შეიცვალოს ჩემს ცხოვრებაში, მაშასადამე, შენს ცხოვრებაშიც!

ოთახში დუმილი ჩამოწვა.

ფანჯრის დაგმანული მინას ბზუილით მიაწყდა ბუზი და გარეთ გაფრენას ლამობდა (ყოველ ადამიანს შეეძლო შეეგონებინა – შე უმწეოვ, ამაოდ რად იმტვრევ ციცქნა თავსაო, თუმცა მწერს მეტი მიხვედრილობა ვინ მისცა, მაგრამ ადამიანი, იგი ხომ გონიერია!).

– გადავწყვიტე, ხელმეორედ შევირთო ცოლი.

– არა! – თითქმის ყვირილი აღმოხდა გოგონას, მერე წყნარად გაიმეორა:

– არა, მამიკო, ნუ, მამი, გეხვეწები, ნუ იზამ ამას!

– შენ ხომ კარგად იცნობ ფროილაინ გერლახს. მას ძალიან უყვარხარ, იგი კარგ დედობას გაგიწევს. უქალო ოჯახს მერე და მერე უფრო გაუძნელდება შენი აღზრდა და ხელიდან წავა საქმე (ერთი ამას დაგვიხედეთ, ვითომ გული უნდა აგვიყუჩოს! ესღა გვაკლდა, დაგვიმტკიცოს, ცოლის შერთვას იმიტომ ვაპირებ, რომ ბავშვს დედა ჰყავდესო!).

ლოტა განუწყვეტლივ აქნევდა თავს, უხმოდ ატოკებდა ტუჩებს, თითქოს ავტომატი ყოფილიყო, თავს ვერ აჩერებდა, შეგეშინდებოდა მისი შეხედვა. მამამ თვალი მოარიდა და განაგრძო:

– გაცილებით მალე შეეჩვევი ახალ პირობებს, ვიდრე

გგონია, მხოლოდ ზღაპრებში არსებობენ ავი დედინაცვლები... მაშ ასე, ლუიზერლ, შენი იმედი მექნება, შენზე ჭკვიანი ბავშვი ქვეყნად არ მეგულება!

საათს დახედა.

— ახლა კი უნდა წავიდე, ლუზერთან „რიგოლეტოს“ რეპეტიციას ვატარებ, — და ოთახიდან გაიძურწა.

გოგონა დარეტიანებული ზის.

ბატონმა პალფიმ გარდერობიდან ქუდი ჩამოიღო და არტისტულ თავზე ჩამოიფხატა. ოთახიდან განწირული ძახილი მოისმა — „მამი!“ — თითქოს წყალწაღებული იხრჩობაო.

ოთახი მორევი როდია, შიგ რომ დაიხრჩოსო! — გაიფიქრა ბატონმა პალფიმ და თვალს მიეფარა. ძალიან ეჩქარება, მომღერალ ლუზერთან უნდა წაიმუშაოს...

* * *

ლოტა გამოერკვა. პრაქტიკული გონება სასოწარკვეთილებაშიაც უმართლებს და წინ მიუძღვება. რა უშველის ახლა ამ საქმეს? ცხადია, რაღაც უნდა იღონოს! მამა ვერ ეღირსება სხვა ქალის შერთვას, ვერა! ერთი ცოლი უკვე ჰყავს, რა ვუყოთ, რომ მასთან არ ცხოვრობს. ლო-

ტა სხვა ქალს ვერასოდეს იგუებს დედად, ვერასოდეს! მას ხომ ჰყავს დედა, მთელ ქვეყაანას რომ ურჩევნია!

დედა რომ აქ იყოს, ალბათ უშველიდა, მაგრამ არა – ეს ამბავი მის ყურამდე არ უნდა მივიდეს! ტყუპების ეგზომ დაფარული საიდუმლოება არასგზით არ უნდა შეიტყოს, მით უფრო, არც ის, მამა ვიღაც ფროილაინ გერლახის შერთვას რომ აპირებს!

ერთი გზაღა რჩება და ლოტაც ამ გზას უნდა დაადგეს.

გოგონამ ტელეფონების წიგნი გადმოიღო და ათრთოლებული ხელებით გადაფურცლა. „გერლახი" – არცთუ მრავალრიცხოვანი ყოფილა გერლახების საგვარეულო. „შტეფან გერლახი, ვენის სასტუმროთა გაერთიანების გენერალური დირექტორი, კობენცლალეე – 43". ამას წინათ არ უთხრა მამიკომ, ფროილაინ გერკლახის მამა რესტორნებისა და სასტუმროების მფლობელია, თვით სასტუმრო „იმპერიალისა", სადაც პალფები ყოველდღიურად სადილობენ, „კობენცლალეე – 43!".

ჯერ რეზის გამოჰკითხა დაწვრილებით, როგორ მივაგნებო კობენცლალეეს, მერე პალტო ჩაიცვა, ქუდი დაიხურა და განაცხადა:

– ახლავე მივდივარ!

— რას დაეძებ მაგ კობენცლალეეზე? — ჰკითხა გაოცებულმა რეზიმ.

— ერთ ვინმეს უნდა მოველაპარაკო!

— იცოდე, მალე დაბრუნდი!

გოგონამ თავი დაუქნია და გზას გაუდგა.

* * *

ირენა გერლახის კოპწია ოთახის კარი მოახლემ შეაღო და პირმოღიმარმა მოახსენა:

— ვიღაც ბავშვს სურს თქვენთან საუბარი, მოწყალეო ფროილაინ, პატარა გოგონაა.

„მოწყალე ფროილაინს“ ის-ის იყო ფრჩხილების გალაქვა დაემთავრებინა და ლაქი რომ შეეშრო, ხელებს ასავსავებდა.

— პატარა გოგონა?

— ლუიზა პალფი.

— აა! — გაჭიანურებულად წარმოთქვა „მოწყალე ფროილაინმა“, — შემოიყვანე!

მოახლე გამობრუნდა. ქალბატონი წამოდგა, სარკისაკენ გაიხედა და თავისი შეჭმუხნილი სახე რომ დაინახა, გაეღიმა. „ლუიზა მილერი ეახლა ლედი მილფორდს!“

— მხიარულად გაიფიქრა მან — იგი განათლებული ქალი გახლდათ !

გოგონა შემოვიდა თუ არა ოთახში, ფროილაინ გერ-ლახმა მოახლეს უბრძანა:

— შოკოლადი მოადუღე, გულიანი ვაფლიც მოგვარ-თვი!

მერე ალერსიანად მიუბრუნდა სტუმარს:

— ნეტავ, იცოდე, როგორ მაამე შენი სტუმრობით! ხე-დავ, რა უყურადღებო ქალი ვარ, ერთხელაც ვერ მოვი-ფიქრე, ჩემსას მომეპატიჟებინე ! პალტოს არ გაიხდი?

— გმადლობთ, დარჩენას არ ვაპირებ! — მიუგო ბავშვმა.

— კეთილი! — კვლავ მზრუნველად უთხრა ირენა გერ-ლახმა, — ერთი წუთით ჩამოჯექი, ეს ხომ დიდ დროს არ წაგართმევს!

გოგონა სკამის კიდეზე ჩამოჯდა, თან ქალს თვალს არ აცილებდა. მასპინძელი ახლა კი გრძნობდა, რა სასაცი-ლო მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ გამბედაობა მო-იკრიბა; სწადია, მოიგოს ეს თამაში და, ჰგონია, მოიგებს კიდეც!

— აქეთ შემთხვევით შემოიარე?

— არა, მოსალაპარაკებლად მოვედი.

ირენა გერლახმა მომხიბვლელად გაიღიმა:

— ბრძანეთ, გისმენთ!

გოგონა სკამიდან ჩამოცოცდა, შუაგულ ოთახში დადგა და განუცხადა:

— მამამ მითხრა, რომ თქვენ მისი ცოლობა მოგისურვებიათ.

— მართლა ასე თქვა? აღარ გითხრა, რომ უწინ მან შემომთავაზა? მაგრამ ეგ არაფერი. — ზარივით წკრიალა ხმით გადაიკისკისა ფროილაინ გერლახმა. — მაშ ასე, ლუიზერლ, მე და მამაშენმა დაქორწინება განვიზრახეთ. მე და შენ, უეჭველია, კარგად შევეწყობით ერთმანეთს, მტკიცედ მჯერა! შენ — არა? მისმინე, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ისე დაგვაახლოებს, რომ სულ მალე საუკეთესო მეგობრები ვიქნებით. ორივენი უნდა ვეცადოთ, რომ ასე მოხდეს, აბა, მომეცი ხელი!

გოგონამ უკან დაიხია და დინჯად მიუგო:

— თქვენ არ უნდა მისთხოვდეთ მამაჩემს!

ახლა კი გვარიანად შესტოპა გოგონამ.

— კი მაგრამ, რატომ?

— იმიტომ რომ, ეს არ შეიძლება!

— ვერაფერი განმარტებაა! — მიახალა ფროილაინ გერ-

ლახმა. მოფერებით აქ ვერას გააწყობდა კაცი.

— მაშ, შენ გსურს, ამიკრძალო მამაშენთან ქორწინება?

— დიახ!

— ეს უკვე მეტისმეტია! — აღელდა ახალგაზრდა ქალ-ბატონი. — გთხოვ, შინ მიბრძანდე. მე კიდევ დავფიქრდე-ბი, მოვუყვე თუ არა მამაშენს ეს უცნაური ამბავი. თუ არ მოვუყვები, ისიც იმიტომ, რომ ჯერ კიდევ მჯერა ჩვენი მეგობრობისა და არ მსურს, აქედანვე გავაფუჭო საქმე. ნახვამდის!

კარებთან მისული გოგონა ერთხელ კიდევ შემობრუნ-და და უთხრა:

— დაგვაყენეთ ჩვენთვის, გთხოვთ, გემუდარებით!

ფროილაინ გერლახი მარტო დარჩა.

„სხვა გზა არ არის, ქორწინება უნდა დავაჩქაროთ, მე-რე კი ამ აბეზარ ბავშვს როგორმე ინტერნატში უნდა ვუკ-რათ თავი. მხოლოდ სხვისი მკაცრი ხელი თუ უშველის ახლა საქმეს!“

— კიდევ რას ინებებდით? — ოთახში მოახლე შემოვიდა ლანგრით ხელში, — შოკოლადი და ვაფლი მოგართვით! სად წავიდა ის პატარა გოგონა?

— მომწყდი თავიდან, ეშმაკმა წაგიღოთ!

* * *

ბატონი კაპელმაისტერი ვახშმად შინ ვერ მოვა, ოპერას უნდა უდირიჟორობს. დღესაც წინანდებურად რეზისთან ერთად ივახშმებს გოგონა.

— დღეს პირში ხემსი არ ჩაგსვლია, — უსაყვედურა რეზიმ, — მოჩვენებას დაემსგავსე, კაცს შეეშინდება შენი დანახვა, გაწუხებს რამე?

ლოტამ თავი გააქნია, დუმს. რეზიმ ბავშვს ხელზე მოჰკიდა ხელი, მაგრამ შეშინებულმა უმალვე გაუშვა:

— სიცხე გაქვს, ახლავე ლოგინში ჩაწექი!

მერე ერთი ვაი-ვაგლახითა და ხვნეშით საბავშვო ოთახში გაიყვანა ხელში ატატებული მოქანცული არსება, ტანთ გახადა და ლოგინში ჩააწვინა.

— მამას ნურაფერს ეტყვი, რა! — ლუღლუღებდა პატარა და თან კბილებს აკაწკაწებდა. რეზიმ ბალიშები და საბნები აახოხოლავა, მერე ტელეფონს მივარდა და კარის მრჩეველი, ექიმი ბატონი შტრობლი გამოიძახა.

მოხუცი შეჰპირდა, წამსვე მანდ გავჩნდებიო. ამ ამბავმა ისიც შეაშფოთა. მერე რეზიმ ოპერაშიც დარეკა.

— კარგი! — უპასუხეს მას, — შესვენებისას შევატყობინებთ კაპელმაისტერს.

რეზი კვლავ საძინებელ ოთახში შევარდა. გოგონა შფოთავდა, ხელებს ასავსავებდა, გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდა. ბალიშები, საბნები და ქვეშაგებიც იატაკზე მიყარ-მოყარა.

— ნეტავ, მალე მოვიდოდეს ბატონი ექიმი, მანამადე რა უნდა ვიღონო? დავადო კომპრესი? მაგრამ როგორი — ცივი, ცხელი, სველი, მშრალი? — თავგზა აბნევია რეზის.

* * *

ფრაკში გამოწყობილი კაპელმაისტერი ანტრაქტის დროს სოპრანოს გარდერობში ზის და, საქმიან საუბარში გართული, მასთან ერთად ღვინოს წრუპავს. მსახიობებს ხომ მუდამ თეატრის ამბები უტრიალებთ თავში. ასეა ამჯერადაც.

კარზე დააკაკუნეს.

— მობრძანდით! — შემოვიდა რეჟისორის თანაშემწე.

— როგორც იქნა, მოგაგენით, ბატონო პროფესორო, — შემოსვლისთანავე წამოიძახა ცუნცრუკა მოხუცმა, — ეს-ესაა, როტენტურმშტრასედან დაგვირეკეს და გვაცნობეს, რომ თქვენი ქალიშვილი სრულიად უეცრად ავად გამხდარა, კარის მრჩეველი, ექიმი შტრობლიც გამოუ-

ძახებიათ დაუყოვნებლივ. ალბათ, ახლა ავადმყოფს თავს ადგას კიდეც.

ბატონი კაპელმაისტერი გაფითრდა.

— დიდ მადლობას მოგახსენებ, ჰერლიჩკა! — წყნარად მიუგო მან. რეჟისორის თანაშემწე გავიდა.

— იმედია, საშიში არაფერი იქნება, — დაამშვიდა მომღერალმა ქალმა, — წითელა მოხდილი აქვს პატარას?

— არა, — მიუგო კაპელმაისტერმა და წამოდგა, — მაპატიე, მიცი!

კარი გაიხურა და მაშინვე ტელეფონს მივარდა:

— ალო, ირენა ხარ?

— ჰო, საყვარელო. დამთავრდა სპექტაკლი? მაგრამ ჯერ რომ არ ჩამიცვამს?

კაცმა აჩქარებით უთხრა ახლახან მოტანილი ამბავი და დასძინა:

— ვეჯვობ, რომ დღეს შევხვდეთ!

— რასაკვირველია, ვეღარ შევხვდებით! იმედია, საშიში არაფერი იქნება, წითელა მოხდილი აქვს პატარას?

— არა, — მოუთმენლად მიუგო კაცმა, — ხვალ დილაადრიან დაგირეკავთ, — და ყურმილი დაკიდა. ამ დროს ზარმაც დაიწკრიალა. შესვენება დამთავრდა, სპექტაკლი

გაგრძელდა და მასთან ერთად ცხოვრებაც.

როგორც იქნა, დასრულდა ოპერა. აი, კაპელმაისტერი როტენტურმშტრასეზე მდებარე სახლის კიბეზე არბის. კარი რეზიმ გაუღო... ეს-ესაა, მორიგე აფთიაქიდან დაბრუნებულა, ჯერ ქუდიც არ მოუხდია.

ავადმყოფის საწოლთან კარის ექიმი შტრობლი ჩამომჯდარა.

– როგორაა ბავშვი? – ჩურჩულით ჰკითხა მამამ.

– არცთუ კარგად, – მიუგო ექიმმა, – მაგრამ შეგიძლიათ ხმამაღლა ილაპარაკოთ, – გამაყუჩებელი ნემსი გავუკეთე.

ლოყებწამოგზნებული ლოტა ბალიშზე მისვენებულა და ძლივს სუნთქავს, სახე მოღრეცია, ექიმის მიერ მოგვრილი ხელოვნური ძილი თითქოს უსაშველო ტკივილს აყენებსო.

– წითელა აქვს?

– მაგის ნიშანწყალიც არ ეტყობა! – ჩაიბუზღუნა ექიმმა.

ოთახში რეზი შემოვიდა, ჩუმად იცრემლებოდა.

– აღარ უნდა მოიხადოთ ეგ ქუდი?! – ნერვიულად უთხრა მას ლუდვიგმა.

— აჰ, მართლაც, მაპატიეთ! — რეზიმ ქუდი მოიხადა და ხელში დაიჭირა.

ექიმმა ორივეს გადახედა, თითქოს მათგან ელოდებაო პასუხს, მერე კი დასძინა:

— ცხადია, ბავშვი რაღაც მძიმე სულიერ კრიზისს განიცდის. ხომ არაფერი იცით, რა დაემართა? სულ არაფერი შეგიმჩნევიათ?

— ეგება, ჩემს ნათქვამს საერთო არაფერი ჰქონდეს ამ ამბავთან, მაგრამ ის კია, რომ ნაშუადღევს იგი სახლიდან გავიდა, ვიღაცას უნდა მოველაპარაკოო, წასვლისას მთხოვა, კობენცლალეეს გზა მიმასწავლეო, — თქვა რეზიმ.

— კობენცლალეეს? — ჩაეკითხა ექიმი და კაპელმაისტერს გადახედა.

პალფი მაშინვე ტელეფონს მივარდა და დარეკა:

— დღეს ნაშუადღევს ლუიზა შენთან იყო?

— გახლდათ! — გაისმა ქალის პასუხი, — მაგრამ რისთვის დასჭირდა ამის მოყოლა?

კაცმა არაფერი უპასუხა და შეეკითხა:

— კი მაგრამ, რა მინდაო?

ბოლმამორეულმა ფროილაინ გერლახმა გაიცინა:

— ამას თვითონ მოგახსენებს!

— გევედრები, მიპასუხე! — კიდევ კარგი, რომ ქალი ვერ დაინახავდა, რა სახე ჰქონდა პალფის!

— რამდენადაც მესმის, იგი ჩემთან იმისთვის მოვიდა, რომ ჩვენი ქორწინება ჩაეშალა! — მიახალა გაანჩხლებულმა ქალმა.

ლუდვიგმა რაღაცა წაიბუტბუტა და ყურმილი დადო.

— რა დაემართა ბავშვს ასეთი? — ჰკითხა ფროილაინ გერლახმა, მერეღა შეამჩნია, რომ ტელეფონი გათიშულიყო.

— ო, ეს პატარა გაიძვერა! — ხმადაბლა წაისისინა ქალმა, — არავითარ საშუალებას არ ზოგავს, ახლა ლოგინშიაც ჩაწოლილა და ავადმყოფობას იგონებს!

* * *

ექიმი მასპინძლებს დაემშვიდობა, თან ზოგიერთი რჩევა-დარიგება მისცა. კართან მისული ლუდვიგმა შეაჩერა და ჰკითხა:

— რა სჭირს ბავშვს?

— ნერვიული ციებ-ცხელება აქვს. ხვალ დილაადრიან გამოგივლით. ღამე მშვიდობისა!

კაპელმაისტერი ბავშვის ოთახში შებრუნდა, საწოლთან ჩამოჯდა და რეზის მიმართა:

— აღარ მჭირდებით, წადით, ძილი ნებისა!

— ხომ არ აჯობებდა...

ლუკვიგმა ერთი გადახედა ქალს.

რეზი გავიდა, ქუდი ისევ ხელში ჩაუბღუჯავს.

მამა გოგონას ალმურმოდებულ ლოყებს ეფერება. სიცხიანი ბავშვი ძილში შეტოკდა და უმალ მეორე გვერდზე გადაბრუნდა.

ლუდვიგმა ოთახში მიიხედ-მოიხედა. მაგიდაზე მოწაფის წიგნებით გაბერილი ჩანთა იდო. გვერდით დედოფალა ქრისტლი წამოსკუპებულიყო.

მამა წყნარად წამოდგა, დედოფალა ხელში აიყვანა. მერე სინათლე გამორთო და კვლ;ავ საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

ზის ასე სიბნელეში და უალერსებს დედოფალას, თითქოს ბავშვიაო, ბავშვი, მის ხელის შეხებას რომ არ გაურბის.

თავი მეცხრე

ბატონ აიპელდაუერის ფოტოებმა სულ მთლად დააბნია ქალი. კი მაგრამ, ნამდვილად ლოტაა? ფრაუ კერნერმა ფროილაინ ლინეკოგელს გაანდო ხვაშიადი. დაშაშხული ღორის სუკი და დამსხვრეული ჭურჭელი. ლუიზას აღსარება. რატომ აღარ აძლევს პასუხს ლოტა?

მიუნხენის ილუსტრირებული კვირეული ყურნალის რედაქტორმა დოქტორმა ბერნაუმ ხმამღლა ამოიოხრა:

— ცუდ დღეში ჩავცვივდით, ჩემო კარგო! აბა, სად გამოვძებნოთ ასე უცბად შესაფერი სურათი გარეკანისათვის?

საწერ მაგიდასთან მდგომმა ფრაუ კერნერმა მიუგო:

— ახალი ამბების სააგენტომ გადმომოგზავნა სურათი, ზედ ბრასის სტილით მოცურავე ახალბედა ოსტატი ქალია გამოსახული.

— ლამაზია?

ახალგაზრდა ქალს გაეღიმა:

— მოცურავის პირობაზე არა უჭირს რა!

ინტიბარგატესილმა ბატონმა ბერნაუმ ხელით ანიშნა, მომაცილეო, მერე მაგიდაზე გაშლ;ილი ქაღალდები გადაქექა.

— მეც გამაბედნიერა ამას წინათ ერთმა ახირებულმა სოფლელმა ფოტოხელოვანმა რამდენიმე სურათით, მათ

შორის ტყუპების ფოტოც იყო. — რედაქტორი გაზეთებსა და საქალალდეებს ჩხრეკდა, თან განაგრძობდა:

— სურათზე ორი მომხიბლავი გოგონაა აღბეჭდილი, გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს, ნეტავ, სად დამეკარგეთ, პაწაწინა ბანოვანნო? — ჰოდა, ასეთი რამეები ყოველთვის მოსწონს ხალხს. ერთი თბილი წარწერაც გავუკეთოთ და, თუ სხვა უკეთესი ვერაფერი გამოვნახეთ, ამ ლამაზი წყვილის ფოტოსურათი დავბეჭდოთ გარეკანზე. აჰა, როგორც იქნა,მივაგენი!

რედაქტორმა კონვერტიდან ამოიღო სურათები, დახედა და კმაყოფილებით თავი დააქნია, მერე ფოტოსურათები ქალს გაუწოდა, — მაშ, გამიმზადეთ, ფრაუ კერნერ!

ცოტა ხნის შემდეგ, რაკი პასუხი არ აღირსეს, რედაქტორმა თავი ასწია და უნებურად შეჰყვირა:

— ოჰ, კერნერ! ამას რას ვხედავ, რა მარილის სვეტად ქცეულხართ, გონს მოდით! ავად ხომ არა ხართ?!

— ოჰ, რაღაც ვერა ვარ კარგად, ბატონო რედაქტორო, მაგრამ ახლა თითქოს გამიარა, — ათრთოლებული ხმით მიუგო ქალმა, — იგი კვლავ ფოტოსურათებს დაშტერებოდა, მისამართს კითხულობდა: „ იოსებ აიპელდაუერის ფოტო,ზეებიული ბიულზეეზე“.

ახალგაზრდა ქალს თავში უმალ აერია ყველაფერი. რედაქტორი კი განაგრძობდა:

— ამოირჩიეთ საუკეთესო ეგზემპლარი, ზედაც ისეთო წარწერა გაუკეთეთ, მკითხველები სიცილით გაიგუდონ, ეგ ხომ გეხერხებათ!

— ხომ არ აჯობებდა, თავი შეგვეკავებინა? — როგორც იყო, ხმა ამოიღო ქალმა.

— კი, მაგრამ, რატომ, ძვირფასო კოლეგავ?

— მგონი სურათი ყალბია!

— როგორ, ფოტოგრაფიული ოინბაზობაა? — ბატონ ბერნაუს გაეცინა, — თქვენ მეტისმეტ პატივს ანიჭებთ ბატონ აიპელდაუერს, იგი ასეთი დახელოვნებული ოსტატი როდი გახლავთ!.. მაშ ასე, ახლავე შეუდექით საქმეს, ძვირფასო ქალბატონო. წარწერა ხვალაც გაუკეთდება, ოღონდ, სანამ ააწყობენ, თვალი გადამავლებინეთ! — რედაქტორმა ქალბატონს თავაზიანად დაუკრა თავი და ახალ სამუშაოს მიუბრუნდა.

ქალი ძლივს შელასლასდა თავის ოთახში, სავარძელში ჩაეშვა, სურათები წინ დაიწყო და საფეთქლებზე ხელები შემოიჭდო. მისი გონება ფიქრთა ქარბორბალამ მოიცვა და თავი კარუსელივით დაუტრიალდა. „ორივე მისი შვილი!.. ბავშვთა პანსიონატი! არდადეგები!.. ბუნებრივია!

მაგრამ ლოტხენს რომ კრინტიც არ დაუძრავს? აბა, თან რატომ არ წამოიღო ფოტოსურათი, თუ კი ერთად გადაიღეს. უსათუოდ რაღაც უდევთ გულში. ხომ არ შეიტყვეს, რომ დები არიან?! მერე, ალბათ, პირი შეკრეს, კრინტი არ დაეძრათ ამაზე. რა თქმა უნდა. ეს გასაგებიცაა. ღმერთო ჩემო, როგორ ჰგვანან ერთმანეთს! მათი სანაქებო დედის თვალს ერთხელაც რომ არ... ოჰ, ჩემო ერთიმეორეზე უფრო საყვარელო გოგონებო"!

ახლა რომ დოქტორ ბერნაუს წამით შემოეხედა, უმალვე დაინახავდა ტკივილით და თან შვებით აფორიაქებული და აცრემლებული ქალის პირისახეს, და ისე გულისმომწყვლელი იყო ეს ცრემლი, თითქოს თვალთაგან ერთბაშად მთელი სიცოცხლე წამოედინაო.

მაგრამ, საბედნიეროდ, დოქტორ ბერნაუს არ შემოუხედავს!

ფრაუ კერნერმა თავს სძლია — სწორედ ახლა მართებს გამაგრება! კიდევ რა მოხდება? რას უნდა ელოდოს, რას? რა იღონოს, უსათუოდ ლოტას უნდა მოელაპარაკოს! ქალს გააყრყოლა. რაღაც აზრი უჩინარი ხელივით მისწვდა სხეულს და ძალ-ღონე გამოაცალა:

„კი მაგრამ, იგი ნამდვილად ლოტაა?!".

* * *

ფრაუ კერნერი ლოტას მასწავლებელს, ფროილაინ ლინეკოგელს შინ ესტუმრა.

— სწორედ რომ უცნაურად მეკითხებით, ქალბატონო, — უპასუხა ფროილაინ ლინეკოგელმა, — განა შეიძლება ეჭვი შემეპაროს იმაში, რომ იგი ნამდვილად თქვენი ქალიშვილია და არა სხვა ვინმე?! მომიტევეთ, მაგრამ ...

— გამიგონეთ, მე სრულ ჭკუაზე გახლავართ! — უთხრა ფრაუ კერნერმა და მაგიდაზე სურათი დადო.

ფროილაინ ლინეკოგელს სურათიდან სტუმარზე და სტუმრიდან ისევ სურათზე გადაჰქონდა მზერა..

— მე ორი გოგონა მყავს, — წყნარად აუხსნა სტუმარმა, — ტყუპის მეორე ცალი ჩემს ყოფილ ქმართან იზრდება, ვენაში. ეს სურათი კი რამდენიმე საათის წინ შემთხვევით ჩამივარდა ხელში. აქამდე ფიქრადაც არ მომსვლია, თუ არდადეგების დროს გოგონები ერთმანეთს შეხვდებოდნენ.

გაოცებული ფროილაინ ლინეკოგელი ხმელეთზე გამორიყულ მოფართხალე ჭანარივით მალიმალ აღებდა პირს, მერე სურათი გვერდზე გასწია, თან თავს აკანტურებდა, თითქოს ეშინოდა, არ მიკბინოსო, ბოლოს იკითხა:

— ბავშვები აქამდე არ იცნობდნენ ერთმანეთს?

ახალგაზრდა ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია:

— მე და ჩემმა ქმარმა მაშინვე ასე გადავწყვიტეთ, გვეგონა, ასე აჯობებდა.

— მერე აღარ მოგიკითხავთ ქმარ-შვილის ამბავი?

— არასდროს!

— ხომ არ შეურთავს სხვა ქალი?

— არც ეგ ვიცი, მაგრამ არა მგონია. იგი დაჯერებული იყო, რომ ოჯახური ცხოვრებისათვის არ იყო მოწოდებული.

— ესეც ახალი თავგადასავალი, — მიუგო მასწავლებელმა, — რა იცი, იქნებ, ბავშვებს თავში დაებადათ აბსურდული იდეა, ერთურთს შენაცვლებოდნენ? ლოტხენის ხასიათის ცვლილებას რომ ვაკვირდები... ახლა ხელწერას აღარ იკითხავთ, ფრაუ კერნერ, — ხელწერას? მართლაც, გონს ვერ მოვსულვარ, ხელწერა ბევრ რამეს აგვიხსნის!

მშობელი თავს უქნევს, თან იატაკს ჩაშტერებია.

— ცუდად ნუ ჩამომართმევთ ასეთ გულახდილობას, — მიმართა ფროილაინ ლინეკოგელმა, — მე მხოლოდ აღმზრდელი ვარ, დედობა კი არ გამომიცდია, მაგრამ ჩემდათავად მუდამ ვფიქრობ: ეს გათხოვილი ქალები სწორედ რომ მეტისმეტად ელოლიავებიან-მეთქი ფავი-

ანთ ქმრებს, მაშინ, როცა მთავარი შვილების ბედნიერებაა და სხვა არაფერი!

ამაზე ფრაუ კერნერმა მწარე ღიმილით მიუგო:

— როგორ გგონიათ, ჩვენი ხანგრძლივი, მაგრამ უიღბლო ცოლქმრობა ბევრ რამეს შემატებდა ჩვენი შვილების ბედნიერებას?

ფროილაინ ლინეკოგელი ერთხანს ჩაფიქრდა და მერე მიუგო:

— კი არ გკიცხავთ, თქვენ ჯერაც გიყმაყი ქალი ხართ. ალბათ, მთლად ბავშვი გათხოვდით და, გეტყობათ, მთელი ცხოვრების მანძილზეც ასევე ახალგაზრდა დარჩებით, უფრო ახალგაზრდა, ვიდრე ოდესმე მე ვყოფილვარ; ჰოდა, რაც ერთისათვის სწორია, შეიძლება მეორისათვის მცდარი გამოდგეს!

სტუმარი წამოდგა.

— ახლა რას აპირებთ?

— მე თვითონაც არ ვიცი! — თქვა ყმაწვილმა ქალმა.

* * *

ლუიზა მიუნხენის ერთ-ერთი ფოსტის სარკმელთან დგას.

— არა, ქალბატონო კესანე, დღესაც არაფერი გვაქვს, — თანაგრძნობით მიუგო ფოსტის მოხელემ.

ლუიზამ მოკრძალებით შეხედა მას.

— ნეტავ, რას უნდა მოასწავებდეს ეს ამბავი? — ნაღვლიანად ბუტბუტებდა გოგონა.

— ალბათ, „კესანე“ „საპოვნელად“ იქცა ! — გაეხუმრა მოხელე.

— ეს არ მოხდებოდა, ხვალ ისევ მოგაკითხავთ! — მიახალა ჩაფიქრებულმა ლუიზამ.

— თავს ბედნიერად ჩავთვლიდით! — ღიმილით მიუგო მოხელემ.

* * *

ფრაუ კერნერი შინ ბრუნდებოდა. დაუოკებელი ცნობისწადილი და საშინელი შიში შეჰპარვია გულში. ერთიანად შეუძრავს და ლამისაა, სუნთქვა შეუკრას.

ბავშვი სამზარეულოში ფუსფუსებს. ისმის ხუფის წკარა-წკური. ქვაბში ხორცი იშუშება.

— რა გემრიელი სუნი დგას, — თქვა დედამ, — რა გააკეთე?

— ღორის ნეკნი და შემწვარი კარტოფილი გვაქვს მყავე კომბოსტოთი! — ამაყად შესძახა გოგონამ.

— რა მალე ისწავლე კერძის კეთება! — ვითომ მშვიდად მიუგო დედამ.

— მართლა, არა? ვერც კი წარმოვიდგენდი!.. — გვიანღა იკბინა ნეკზე დაფეთებულმა ლუიზამ, როგორღა გაუსწორის ახლა დედას თვალი?!

მაგრამ დედის ამბავს აღარ იკითხავთ? გაფითრებული ქალი კარებს მიეყრდნო. კედლის ფერი დასდებია. ბავშვი სამზარეულოს გაღებულ კარადასთან იდგა, ჯამ-ჭურჭელი გამოჰქონდა, თან ხელები უკანკალებდა და თეფშებსაც ზრიალი გაუდიოდა, როგორც მიწისძვრის დროს იცის ხოლმე.

დედამ ძლივსძლივობით გახსნა ბაგეები:

— ლუიზა?!

დრაახ!

თეფშები ხრიალით წამოვიდა, ნამსხვრევები მიიფანტ-მოიფანტა იატაკზე. ლუიზა სწრაფად შემოტრიალდა, თვალები შიშისაგან გაფართოებია.

— ლუიზა! — ალერსიანად გაიმეორა ქალმა და ხელები გაშალა.

ბავშვი დედას წყალწაღებულივით ჩამოეკონწიალა კისერზე და ცხარედ აქვითინდა. ქალმა ჩაიჩოქა, მთრთოლარე ხელებით შვილს მიეალერსა, თან ბუტბუტებს:

— ჩემო შვილო, ჩემო საყვარელო გოგონა!

ორივემ თეფშების ნამსხვრევებში ჩაიმუხლა. ქურაზე ღორის ნეკნი იწვება, ადუღებული წყალი შხუილ-შხუილით იღვრება ქვაბიდან გაზქურაზე.

დედა-შვილი ვერაფერს ამჩნევს. ამქვეყნად აღარ არიან, როგორც იტყვიან, სხვაგან ქრის მათი გონება.

* * *

გავიდა საათები. ლუიზამ აღსარება გაანდო დედას და დედამაც შეუნდო. აღსარება იყო გრძელზე გრძელი, სიტყვამრავალი. და იყო მიტევება ცოდვათა, ხანმოკლე, სიტყვაძუნწი, ერთი კოცნა და სხვა არაფერი.

ახლა ორივენი ტახტზე სხედან. ბავშვი მაგრად-მაგრად ჩახუტებია დედას. ო, რა კარგია, სიმართლეში რომ გამოუტყდები ვინმეს, გულიდან ლოდი ჩამოგეხსნება! ფრთაშესხმული დედის კალთას ჩაფრენია, თითქოს ეშინია, არსად გაფრინდესო.

— ჩემო ფაქიზო ქალიშვილებო! — მიმართა ლუიზას დედამ.

სიამაყით აღვსილმა ლუიზამ გადაიკისკისა (მხოლოდ ერთი საიდუმლო არ გაუმხელია დედისათვის — ახლახან რომ ლოტას წერილი მიიღო, ვიღაც ფროილაინ გერლა-

ხი შეჩენიაო მამას, იტყობინებოდა შეშფოთებული ტყუ-პისცალი).

დედამ ამოიხვნეშა.

შეშინებულმა ლუიზამ შეხედა.

— მე ის მაფიქრებს, რა ვიღონოთ? თავს ხომ ვერ მო-ვიტყუებთ, ვითომ არც არაფერი მომხდარიყოს! — თქვა დედამ.

ლუიზამ დინჯად გააქნია თავი:

— ლოტხენს ალბათ ძალიან ენატრები, შენც გენატრე-ბა ლოტხენი?

დედამ თავი დაუქნია.

— მეც მომენატრა ლოტხენი, და კიდევ, იცი? — გამოტ-ყდა ბავშვი.

— და მამაშენი, აგრე არ არის?

ლუიზამ ბეჯითად და მაინც ოდნავ მორცხვად დაუქნია თავი.

— ნეტავ გამაგებინა, რატომ არაფერს იწერება ლოტ-ხენი?

— ეგ მეც მადარდებს! — ჩაიდუდუნა დედამ.

თავი მეათე

მიუნხენი რეკავს. ყოვლის მხსნელი სიტყვა. რეზისაც აებნა დავთარი. ვენიდან მომავალ თვითმფრინავში ორი ადგილი შეკვეთილია. პეპერლი ბუქნავს. კარებთან მიტუზული ჭორიკანა კოპებს თუ მოიმკის. ბატონი კაპელმაისტერი ლამის გასათევად სახელოსნოს მიაშურებს, იქ დაუპატიჟებელი სტუმარი ეწვევა.

ლოტხენი მისუსტებული ასვენია ლიგინზე. ძილბურანში გახვეულა. აგერ, რა ხანია, ძილადაა მიგდებული.სისუსტის ბრალიაო, უთქვამს შუადღისას ექიმ შტრობლს.

ბატონი კაპელმაისტერი საწოლთან უზის ავადმყოფს და მის პაწია მოგრძო პირისახეს დაჰყურებს. ეს რამდენიმე დღეა, ოთახიდან ფეხი არ გაუდგამს. დირიჟორობაშიც სხვა შეენაცვლა. სხვენიდან საწოლი ჩამოატანინა და იქვე გააწყობინა.

მეზობელ ოთახში ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ოთახში ფეხაკრეფით შემოვიდა რეზი და წასჩურჩულა:

— მიუნხენიდან რეკავენ, თუ გცალიათ!

ლუდვიგი წყნარად წამოდგა. რეზის ანიშნა, ბავშვთან

დარჩიო, თვითონ კი მეზობელ ოთახში გავიდა. მიუნხენიდან? ვინ უნდა იყოს, ნეტა? საკონცერტო ბიუროს დირექციიდან იქნებიან, ალბათ. რაღა ახლა აუტყდათ რეკვა! ყურმილი აიღო და გაეხმიანა. ხაზი ჩაირთო.

— პალფი გისმენთ!

— კერნერი გაწუხებთ! — უპასუხა ქალის ხმამ მიუნხენიდან.

— რაო? ვინაო, ლუიზელოტე? — გაოცებულია კაცი.

— დიახ! — კვლავ ისმის შორეული ხმა. — მაპატიე, რომ გირეკავ, ბავშვის ამბავი მადარდებს. ხომ კარგადაა?

— ავად არის! — ხმადაბლა მიუგო კაცმა.

— ოჰ! — შიში შეეპარა ქალის ხმას.

შუბლშეჭმუხნილმა ბატონმა პალფიმ იკითხა:

— კი მაგრამ, ვერაფრით ვერ გამიგია, შენ რანაირად . .

— გულმა გვიწინათგრძნო მეცა და ლუიზასაც.

— ლუიზასაო?! — ნერვიულად გაიცინა კაცმა. მერე კვლავ მიაყურა ქალის ხმას, მოჯადოებულივით უსმენს, გაოცება უფრო და უფრო ეხატება სახეზე, თავს აკანტურებს და ფრიად აღელვებული წარამარა ისვამს თავზე ხელს.

ქალი კი გამალებით უყვება ყველაფერს, რისი თქმაც კი ტელეფონზე მოხერხდება.

— კიდევ ლაპარაკობთ? — ჩაერთო საუბარში ტელეფონისტი ქალიშვილი.

— დამაცადეთ, დალახვროს ეშმაკმა! — იყვირა კაპელმაისტერმა. ძნელად წარმოიდგენს კაცი, რა ორომტრიალიცაა ახლა მის თავში!

— რა სჭირს ბავშვს? — შეშფოთებული კითხულობს ყოფილი ცოლი.

— ნერვიული ციებ-ცხელება აქვს, მაგრამ ექიმი ამბობს, კრიზისი გადატანილიაო, თუმცაღა ბავშვი ფიზიკურადაც და სულიერადაც ძალიან გამოიფიტა.

— კარგი ექიმია?

— რასაკვირველია, კარის მრჩეველი შტორბლი! ლუიზას პატარაობიდანვე იცნობს. ახ, მაპატიე, — იცინის კაცი. — ეს ხომ ლოტაა! ექიმი როგორ უნდა იცნობდეს! — და ბოლოს ამოიხვნეშა.

მიუნხენიდან ქალის ხვნეშა მოესმის. ორი მოზრდილი ადამიანი უმწეოდ გაბმულიყო ხათაბალაში. ენაწართმეულთ ტვინი ამღვრეოდათ. ამ უხერხულ, სახიფათო დუმილს ბავშვის წკრიალა ხმა გაკვეთს.

— მამი, ჩემო კარგო, საყვარელო მამიკო! — შორიდან მოისმა ნარნარი ბგერა, — ლუიზა გელაპარაკება, ღმერ-

თმა გამარჯვება მოგცეს, მამი! ხომ არ ჩამოვიდეთ სასწრაფოდ ვენაში? — როგორც იქნა, წარმოითქვა ყოვლის მხსნელი სიტყვა და მდუმარების ყინული ერთბაშად გალღო კეთილად მონაბერმა ნიავმა.

— შენც ღმერთი გწყალობდეს, ლუიზა! — ჩასძახა ყურმილში შვილის ნატრულმა მამამ, — ეგ მართლაც კარგი აზრია!

— არა თუ?! — შვებით გაიცინა გოგონამ.

— როდისთვის მოახერხებთ ჩამოსვლას? — ჩაჰკითხა ყურმილში პალფიმ.

პასუხად ისევ ახალგაზრდა ქალის ხმა გაისმის:

— ახლავე შევიტყობთ, როდის გადის დილის მატარებელი.

— თვითმფრინავს გამოჰყევით, უფრო მოესწრება! — კვლავ ჩაჰყვირა ყურმილში კაცმა და თვითონვე შეცბუნდა, როგორ იქნება ასეთი ღრიალი, როდესაც ავადმყოფს სძინავსო!

ავადმყოფის სასთუმალთან მჯდარმა რეზიმ ბავშვის ოთახში შემობრუნებულ მამას ადგილი დაუთმო, თითის წვერებზე შედგა და გასვლა დააპირა.

— რეზი! — წასჩურჩულა პალფიმ.

ორივენი ფეხზე დგანან.

— ხვალ ჩემი ცოლი ჩამოვა.

— თქვენი ცოლი?

— სსუ! ხმას ნუ აუწევ ! ჰო, ჩემი ცოლი, ყოფილი ცოლი, ლოტხენის დედა.

— რომელი ლოტხენის?

ღიმილმორეულმა კაცმა ხელი გააქნია.

— ლუიზერლსაც თან ჩამოიყვანს.

— რაო? ლუიზერლი აგერ არ წევს?

ბავშვის მამამ თავი გააქნია.

— არა, ეს მისი ტყუპისცალია.

— ტყუპისცალიო? — ბატონი კაპელმაისტერის ოჯახური ურთიერთობის გამოცანამ სულ აუბნია დავთარი საწყალ ქალს.

— ჯერ საჭმელზე იზრუნეთ, ვინ წევს და ვინ არა, ამას მერეც გავარკვევთ!

— ღმერთო ჩემო! — ჩაიბუტბუტა რეზიმ და ფეხაკრეფით გავიდა.

მამამ დაქანცულობისაგან ძილად მიგდებულ ბავშვს დახედა და დაცვარული შუბლი ფაქიზად მოუწმინდა ცხვირსახოცით.

„მაშასადამე, ეს მეორე ქალიშვილი, მისი ლოტხენია? რაოდენი სიმამაცითა და ნებისყოფით იყო აღვსილი ეს თითისტოლა ბავშვი, სანამ ავადმყოფობა სასოს არ მიხ-დიდა. ეს უნარი მამისაგან როდი გადასცემია! მაშ, ვის-გან? დედისგან თუ გამოჰყვა!" — ფიქრობდა მამა.

ისევ აწკრიალდა ტელეფონის ზარი.

ოთახში რეზიმ შემოყო თავი:

— ფრიოლაინ გერლახი რეკავს.

ბატონმა პალფიმ უარის ნიშნად თავი ისე გააქნია, არ-ცკი შემობრუნებულა.

* * *

ფრაუ კერნერმა „ოჯახური მდგომარეობის გამო" ბა-ტონ ბერნაუს შვებულება სთხოვა, აეროპორტში დარეკა და მეორე დღისათვის ორი ბილეთი დაუკვეთა. მერე ჩე-მოდანში ჩაალაგა, თუ რამ ნივთები დასჭირდებოდა.

წელიწადივით გაიჭიმა ღამე. მაგრამ ეს ვითომდა უსას-რულო ღამეებიც ხომ ილევიან ბოლოს და ბოლოს!

* * *

დილაა. კარის ექიმი შტრობლი როტენტურმშტრასე-ზე მდებარე სახლისაკენ მიიჩქარის. მის უკან პეპერლი

მიცუნცულებს. მათ წინ ტაქსიმ გაისრიალა და შეჩერდა. ავტომანქანიდან გოგონა გადმოვიდა. პეპერლი გადარეულივით შეახტა პატარას, ციბრუტივით ტრიალებს, ყეფს, წკმუტუნებს.

— გამარჯობა, პეპერლ, შენი! ღმერთი გწყალობდეთ, ბატონო ექიმო!

გაოგნებულ ბატონ ექიმს სულ გადაავიწყდა „გაგიმარჯოს“ თქმა, გოგონას მივარდა, არცთუ ისე მარიფათიანად, როგორც მისი საყვარელი პეპერლი, და დაუცაცხანა.

— ჭკუდან ხომ არ შეიშალე?! ახლავე გასწი და საწოლში ჩაწექი!

ლუიზაცა და ცუგრიაც სახლის კარებისაკენ გაიქცნენ.

მანქანიდან ახლა ყმაწვილი ქალი გადმოვიდა.

— ამ ამბავმა შეიძლება თან გადაიტანოს ბავშვი! — შეჰყვირა აღელვებულმა ბატონმა ექიმმა.

— ეს ის ბავშვი არ გახლავთ, თქვენ რომ გგონიათ, ეს მისი დაა! — მეგობრულად მიუგო ყმაწვილმა ქალმა.

რეზიმ დერეფნის კარი გააღო. ზღურბლთან დგანან ენაგადმოგდებული პეპერლი და ბავშვი.

— ღმერთი გწყალობდეს, რეზი! — შესძახა გოგონამ და

ძაღლთან ერთად შეიჭრა ბავშვის ოთახში.

თავგზააბნეული მნე ქალი პირჯვარს იწერს.

ბოლოს, მოხუცმა ექიმმაც ქოშინით ამოათავა კიბის საფეხურები. გვერდით კოხტა, თვალტანადი ქალი მოჰ-ყვებოდა, ხელში სამგზავრო ჩემოდანი ეჭირა.

— როგორ არის ლოტხენი? — აჩქარებით იკითხა ყმაწ-ვილმა ქალმა.

— მგონი, ცოტათი მომჯობინდა, — მიუგო რეზიმ და დასძინა: — ხომ არ წაგიძღვეთ ოთახისაკენ?

— გმადლობთ, მე თვითონ გავიგნებ გზას! — მიუგო უცნობმა და უმალვე ბავშვის ოთახისაკენ გაექანა.

— სანამ გონს მოვეგებოდეთ, პალტოს გახდაში შემეშ-ველეთ! — მხიარულად ჩაილაპარაკა ბატონმა ექიმმა, — თუმცა ჯერ მოითმინეთ!

რეზი შეკრთა და ენის ბორძიკით მოუბოდიშა:

— ათასგზის გთხოვთ პატიებას!

— დღეს მაინცდამაინც საჩქარო როდია ჩემი ვიზიტი. — დინჯად თქვა მრჩეველმა.

— დედიკო! — ამოიჩურჩულა ლოტამ, თვალებგაბრწყი-ნებული მისჩერებია ქალს. ახალგაზრდა ქალმა მდუმარედ მიუალერსა ბავშვის გახურებულ ხელებს, საწოლთან ჩა-იჩოქა და აცახცახებული ბავშვი ხელში აიტაცა.

ლუიზამ წამიერად გააპარა თვალი ფანჯარასთან მდგარი მამისაკენ, მერე ლოტხენის სასთუმალისაკენ დაიხარა, ბალიშები გაფერთხა, გადააბრუნა და საბანიც გაუსწორა — ლუიზასაც უკვე ყველაფერი ესწავლა და პატარა მეოჯახე ქალი გახდარიყო.

ბატონი კაპელმაისტერი ქურდულად უმზერდა გოგონას. „აი, ბავშვები და მათი დედა! ეს ყმაწვილი ქალი ოდესღაც ჩემი ცოლი იყო!“ მის გონებაში გარდასული დღეები და დავიწყებული საათები ამოტივტივდა. „ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ!“

საწოლის ბოლოს გაოგნებული პეპერლი მოკალათებულა და ჩაციებით შესცქერის ხან ერთს, ხან მეორე პატარა გოგონას. პაწია, შავად მოპრიალე დრუნჩის წვერსაც ხან აქეთ გასწევს, ხან იქით, თითქოს საგონებელში ჩავარდნილაო. აი, რა ხათაბალაში გაბმულა კეთილი, ბავშვების მოსიყვარულე ცუგრია!

კარზე კაკუნი გაისმა. ოთახში მყოფი ოთხი ადამიანი თითქოს უცნაური ძილისგან გამოფხიზლდა. კარის ექიმი, ბატონი შტრობლი შემოვიდა, საწოლთან შეჩერდა და, როგორც ყოველთვის, მხიარულად, ოდნავ ხმამაღლა იკითხა:

— როგორ გრძნობს თავს ავადმყოფი?

— კარგად! — წამოიძახა ლოტამ და დაქანცულ სახეზე ღიმილი მოეფინა.

— ჭამის მადაზე როგორღა ვართ? — წაიდუდუნა შტრობ-ლმა.

— დედა თუ გააკეთებს, შევჭამ! — დაიჩურჩულა გოგო-ნამ.

დედამაც თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად. მერე ფან-ჯარასთან მივიდა:

— მაპატიე, ლუდვიგ, რომ სალამი დაგიგვიანე!

ბატონმა კაპელმაისტერმა ხელი ჩამოართვა და მი-უგო:

— დიდ მადლობას მოგახსენებ, რომ ჩამოხვედი!

— მაპატიე, თავისთავად ცხადია, მე ბავშვისათვის...

— მართალია, ბავშვისათვის... თუმცა...

— გეტყობა, ამ დღეებში სულ არ გიძინია, — უთხრა ქალმა.

— არა უშავს, ავინაზღაურებ. ბავშვის დარდი მქონდა და...

— ვგრძნობ, მალე გამომჯობინდება!

საწოლთან ბავშვები ჩურჩულებენ. ლუიზა ლოტას ყურთან დახრილა და ტუჩები სულ ახლოს მიუტანია:

— დედამ ფროილაინ გერლახზე არაფერი იცის, ჩვენც არ დაგვცდეს რამე!

ლოტამ შიშნეულად დაუქნია თავი.

ექიმს მათი საუბრისათვის ყური არ მოუკრავს, იგი თერმომეტრს ამოწმებდა, თუმცა, რაც უნდა ჩასწვეთებოდა ყურში, ბატონი შტორბლი თავს ისე მოგაჩვენებდათ, ვითომ არაფერი მსმენიაო.

— ტემპერატურა სავსებით ნორმალურია. სულითა და გულით გილოცავ გადარჩენას, ჩემო ლუიზერლ!

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, ბატონო ექიმო! — კისკისით წამოიძახა ნამდვილმა ლუიზამ.

— თქვენ, ალბათ, მე მიგულისხმეთ? — ჰკითხა ლოტხენმა და თან მორიდებით გაიღიმა. თავი ისევ სტკიოდა.

— კაი ოინბაზები ხართ ორივენი, ნამდვილად საშიში ტყუპისცალები. პეპერლიც რომ გადამირიეთ! — წაიდუდღუნა შტორბლმა და ორივე ხელი ფაქიზად გადაუსვა თავზე ერთ-ერთ გოგონას. მერე ერთი ზორბად ჩაახველა, წამოდგა და თქვა:

— მოდი, პეპერლ, ეცი ამ პატარა მატყუარებს!

პეპერლმა კუდი გააქიცინა და პატრონის შარვლის ტოტებს მიელაქუცა. შტრობლი კი ამ დროს პალფის უხსნიდა:

— აღარ გჭირდებათ აფთიაქებში სირბილი, დედაა ბავშვისთვის უებარი წამალი! — მერე ყმაწვილ ქალს მიუბრუნდა: — შეგიძლიათ, დაელოდოთ ლუიზერლის, მაპატიეთ, ლოტხენის გამოჯანმრთელებას?

— შესაძლოა, ბატონო ექიმო, ასეც ვაპირებდი. . .

— მაშ ასე, — თქვა მოხუცმა ექიმმა, — ბატონი ყოფილი მეუღლე ამ ამბავს უნდა შეურიგდეს!

პალფიმ მხოლოდღა შეარხია ბაგეები, თქმით კი არაფერი უთქვამს.

— არა უშავს, მართალია, ხელოვანის გული აფორიაქდება ასეთი ხალხმრავლობის შემყურე, მაგრამ მოთმინება იქონიეთ და ისევ განმარტოვდებით! — დაცინვით წარმოთქვა ექიმმა.

ბატონი ექიმი დღეს კარგ გუნებაზე გახლდათ. ისე მკვირცხლად გააღო კარი, რომ კართან მოდარაჯებულ რეზის შუბლზე ერთი ლაზათიანი კოპიც კი დაასვა.

— შაურიანი დაიდე, დაგიამებს; რჩევა-დარიგებისათვის გასამრჯელოსაც არ მოგთხოვ!

* * *

საღამოს ბინდი ჩამოაწვა მიწას. მოსაღამოვდა ვენახშიც. ბავშვების ოთახი დუმილს მოუცავს, სძინავს ლუი-

ზას, სძინავს ლოტასაც – ახლა კი ჯანსაღი ძილით.

მშობლებმა ეს-ესაა, ერთად ივახშმეს მეზობელ ოთახში. ცოტა წაისაუბრეს, უფრო დიდხანს დუმდნენ, ბოლოს, პალფი წამოდგა და თქვა:

– მაშ ასე, ახლა უნდა წავიდე!

ცოტა არ იყოს, სასაცილო დღეშია პალფი: აბა, დაფიქრდით – გვერდით ოთახში მის ორ ცხრა წლის გოგონას სძინავს, აგერ დგას მათი დედა, ლამაზი ქალი; კაცი კი გალახული ძაღლივით უნდა გაეცალოს იქაურობას. ჰოი, რას იხითხითებენ ახლა კერიის მფარველი უჩინარი ანგელოზები, თუკი არსებობენ ისინი, გარდასულ, დიდებულ ხანას რომ შემოუნახავს?!

ქალმა დერეფანში გამავალ კარამდე მიაცილა ყოფილი ქმარი. კაცი ერთი შეყოყმანდა:

– თუ ბავშვი უარესად შეიქნეს, იცოდე ატელიეში ვიქნები.

– დარდი ნურაფრისა გექნება, – ანუგეშა ქალმა, – ნუ დაგავიწყდება, ჩემო კარგო, რომ ამდენ უძილობას ანაზღაურება უნდა!

პალფიმ თავი დაუქნია.

– ღამე მშვიდობისა!

– ღამე ნებისა !

კაცი ნელ-ნელა დაეშვა კიბეზე, ქალმა მიაძახა:

— ლუდვიგ!

კაცი შემობრუნდა და ელოდა, რას მეტყვისო.

— მოხვალ ხვალ საუზმეზე?

— კი, მოვალ!

ქალმა კარი მიხურა, ჯაჭვით ჩარაზა და წამით ფიქრში გაირინდა. წლები დამჩნევია ლუდვიგს, თითქმის ნამ-დვილ ასაკოვან მამაკაცად გამოიყურება მისი ყოფილი ქმარი. მერე თავი გააქნია და ოთახში შევიდა, რომ მისი და ლუდვიგის ზიარი შვილების ძილისათვის დედობრივი ზრუნვით ედარაჯა.

* * *

ერთი საათის შემდეგ რინგშტრასეზე მდებარე სახლის წინ გაჩერებული ავტომანქანიდან მოხდენილი ყმაწვილი ქალი გადმოვიდა.

შვეიცარი ბუზღუნით შეხვდა.

— ბატონი კაპელმაისტერი? მგონი მაღლა უნდა იყოს.

— სინათლე ხომ ანთია, მაშ აქ იქნება! — მიუგო ქალმა, ბუზღუნა შვეიცარს ხელში ფული ჩაუჩარა და კიბეებისა-კენ გაეჩქარა.

შვეიცარმა ქაღალდის ფულს დახედა და თავისი სახლისკენ გაეშურა.

— ეს შენა ხარ? — მოისმა ზემოდან პალფის ხმა. კარის

ზღურბლთან ქალბატონი იდგა.

— გამოცანა გერგება! — გაბრაზებით მიახალა ირენა გერლახმა და ატელიეში შევიდა. ჩამოჯდა, სიგარეტს მოუკიდა და მოთმინებით აათვალიერ-ჩაათვალიერა კაცი. კაცი კი ხმას არ იღებდა.

— რატომ არ მიპასუხე ტელეფონზე, კარგ საქციელად მიგაჩნია ეს?

— შენთან ლაპარაკის თავი არ მქონდა, ბავშვი სასიკვდილოდ იყო გადადებული!

— ახლა ხომ მომჯობინდა. ასე რომ არ იყოს, ისევ როტენტურმშტრასეზე იქნებოდი!

ლუდვიგმა თავი დაუქნია:

— დიახ, ბავშვი უკეთესადაა; სხვათა შორის, ჩემი ცოლიც თავზე ადგას.

— ვინა?

— ვინ და ჩემი ცოლი, ჩემი ყოფილი ცოლი. ამ დილით ჩამოვიდა და მეორე ბავშვიც თან ჩამოიყვანა.

— მეორე ბავშვიო?! — გაიოცა ქალმა.

— დიახ, მე ტყუპები მყავს; თავდაპირველად ლუიზას ვუვლიდი, არდადეგების შემდეგ კი ტყუპისცალი დამიბრუნდა. მის მაგიერ. ეს ამბავი აქამდე არ შემიმჩნევია.

მხოლოდ გუშინ შევიტყვე.

ქალმა ღვარძლიანად ჩაიქირქილა.

— შენს ნაცოლარს კარგად გაუკვაჭავს საქმე!

— მანაც გუშინ შეიტყო ეს ამბავი! — მოუთმენლად მიახალა კაცმა.

ირენა გერლახმა ლამაზად შეღებილი ტუჩები აიმრიზა.

— მართლაც მშვენიერი თავგადასავალია, არა? ერთ სახლში გიზის ცოლი, რომელთანაც განქორწინებული

ხარ; მეორე სახლშიც ცოლი, რომელთანაც ჯერ არ დაქორწინებულხარ!

ლუდვიგმა თავი ვეღარ შეიკავა:

— ვინ იცის, რამდენი სახლია ამქვეყნად, სადაც ის ქალები სხედან, ჯერაც ცოლად რომ არ მომიყვანია!

— ბარბაქალა!- ფეხზე წამოდგა ქალი, — შენ გონებამახვილიც ყოფილხარ!

— მომიტევე, ირენა, ნერვიული კაცი ვარ !

— მომიტევე, მაგრამ მეც ასეთივე გახლავარ!

— ბრავო! — გაჯახუნდა კარი. ფროილაინ გერლახი წავიდა.

ბატონი პალფი ერთხანს კარს გასცქეროდა. მერე როიალისაკენ შემობრუნდა, თავისი საბავშვო ოპერის ნოტები გადაფურცლა, იქედან რომელიღაც ფურცელი გამოაძრო და როიალს მიუჯდა. ერთხანს ნოტებიდან უკრავდა. ჰანგი ჯერ მკაცრ, ძველ საეკლესიო გალობას ჩამოჰგავდა, მერე ტონალობა შეცვალა Dorisch-დან C-Moll-მდე, C-Moll-დან Es-Dur-მდე.

და ასე ნელ-ნელა, თანდათან დაიბადა პარაფრაზიდან ახალი მელოდია, მელოდია უბრალო და გულში ჩამწვდომი: ვითომ, პატარა გოგონები თავიანთი წკრიალა,

ბავშვური ხმებით მღეროდნენ; მღეროდნენ ზაფხულით აბიბინებულ მდელოზე, მთის კამკამა ტბასთან, რომელ-შიც ლურჯად მოლაჟვარდე ცა არეკლილიყო, ცა, ყოველ არსსა თუ გონებაზე მაღალი რომაა და მისგან მონაშუქი მზე ცისქვეშეთს თანაბრად ეფინება, განურჩევლად ათ-ბობს ავსაც და კარგსაც.

თავი მეთერთმეტე

ტყუპების დღეობა და ერთადერთი საიუბილეო სურვილი. მშობლები სათათბიროდ განმარტოვდებიან. შეტყუპებული ცერათითები. კარის ჭუჭრუტანაში ჭვრიტინი. პირველად მიუხვედრელობა, ბოლოს თანხმობა.

ნათქვამია, დრო ყველა ჭრილობას კურნავსო. გამოჯანმრთელდა ჩვენი ლოტხენიც. იგი ისევ ის ნაწნავიანი გოგონაა, ლუიზას კი ძველებურად ამშვენებს თავისი კულულები, გადაიყრის, როგორც მოეპრიანება. პატარა გოგონები ახლა დიდი ხალისით ეხმარებიან დედასა და რეზის, საყიდლებზე ეგზავნებიან, საშზარეულოში დაფუსფუსებენ, ერთად თამაშობენ საბავშვო ოთახში, ერთადვე მღერიან, როდესაც ლოტხენი ან მამა უკრავს ფორტეპიანოს. პატარები ბატონ გაბელესაც ხშირად აკითხავენ ხოლმე შინ. პეპერლსაც არ ივიწყებენ. თუ ბატონ შტრობლს მიღება აქვს, ძაღლი თვითონ გამოჰყავთ სასეირნოდ. ცუგრია უკვე შერიგებია ლუიზას უცნაურ გაორებას, სამაგიეროდ, გოგონებისადმი სიყვარული გაუორკეცდა და ორივეს შუაზე გაუყო. საზრიანობაც ასეთი უნდა!

მთლად დამშვიდებულებიც ვერ იყვნენ ბავშვები: ზოგ-ჯერ მათ თვალებში შიში ჩაიბუდებდა, შიში იმისა, რა მოხდებოდა შემდგომ...

* * *

თოთხმეტ ოქტომბერს ორივე გოგონას დღეობა ჰქონ-და.პატარები საბავშვო ოთახში ისხდნენ მშობლებთან ერთად. მაგიდაზე ორი შოკოლადის ნამცხვარი შემოი-ტანეს. ნამცხვარს ოხშივარი ასდიოდა. თითოეულის გარ-შემო ათ-ათი შემომწკრივებული სანთელი პარპალებდა. მამამ „ტყუპთა სადღესასწაულოდ“ საგანგებოდ დაწე-რილი საუცხოო მარში დააგრიალა ფორტეპიანოზე. ახლა იგი სკამიანად შემოტრიალდა და იკითხა:

— მაინც რა იყო, საჩუქრების ყიდვა რომ არ დაგვანებეთ?

ლოტამ ამოიხვნეშა:

— ჩვენ ისეთი რამ გვსურს, რისი ყიდვაც შეუძლებელია!

— მერე, რაა ასეთი? — ჰკითხა დედამ.

ახლა ლუიზამ ამოიოხრა, მერე ათრთოლებული ხმით უთხრა მშობლებს:

— მე და ლოტხენს დაბადების დღეს გვსურს, ერთად ვიყოთ, მუდამ ერთად ყოფნა დაგვებედოს! — როგორც იქნა, თქვა სათქმელი ლოტამ და მაშინვე ძალიან წყნარად დაუმატა:

— სიცოცხლეში სხვა არაფერ საჩუქარს აღარ მოგთხოვ.' არც სადღეობოდ, არც შობას!

მშობლები კვლავ დუმან.

— შეეცადეთ მაინც, — ლუიზას თვალზე ცრემლი მოსდგომია, — ყველაფერს დაგიჯერებთ, კიდევ უფრო მეტად, ვინემ ახლა, საერთოდ, ბევრად ლამაზი იქნება ყველაფერი.

ლოტამ დასტურის ნიშნად თავი დაუქნია და დაუმატა:

— პირობას გაძლევთ!

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ! — საჩქაროდ დაურთო ლუიზამაც.

ფორტეპიანოს წინ მჯდარი მამა სკამიდან წამოდგა.

— ხომ არაფერი გექნებოდა საწინააღმდეგო, ლუიზელოტე, ორიოდ სიტყვით რომ მოგვესაუბრა?

— თანახმა ვარ, ლუდვიგ! — მიუგო ყოფილმა ცოლმა.

ორივენი მეზობელ ოთახში გავიდნენ და კარი გაიხურეს.

ოთხი პაწია ცერათითი ოთხ პაწია ხელს მოუმწყვდევია და ჩაუბღუჯავს. ლოტა ტუჩებს აცმაცუნებს.

— ლოცულობ? — ჰკითხა ლუიზამ.

ლოტამ თავი დაუქნია. ახლა ლუიზამაც ააცმაცუნა ტუჩები.

— მოგვხედე ჩვენ, უფალო იესო, იყავნ სტუმარი ჩვენი, გარდმოავლინე წყალობა შენი ჩვენზედ და გვაღირსე ბედი! — ხმადაბლა ბუტბუტებს გოგონა.

ლოტამ უხალისოდ შეარხია ნაწნავები.

ამაზე ლუიზამ უმწეოდ წაიდუდუნა.

— ეს ლოცვა არ უხდება, მაგრამ სხვა ვერაფერი გამიხსენებია და რა ვქნა?! უფალო იესო ქრისტე, შენს სახელს ვენაცვალე, იყავნ სტუმარი ჩვენი, გარდმოავლინე!. .

სწორედ ამ დროს ბატონმა პალფიმ წამოიწყო სათქმელი. თან იატაკს ჩაშტერებია:

— თუკი თავს დავივიწყებთ, ცხადია, ბავშვები არასგზით აღარ უნდა დავაშორიშოროთ ერთმანეთს. ესაა და ეს !

— რასაკვირველია, არასდროს არ უნდა დავაცილოთ!

კაცი ისევ იატაკს ჩასცქერის.

— ჩვენ ახლა ბევრი რამ უნდა გამოვასწოროთ და წაღმა შევაბრუნოთ, — ჩაახველა, ხმა რომ ჩაეწმინდა, — თანახმა ვარ, რომ ბავშვები მიუნხენს წაიყვანო!

ქალმა გულზე წაივლო ხელი.

— იმედია, ნებას დართავ, ბავშვები წალიწადში ოთხი კვირით მესტუმრონ! — განაგრძო კაცმა და რაკი ქალს ხმა არ ამოუღია, მაშინვე დაუმატა:

— სამი კვირით იყოს, თუნდაც ორი კვირით, ჰა! და მა-შინაც. . . ვიცი, ვერ დაგარწმუნებ, მაგრამ, რა ვქნა, რომ ორივე ძალიან მიყვარს !

— ვითომ, რატომ არ უნდა გერწმუნო? — ჩაესმა ქალის პასუხი.

კაცმა მხრები აიჩეჩა.

— არ დამიმსახურებია და იმიტომ.

— კი, მაგრამ ავადმყოფ ლოტხენს სარეცელთან ვინღა უჯდა? — მიუგო ქალმს, — გგონია, ბედნიერნი იქნებიან ბავშვები უმამოდ?

— უშენოდ მათი დატოვება ხომ მთლად უარესია?!

— ოჰ, ლუდვიგ, ნუთუ ვერ ხვდები, რა ადარდებთ ბავშვებს, თუმცა გამოთქმა ვერ მოუხერხებიათ?!

— რასაკვირველია, ვხვდები, — კაცი ფანჯარასთან მივიდა, — რა თქმა უნდა, ორივეს სურვილს ვხვდები, — ფანჯრის ურდულს ჩაავლო ხელი, — ჩვენი ერთად ყოფნა უნდათ!

— ბავშვებს დედ-მამა უნდა ჰყავდეთ, ნუთუ ეს კადნიერებაა? — გამომცდელად ჰკითხა ქალმა.

— კადნიერება როგორაა, მაგრამ რამდენი სურვილია ქვეყნად, უბრალო და მაინც აუხდენელი! — კაცი ფანჯარასთან ატუზულა, როგორც კუთხეში დაყენებული ყმაწვილი, ნაბიჯი რომ ვერ გადმოუდგამს სიჯიუტის გამო.

— რატომ აუხდენელი?

ლუდვიგი გაოცებული შემოტრიალდა.

— იმის შემდეგ, რაც მოხდა, ამას მეკითხები?

ქალი დინჯად შეაცქერდა სახეში და ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თავი.

„დიახ, ყოველივე იმის შემდეგ!“

ლუიზა კართან მიმდგარა და საკეტის ჭუჭრუტანაში იჭვრიტება; ლოტაც მის გვერდითაა და მაგრად მომუ-

ჭული ხელები წინ გაუშვერია, ცერათითებს აქეთ-იქით ათამაშებს.

— ოჰო-ჰო-ჰო! — წაიჩურჩულა ლუიზამ, — მამამ დედას აკოცა.

ლოტამ ლუიზა უბოდიშოდ განზე გასწია, თუმცა წინათ ასე არ მოიქცეოდა და თვითონ შეიჭყიტა ჭუჭრუტანაში.

— ახლა! როგორაა, კიდევ აკოცა? — ჰკითხა ლუიზამ.

— არა, — ჩურჩულითვე მიუგო სახეგაბადრულმა, თავი მაღლა ასწია, — ახლა დედამ აკოცა მამას!

ტყუპებს შვების ოხვრა აღმოხდათ და ერთმანეთს ჩა-ეხვივნენ.

თავი მეთორმეტე

ბატონი გრავუნდერი გაოგნებულია. სკოლის დირექ-ტორის – კილიანის სასაცილო ნაამბობი. ლუიზა და ლოტა ქორწილს აწყობენ. მიუნხენის ილუსტრირებული კვირე-ულის სატიტულო გვერდი. ახალი აბრა ძველ კარზე. „კე-თილი იყოს ჩვენი მეზობლობა, ბატონო კაპელმაისტერო!" გარდასული ბედნიერება შეგიძლია დაიბრუნო. ბავშვების სიცილი და საბავშვო სიმღერა. „ოღონდ ტყუპები".

ბატონმა გრავუნდერმა, ვენის პირველი რაიონის მმა-ჩის ძველმა, გამოცდილმა მოხელემ დავთარში გაატარა ქორწინება, გვარიანად რომ დააბნია ეს ბევრის მნახვე-ლი კაცი: ნეფე-დედოფალი ყოფილი ცოლ-ქმარი გახ-ლდათ, თანაც ერთმანეთისაგან განურჩეველი ათ-ათი წლის ტყუპები ჰყავდათ! აგერ კიდევ მეჯვარე, მხატვარი გაბელე უჰალსტუხოდ გამოცხადდა; სამაგიეროდ, მეორე ნათლიას, კარის ექიმს, დოქტორ შტორბლს ძაღლიც თან წამოუყვანია. ცუგრია წინა ოთახში დატოვეს, მაგრამ ისეთი აურზაური ატეხა, უკანვე შემოიყვანეს. ასე რომ, ამ სამოქალაქო ქორწინების მოწმე, ნება-უნებურად, ძაღ-

ლიც უნდა ყოფილიყო. ძაღლი და მოწმე — ეს რა უბედურებაა!

ლუიზა და ლოტა მოწიწებით ისხდნენ თავიანთ სკამებზე, სიხარულისაგან მეცხრე ცას სწეოდნენ. მაგრამ ეს მარტოოდენ ბედნიერება როდი იყო, ეს მათი სიამაყეც გახლდათ, და მერე როგორი — მათი წყალობით არიან ასე ბედნიერები: აბა, რა ეშველებოდათ საწყალ მშობლებს, რომ მათი ბავშვები არ ყოფილიყვნენ! არა, არცთუ ისე ადვილი გახლდათ ეგზომ საიდუმლოდ ბედის გაჩარხვა! არ დაჰკლებიათ არაფერი — არც ფათერაკები, არც ცრემლები... შიში, ძრწოლა, სიცრუე, სასოწარკვეთა თუ ავადმყოფობა.

ცერემონია დამთავრდა. ბატონი გაბელე და პალფი რაღაცაზე საიდუმლოდ ჩურჩულებენ და თვალებს უპაჭუნებენ ერთმანეთს, მაგრამ რა საიდუმლო უნდა ჰქონდეთ ასეთი, არავინ უწყის. პალფისთან განშორებულმა ფრაუ კერნერმა, ახლა მასთანვე შეუღლებულმა და ფრაუ პალფად გამოცხადებულმა, თავისი ძველი და ახალი მბრძანებლის ჩურჩულს მოჰკრა მხოლოდ ყური — „ჯერ ადრეაო“. მერე ქმარი ცოლს მიუბრუნდა:

— ერთი საუცხოო აზრი მომივიდა თავში. იცი, რა? ჯერ

სკოლაში შევიარროთ და ლოტა წარვუდგინოთ მასწავ-
ლებლებს.

— მაგრამ ლოტა ხომ რამდენიმე კვირაა... თუმცა, მა-
პატიე, მართალი ხარ.

ბატონმა კაპელმაისტერმა ალერსიანად გადახედა
ქალს.

— თავისთავად ცხადია!..

* * *

ბატონმა კილიანმა, ქალთა სკოლის დირექტორმა, პი-
რი დააღო, კაპელმაისტერმა პალფიმ და მისმა ცოლმა
თავიანთი მეორე ქალიშვილი რომ წარუდგინეს: გოგონა
გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ლუიზას. მაგრამ მას, რო-
გორც სკოლის ხანდაზმულ ხელმძღვანელს, ბევრი რამ
უნახავს ცხოვრებაში, არცთუ ნაკლებ საკვირველი. ბო-
ლოს და ბოლოს, ახლაც გაარკვევს ყოველივეს. რაკი ახა-
ლი მოწაფე წესისამებრ დიდ ყურნალში ჩაწერა, კმაყო-
ფილი ჩაეშვა საწერ მაგიდასთან მდგარ სავარძელში და
აი, რა უამბო იქ მყოფთ:

— როცა ახალბედა მასწავლებელი გახლდით, ერთი
ყურადსაღები ამბავი შემემთხვა, ახლავე მოგიყვებით

თქვენცა და თქვენს პატარა გოგონებსაც:



ერთ გაზაფხულზე კლასში პატარა ბიჭუნა შემოგვემატა. ყმაწვილი ღარიბი ოჯახიშვილი იყო, მაგრამ კოპწიად ჩაცმული დადიოდა და ბეჯითობითაც გამოირჩეოდა — მაშინვე შევამჩნიე. წინ წავიდა კიდეც, სულ ცოტა ხანში არითმეტიკაში ყველას სჯობნიდა. მაგრამ ყოველთვის რიდი ამართლებდა მოლოდინს. ამან კი დამაფიქრა — ნეტავ, რას უნდა მოასწავებდეს ეს ამბავი-მეთქი. გაგიგონიათ? ეს რა უცნაურობაა: ბავშვი ხან სხაპასხუპით, შეუცდომლად გვიამბობს, ხან რაღაცას წამოაყრანტალებს!

ბატონმა კილიანმა ცოტა ხნით შეისვენა, შთაბეჭდილება რომ გაემაფრებინა, მერე ლუიზასა და ლოტას მეგობრულად ჩაუპაჭუნა თვალი და განაგრძო:

— როგორც იქნა, გამოვნახე საუცხოო მეთოდი: საგანგებოდ ვინიშნავდი ბლოკნოტში, თუ რიდის ანგარიშობდა



ბიჭი კარგად და რიდის ცუ-
დად. უცნაური რამ გამოირკვა:
ორშაბათობით, ოთხშაბათობით
და პარასკეობით ბავშვი შესა-
ნიშნავად ჰყვებოდა, ხოლო
სამშაბათობით, ხუთშაბათო-
ბით და შაბათობით — ცუდად.

— რას ბრძანებთ! — გაუკვირდა პალფის.

პატარა გოგონებიც ცნობისმოყვარედ ცქმუტავდნენ სკამებზე.

— ექვს კვირას ვაკვირდებოდი, — განაგრძო ხანდაზ-
მულმა კაცმა, — მაგრამ არაფერი იცვლებოდა... ერთ
მშვენიერ საღამოს ბავშვის მშობლებს შინ ვესტუმრე და
ჩემი უცნაური დაკვირვების ამბავი გავანდე. ცოლ-ქმარ-
მა ერთმანეთს გადახედა, თითქოს კიდეც დაირცხვინეს
და ოხუნჯობადაც ჩათვალესო ჩემი ნათქვამი, მერე კაცი
მოტიბრუნდა და მითხრა:

— ყველაფერი სწორად შეგიმჩნევიათ, ბატონო მასწავ-
ლებელო! — მერე პირში ორი თითი ჩაიდო და დაუსტვინა.
მეზობელი ოთახიდან ორი ბუჭუნა შემოიძურწა. ზუსტად
ერთი სიმაღლისანი იყვნენ და სახითაც ერთმანეთისაგან
ვერ გაარჩევდით.

— ტყუპები გახლავან! — მითხრა ქალმა, — ერთს ზეპი ჰქვია, ეგაა, კარგად რომ ანგარიშობს, მეორეს — ტონი.

ცოტათი რომ გამოვერკვიე, მშობლებს ვკითხე.

— რატომ ორივეს არ გამოგზავნით სკოლაში, ჩემო კარ-გებო?

— რა ვქნათ, ბატონო მასწავლებელო, ღარიბი ხალხი ვართ — ორივე ბიჭუნას მხოლოდ ერთი ხელი ხეირიანი ტანისამოსი აქვს ზიარად.

პალფებს სიცილი აუტყდათ. ბატონმა კილიანმაც ულვაშებში ჩაიღიმა. ლუიზამ კი შეჰყვირა:

— ჩინებული ოინია, ჩვენც ასე ვიზამთ!

ბატონი კილიანი თითით დაემუქრა გოგონას:

— აბა, ეგეთები არ იყოს! ფროილაინ გსტეტნერს და ფროილაინ ბრუკბაუერს იმდენი საზრუნავი აქვთ, რომ კიდევ თქვენი გარჩევისა და მომწყემსვის თავი საღღა ექნებათ!

— მით უფრო, თუ თმას ერთნაირად დავივარცხნით და ადგილებსაც გავცვლით! — წამოიძახა აღფრთოვანებულ-მა ლუიზამ.

ბატონმა დირექტორმა თავზე ხელები შემოიჭდო, ვი-თომდა სასოწარკვეთილმა:

— საშინელებაა! თქვენ მაშინ იკითხეთ, რომ გაიზრდე-

ბით, დაქალიშვილდებით და ვინმე ბედნიერი თქვენს ცოლად შერთვას დააპირებს!

— რაკი ერთმანეთს ვგავართ, მოწონებითაც ერთსა და იმავე კაცს მოვეწონებით, — თქვა ფიქრში წასულმა ლოტამ.

— ჩვენც უსათუოდ ერთი და იგივე ვინმე მოგვეწონება! — მიაძახა ლუიზამ...

* * *

ხელახლადაქორწინებული ცოლ-ქმარი თავიანთი ტყუპებიანად სკოლის ეზოში გამოვიდნენ. ბავშვებს ამ დროს შესვენება ჰქონდათ.

ლოტასა და ლუიზას ასობით გაოცებული გოგონა შემოეხვია გარს. ტყუპებს ათვალიერებდნენ, თან თვალებს არ უჯერებდნენ.

ბოლოს, ტრუდამ მუჯლუგუნებით გაიკაფა გზა. სუნთქვაშეკრული შესცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს. მერე შეცბუნებული მიეჭრა ლუიზას.

— მე კრინტის დაძვრასაც მიკრძალავდი, ახლა კი ქვეყანას გააგებინეთ?

— ეს მე ვიყავი და არა ლუიზა! — უთხრა ლოტამ.

— ახლა შეგიძლია, თავისუფლად მოუყვე ყველას. ხვალიდან ორივენი ერთად ვივლით სკოლაში! — განუცხადა ლუიზამ.

ბოლოს, პალფიმ ყინულმჭრელივით გაარღვია ეს ჯარი და თავისი ცოლ-შვილი სკოლის ჭიშკრისაკენ წაიყვანა. ტრუდა კი ცნობისმოყვარეთა ლუკმად დარჩა. ბუქსირით აათრიეს იგი ცირცელის ტოტზე და მანაც სმენადქცეულ გოგონებს ყველაფერი ჩაუკენჭა, რაც იცოდა.

ზარი დაირეკა, შესვენება დამთავრდა. მასწავლებლებმა საკლასო ოთახებს მიაშურეს, მაგრამ დაცარიელებული დაუხვდათ, ფანჯრებს ეცნენ, გადაიხედეს, ეზო მოყრიამულე ბავშვებით ავსებულიყო და მასწავლებლებიც უმალვე დირექტორის კაბინეტისაკენ გაეშურნენ საჩივლელად.

— დაბრძანდით, ჩემო ქალბატონებო! — მიმართა მათ სკოლის დირექტორმა, — ჩვენმა დარაჯმა ახლახან მიუნხენის ილუსტრირებული ჟურნალი მომიტანა, ძალზე საინტერესო გარეკანი აქვს, აი, ინებეთ!

მასწავლებლებსაც და სკოლის ეზოში შეგროვილ მოსწავლეებსაც სულ გადაავიწყდათ, რომ შესვენება დიდი ხნის დამთავრებული იყო.

* * *

ფროილაინ ირენა გერლახი ჩვეულებისამებრ კოხტად მორთულ-მოკაზმული ოპერის წინ იდგა და გაოცებული ათვალიერებდა ჟურნალის გარეკანზე გამოსახულ ორ პატარა, ნაწნავებიან გოგონას. ეს კიდევ არაფერი, როგორ გაოცდა, თავი რომ ასწია და გზაჯვარედინზე გაჩერებულ ტაქსიში სწორედ ის ორი გოგონა დაინახა! პატარებს თან ახლდათ გერლახის კარგად ნაცნობი მამაკაცი და ქალი, რომლის გაცნობასაც იგი, ალბათ, არასდროს მოისურვებდა.

ლოტამ თვალით ანიშნა ლუიზას:

— გაიხედე იქით!

— მერე ვის ხედავ მანდ?

— ფროილაინ გერლახი დგას ! — წასჩურჩულა ლოტამ.

— აბა, სადა?

— მარჯვნივ, შლაპა რომ ახურავს და ხელში ჟურნალი უჭირავს.

ლუიზამ ალმაცერად გახედა კოხტა ქალს. ოჰ, რა სიამოვნებით გამოუყოფდა ენას!

— რა მოგივიდათ? — მგონი, დედამაც შეამჩნია რაღაც.

ბედად გვერდით მდგომი ავტომანქანიდან ხანში შე-

სული ქალი გადმოიხარა, დედას ყურნალი გაუწოდა, თან სიცილით უთხრა:

— ნება მიბოძეთ, საგულისხმო რამ შემოგთავაზოთ!

ფრაუ პალფიმ ყურნალი გამოართვა, თან მადლობა მოახსენა. მერე გარეკანს დახედა და ყურნალი ქმარს გაუწოდა.

ამასობაში მანქანებიც დაიძრნენ. ხანში შესულმა ქალმა გამოსამშვიდობებლად ხელი დაუქნია. გოგონები მამის გვერდით სკამზე აცოცდნენ და განცვიფრებულნი დააჩერდნენ ყურნალის გარეკანს!

— ოჰ, ეს საძაგელი ბატონი აიპელდაუერი, როგორ გაგვაცურა! — წამოიძახა ლუიზამ.

— აკი ყველა სურათი დავხიეთ! — თქვა ლოტამ.

— ფოტოფირები ხომ დარჩებოდა, მისგან ასობით სურათის დამზადება შეეძლო, — აუხსნა ბავშვებს დედამ.

— რა კარგია, რომ ასე მოიქცა, — თქვა მამამ,— უამისოდ დედათქვენი თქვენს საიდუმლოს ვერ გამოიცნობდა და დღევანდელი ქორწილიც არ იქნებოდა!

ლუიზა უცებ შემობრუნდა და ოპერისაკენ მიიხედა, ფროილაინ გერლახი იქ აღარ იდგა.

ლოტა კი დედას მიუბრუნდა:

— ჩვენ ბატონ აიპელდაუერს წერილს გავუგზავნით და მადლობასაც გადავუხდით!

* * *

ხელახლაგამომცხვარი ცოლ-ქმარი და მათი ტყუპები როტენტურმშტრასეზე მდებარე სახლის კიბეს მიადგნენ. ღია კართან საკვირაო კაბაში გამოწყობილი რეზი იდგა. ფართო, გლეხური პირისახე გაბადროდა. ყვავილების უშველებელი თაიგული გაუწოდა ახალგაზრდა ქალს.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, რეზი, ძალზე მახარებს, ჩვენთან დარჩენას რომ აპირებთ!

რეზი თოჯინასავით აკანტურებდა თავს და ლუღლუღებდა:

— კი მინდოდა შინ დაბრუნება, სახლ-კარს და მამა ბატონს მიხედავ-მეთქი, მაგრამ ფროილაინ ლოტხენს ისე შევეწყვე, რომ...

ბატონ კაპელმაისტერს გაეცინა და უთხრა:

— ჰო, მაგრამ დანარჩენმა საქმე რა დავაშავეთ, რეზი?

რეზიმ საცოდავად აიჩეჩა მხრები.

— კარებში ხომ არ უნდა ვიდგეთ ! — თქვა ფრაუ პალფიმ.

— მობრძანდით, გენაცვალეთ! — და რეზიმ ფართოდ გააღო კარი.

— დაიცათ! — თქვა მამამ, — ჯერ ჩემს მეორე ბინაში უნდა შევიარო!

ყველანი გაოცებულები იყვნენ, თვით პალფის გარდა. რაღა ამ ქორწილის დღეს მოეპრიანა ატელიეში წასვლაო (არა, რეზის სულაც არ გაჰკვირვებია რაიმე, პირიქით — ჩუმად ჩაიცინა თავისთვის).

ლუდვიგი ბატონ გაბელეს კარს მიადგა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და მშვიდად გააღო. ძველი აბრა ჩამოუხსნიათ და ახალი გაუკრავთ — „პ ა ლ ფ ი“.

გახარებული ლოტხენი მამას მივარდა.

— ოჰ, მამიკო! — შესძახა ბედნიერებისაგან თვალებგაბრწყინებულმა გოგონამ.

ლოტას გვერდით მდგომმა ლუიზამ, წარწერა რომ წაიკითხა, თავის დაიკოს სახელოში ხელი ჩაავლო და ცეკვას მოჰყვა. მათთან ერთად ძველი სახლიც აცეკვდა და აზანზარდა.

— აბა, ახლა გეყოფათ! — წამოიძახა ბოლოს ბატონმა კაპელმაისტერმა, — გასწით, რეზის მიეხმარეთ! — მერე საათს დახედა: — მე დედათქვენს ახალ ბინას ვუჩვენებ და

ნახევარი საათის შემდეგ სადილადაც დავსხდებით; დრო რომ მოაწევს, დაგვირეკეთ! – მერე ყმაწვილ ქალს ხელკავი გამოსდო და წაიყვანა.

მოპირდაპირე კართან მდგარმა ლუიზამ რევერანსი გაუკეთა.

– კეთილი ყოფილიყოს ჩვენი მეზობლობა, ბატონო კაპელმაისტერო!

* * *

ყმაწვილმა ქალმა შინ შესვლისთანავე პალტო გაიძრო და ქუდი მოიხადა, თან წყნარად თქვა:

– რა ჩინებული სიურპრიზია?!

– ხომ მართლაც საუცხოო სიურპრიზია?! – ჩაეკითხა კაცი.

ქალმა თავი დაუქნია.

– დიდი ხანია, ლოტამ მოისურვა, მერე მეც დამიჯდა ჭკუაში, – თქვა კაცმა, – ბატონმა გაბელემ საომარი გეგმა ისე დაამუშავა, უმნიშვნელო წვრილმანიც არ გამორჩენია, ავეჯის გადმოტანაც რომ მოაგვარა!

– ამიტომ შევუხვიეთ, არა, პირველად სკოლაში?

– ჰო, როიალის გადმოტანა ისე გაუძნელდათ მუშებს, როგორც ტიტანებთან ბრძოლა – ოლიმპიელებს.

როიალზე წინანდებურად იყო შემოდებული ყმაწვილი ქალის ძველი, მაგრამ მაინც დაუვიწყარი სურათი, საწერი მაგიდის უჯრის ტყვეობიდან რომ გამოეხსნათ.

ლუდვიგმა ქალს ხელი მოხვია.

— აი იქ, მესამე სართულზე, ხელმარცხნივ, ყველანი ბედნიერად ვიცხოვრებთ ერთად, მუშაობისას მე აქ განვმარტოვდები ხოლმე, მხოლოდ კედელი გაგვიჯნავს!

— რა დიდი ბედნიერებაა! — ქალი ლუდვიგს მკერდზე მიეკრა.

— ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტი, ვიდრე დავიმსახურეთ! — სერიოზულად მიუგო კაცმა.

— მაგრამ არც იმაზე მეტი, რისი ატანაც შეგვიძლია!

— ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ასე მოხდებოდა !

— რა?

— თუ დაკარგული ბედნიერების დაბრუნება ისევე შეიძლებოდა, როგორც გაცდენილ გაკვეთილს ინაზღაურებს კაცი.

ლუდვიგმა ცოლი კედელზე ჩამოკიდებული სურათისაკენ მიახედა. გაბელეს მიერ შესრულებული, ჩარჩოში ჩასმული სურათიდან პატარა, ჭკვიანი ბავშვი შემოსცქეროდა მშობლებს.

— ჩვენი ბედნიერების თითეულ წუთს ჩვენსავე ბავშვებს უნდა ვუმადლოდეთ! — წარმოთქვა კაცმა.

* * *

წინსაფარაფარებული ლუიზა სამზარეულოში სკამზე შემდგარიყო და კედელზე ამაგრებდა ჩვენთვის აწ ცნობილი ყურნალის გარეკანს.

— ჩინებულია ! — მოკრძალებით უთხრა რეზიმ.

ლოტასაც წინსაფარი აუფარებია და ქურასთან ტრიალებს.

რეზი თვალებზე მომდგარ ცრემლს იწმენდს, ჩუმად ფშუტუნებს, თან ფოტოსურათს მისჩერებია.

— რომელია ამ სურათში ლუიზა და რომელი — ლოტა?

გოგონები დაბნეულად შესცქეროდნენ ერთმანეთს, მერე სურათს შეხედავდნენ... კვლავ ერთმანეთს შეჰყურებდნენ.

— მაშ, ასე, — დაიწყო ლოტხენმა.

— მე მგონი, ფოტოგრაფმა რომ ღილაკი ააჩხაკუნა, მარცხნივ მე ვიჯექი, — თქვა ჩაფიქრებულმა ლუიზამ.

ლოტამ თავი გააქნია.

— არა, მარცხნივ, მგონი, მე ვიჯექი... თუ?

ახლ` გოგონებს სურათისაკენ კისრები წაუგრძელებიათ...

— დახეთ საკვირველებას, თვითონაც რომ ვერ გამოუცვნიათ?! — უნებლიეთ წამოიძახა რეზიმ და გადაიკისკისა.

— არა, ნამდვილად თვითონაც ვერ გაგვირჩევია! — შეჰყვირა აღტაცებულმა ლუიზამ.

ამაზე სამივენი ერთად ახარხარდნენ. მათი ყრიამული მეორე ოთახშიც გადიოდა. იქ მყოფ ქალს, ცოტა არ იყოს, შეეშინდა.

— რა ამბავია, როგორ შეიძლება ასეთ აურზაურში მუშაობა!

პალფი როიალთან მივიდა და სანამ სახურავს ახდიდა, ჩაილაპარაკა:

— სწორედ მისწრებაა ასეთი აურზაური!

კაპელმაისტერმა ცოლის პატივსაცემად დუეტი დაუკრა თავისი საბავშვო ოპერიდან. გვერდითი ბინის სამზარეულოსაც მისწვდა დარხეული ჰანგი. გატრუნულნი უსმენდნენ მუსიკას, ცდილობდნენ, არც ერთი ბგერა არ გამორჩენოდათ. როდესაც როიალის ხმა მიწყდა, ლოტამ

დარცხვენით იკითხა:

— რას იტყოდი, რეზი, თუ დედა და მამა სამუდამოდ ჩვენთან ერთად დარჩებიან, გვეყოლება და-ძმები?

— რა თქმა უნდა! — დარწმუნებით უთხრა რეზიმ, — მერე, გინდათ კი?

— რასაკვირველია! — კვერი დაუკრა ლუიზამ.

— გოგონები გინდათ, თუ ბიჭუნები? — ახლა კი თამაზად ჰკითხა რეზიმ.

— გოგონებიც და ბიჭუნებიც! — მიუგო ლოტამ.

— ოღონდ ტყუპები! — გულიანად თქვა ლუიზამ.

შინაარსი

თავი პირველი

ზეებიული ბიულზეეზე. ბავშვთა პანსიონატები თითქოს ფუტკრის სკებია. ავტობუსს ოცი ახალბედა ჩამოჰყავს. კულულები და ნაწნავები. შეიძლება ბავშვმა ბავშვს ცხვირზე უკბინოს? ინგლისის მეფე და მისი ასტროლოგიური ტყუპის ცალი. ვაი, თუ სიცილმა ნაოჭები დაამჩნიოს. 5

თავი მეორე

რით განსხვავდება დაზავება შშვიდობისაგან? სადალაქო სალონი საბაზანოში. გაორებული ლიტხენი. ტრუდას სილა გააწნეს. ფოტოგრაფი აიპელდაუერი და სასტუმროს დიასახლისი. ჩემი დედიკო! – ჩვენი დედიკო! – თვით ფროილაინ ულრიკეც შეეჭვებულია. 22

თავი მესამე

ახალი კონტინენტების აღმოჩენა. გამოცანას გამოცანა მოსდევს. ორად გაყოფილი სახელი. კუშტი ფოტოსურათი და მხიარული ბარათი. შტეფის შშობლები გაყრას აპირებენ. შეიძლება კი ბავშვების გაჩეხა? 39

თავი მეოთხე

ყელში ამოვიდა ერბოკვერცხი. საიდუმლო რვეულები. სკოლის გზა და ძილისპირული ამბორი. შეთქმულება იკვანძება. ბაღში გამართული ზეიმი გენერალურ რეპეტიციად გამოიყენეს. გამოშშვიდობება ზეებიულ-ბიულზეესთან..... 47

თავი მეხუთე

ჩემოდანზე წამოსკუპული ბავშვი. „იმპერიალის" მარტოხელა ძიები.პეპერლისა და, საერთოდ, ცხოველთა უტყუარი ინსტინქტი. „ლუიზა" მამას ეკითხება, შეიძლება ოპერაში ხელი დაგიქნიოო? შეცდომები საოჯახო წიგნში. შირლეი ტემპლეს მისივე მონაწილეობით გადაღებული ფილმების ნახვას უკრძალავენ. ბატონ კაპელმაისტერის რთული შინაგანი ცხოვრება.... 56

თავი მეექვსე

ნეტავ, საითაა ფრაუ ვაგენთჰალერის დუქანი? კი მაგრამ, სად გაგონილა, ბავშვს კერძის გაკეთება გადავიწყებოდეს? ლოტამ მამას ხელი დაუქნია ოპერაში. გულიანი შოკოლადების წვიმა. როგორ ჩაიარა პირველმა ღამემ მიუნხენსა და ვენაში. უცნაური სიზმარი, ფროილაინ გერლახს კუდიანად რომ წარმოგვიდგენს, შშობლებს ყველაფრის ნება აქვთ! „კესანე, — მიუნხენი — 18!". 71

თავი მეშვიდე

კვირას კვირა მოსდევს. პეპერლი კმაყოფილია. ერბოკვერცხს ძვლები არა აქვს. ყველაფერი შეიცვალა – რეზის ხომ ვეღარ იცნობთ. კაპელმაისტერი პალფი მუსიკის გაკვეთილებს ატარებს. ფრაუ კერნერის საყვედურები. ანი ჰაბერზეცერი გაასილაქეს. ასეთი სანატრელი კვურადღე ქვეყნად ჯერ არ ყოფილა. 94

თავი მერვე

ბატონ გაბელეს სახელოსნოს ციცქნა ფანჯრები. ყავით გამასპინძლება კერტნერ-რინგზე. დიპლომატიური საუბარი. მამა ხომ მკაცრი უნდა იყოს! C-Moll ქორწინების გეგმა. კობენცლალეე – 43. ფროილაინ გერლახი გაოცებულია. კარის მრჩეველი შტრობლი ფრიად შეშფოთებულია. კაპელმაისტერი დედოფალას ეფერება. 108

თავი მეცხრე

ბატონ აიპელდაუერის ფოტოებმა სულ მთლად დააბნია ქალი. კი მაგრამ, ნამდვილად ლოტაა? ფრაუ კერნერმა ფროილაინ ლინეკოგელს გაანდო ხვაშიადი. დაშაშხული ღორის სუკი და დამსხვრეული ჭურჭელი. ლუიზას აღსარება. რატომ აღარ აძლევს პასუხს ლოტა? 138

თავი მეათე

ბიუნხენი რეკავს. ყოვლის მხსნელი სიტყვა. რეზისაც აებნა დავთარი. ვენიდან მომავალ თვითმფრინავში ორი ადგილი შეკვეთილია. პეპერლი ბუქნავს. კარებთან მიტუზული ჭორიკანა კოპებს თუ მოიმკის. ბატონი კაპელმაისტერი ღამის გასათევად სახელოსნოს მიაშურებს, იქ დაუპატიჟებელი სტუმარი ეწვევა.. . 150

თავი მეთერთმეტე

ტყუპების დღეობა და ერთადერთი საიუბილეო სურვილი. მშობლები სათათბიროდ ვანმარტოვდებიან. შეტყუპებული ცერათითები. კარის ჭუჭრუტანაში ჭვრიტინი. პირველად მიუხვედრელობა, ბოლოს თანხმობა. 168

თავი მეთორმეტე

ბატონი გრავუნდერი გაოგნებულია. სკოლის დირექტორის – კილიანის სასაცილო ნაამბობი. ლუიზა და ლოტა ქორწილს აწყობენ. მიუნხენის ილუსტრირებული კვირეულის სატიტულო გვერდი. ახალი აბრა ძველ კარზე. „კეთილი იყოს ჩვენი მეზობლობა, ბატონო კაპელმაისტერო!“ გარდასული ბედნიერება შეგიძლია დაიბრუნო. ბავშვების სიცილი და საბავშვო სიმღერა. „ოღონდ ტყუპები“. 176